საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geoworld.ge
№37 (508)
16 – 22 ოქტომბერი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## აშშ სწრაფად კარგავს პოზიციებს სამხრეთ ამერიკაში
10

## დროა, ხელისუფლებამ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას
2



«აზერბაიჯანელთა მოთხოვნით რამდენი მეჩეთი აშენდა ბოლო წლებში საქართველოში? – რამდენიმე ათეული და... რამდენი ეკლესია აშენდა საინგილოში? – არც ერთი»

3
მამა გიორგი (რაზმაძე):



## რა განცხადებებითაც არ უნდა სცადოს ხელისუფლებამ მოსახლეობის დაბრმავება, ყველა ხედავს, რომ მონასტრებს ვკარგავთ და განმკითხავი არავინაა

## საბერძნეთის ეკლესიამ დიდი განხეთქილების საშიშროება რეალური გახადა
14





ნანა კაკაბაძე:

## ხელისუფლება პოლიტიკურ წარსულში ჩარჩა
6

## «ქართულმა ოცნებამ» ის მოახერხა, რომ 2012 წელს 151 მლნ ლარის მოგების მქონე საწარმოები 2 წელიწადში 100 მლნ-ის ზარალზე გაიყვანა
7




## ქალბატონო ფინტიკოსა!


8

## პროგნოზები, რომლებიც ზედმიწევნით ახდა
4

ნაწილი II



## პენტაგონი კონტროლს აწესებს პათოგენებსა და ეპიდვითარებაზე საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში
11





## ამერიკელები ინგლისურის მასწავლებლის ექსტრადიციას ითხოვენ
9

პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ ოკუპირებული (სხვა სახელი ვერ მოვიფიქრეთ) ეკლესიები 11 ოქტომბრიდან გახსნილია ბერისთვის (ისიც, ყველასთვის არა) და არა ერისთვის. როდემდე იქნება ასე, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩანს, ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული და ვერც ის კომისია, რომელიც საზღვრის დადგენის მიზნით შეიქმნა, და ვერც ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრა პრობლემას მარტივად ვერ გადაჭრის. დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანულ მხარეს ეს ყველაფერი სავაჭროდ სურს და რაზე უნდა გვევაჭრონ, ეს არის საინტერესო.**

# დროა, ხელისუფლებამ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას

## რაზე შეიძლება გვევაჭრონ აზერბაიჯანელები?

**დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანთან ცუდი ურთიერთობა ნამდვილად არ ჰქონია. აზერბაიჯანი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელთანაც მიწის თაობაზე დავა არ გვქონდა და თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო. თუმცა მაშინ, როცა ჩვენთან სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ერთმანეთის ხოცვით ვიყავით დაკავებული, რამდენჯერმე იყო მცდელობა, რომ ჯანდარის ტბის საზღვარი აქეთ გადმოეწიათ, მაგრამ „საზიზღარი კომუნისტების“ მიერ საზღვართან ჩასახლებულმა სვანებმა მათ ეს არ დაანებეს. არ დაანებეს დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, თვითონ დადგნენ ქვეყნის სადარაჯოზე და დღემდე ამ ხალხისთვის მადლობაც არავის უთქვამს. თუმცა, აზერბაიჯანის სასარგებლოდ მიწის მცირე მონაკვეთების დაკარგვა იმ ავბედით წლებში მაინც მოხდა. ნაწილი კახეთის მხარეს დავკარგეთ, როცა საზღვარი რამდენიმე მეტრით გადმოსწიეს, ნაწილი კი — ქვემო ქართლში, იქ, სადაც ადრე სოფელი ულიანოვკა (ახლანდელი ვახტანგისი) იყო. მაშინ იქ გამავალი არხი გადმოვიდა კალაპოტიდან, ჩვენს მხარეს გადმოიწია და არხს საზღვარიც რამდენიმე მეტრით გადმოაყოლეს. ეს ისე, ცნობისთვის.**

წელს ყველაფერი აირია. საქართველოს ერთ-ერთი სიწმინდე — დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი საჯილდაო ქვა გახდა მას შემდეგ, რაც ტურისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. საზოგადოდ, ტურიზმი არაერთი განვითარებული ქვეყნისთვის არის ბიუჯეტის შევსების სოლიდური წყარო, ჩვენი დარი ქვეყნებისთვის კი განვითარებული ტურიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჰოდა, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ჯერ ბილიკი გაიყვანეს, შემდეგ ელექტროენერგიის წყაროც გააკეთეს და ბოლოს ისეთი ბაზა წამოჭიმეს, თქვენი მოწონებული. ქვეყანას, რომელიც გეუბნება, რომ არამხოლოდ კეთილი მეზობელი, არამედ შენი სტრატეგიული პარტნიორიც ვარო, ასეთი მასშტაბის ბაზა არ უნდა სჭირდებოდეს ზედ საზღვარზე და მით უმეტეს მაშინ, როცა სიტუაცია დაძაბულია და ნაღმის აფეთქებას ერთი არასწორი ნაბიჯი უნდა, გნებავთ, ჩვენი და გნებავთ, მეზობელი ქვეყნის მხრიდან.

სიმართლე გითხრათ, როცა ახალმა პრემიერმა **გიორგი გახარიამ** აზერბაიჯანში ვიზიტი დაგეგმა, დარწმუნებული ვიყავით, რომ პრობლემა მოგვარდებოდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც **ილჰამ ალიევთან** შეხვედრიდან გამოსულმა პრემიერმა მკაფიოდ განაცხადა, რომ მონასტრისკენ სავალი გზები მეორე დღესვე გაიხსნებოდა. გახარიას მხედველობაში ის ეკლესიები ჰქონდა, რომლებიც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დაიკავეს, და რომლებშიც არც ერსა და არც ბერს აღარ უშვებდნენ.

მეორე დღეს ეკლესიები მართლაც გაიხსნა, მაგრამ მხოლოდ სასულიერო პირებისთვის, მრევლს კი იქ ასვლა და ლოცვა ახლაც აკრძალული აქვს. რა გამოვიდა? **ან გახარიამ მოგვატყუა და არ თქვა, რომ მოლაპარაკება კრახით დასრულდა, ან თვითონ გახარია მოატყუეს, როცა უთხრეს, რომ მეორე დღეს მომლოცველებს ეკლესიებში შესვლის ნებას მისცემდნენ.**

სხვათა შორის, ბოლო პერიოდში აზერბაიჯანული მედია ამტკიცებს, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში რამდენიმე ადგილას ძველი აზერბაიჯანული წარწერებია, რაც, უბრალოდ, ტყუილია, რადგან არც ისტორიულ დოკუმენტებშია ამის შესახებ რამე ნათქვამი და არც არასდროს არავის უნახავს აზერბაიჯანული წარწერა დავითგარეჯის კედლებზე, თუ იმას არ ჩავთვლით, რაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გაჩნდა — აზერბაიჯანელმა აქტივისტებმა კედლებზე ცარცითა და საღებავებით მიაწერეს ზოგმა შეყვარებულის სახელი, ზოგმა — თავისი, ზოგმა კი, უბრალოდ, რაღაც დახატა.

**ამჟამინდელი მდგომარეობით, ასეთი რეალობა გვაქვს — აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ ოკუპირებული (სხვა სახელი ვერ მოვიფიქრე) ეკლესიები 11 ოქტომბრიდან გახსნილია ბერისთვის (ისიც, ყველასთვის არა) და არა ერისთვის. როდემდე იქნება ასე, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩანს, ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული და ვერც ის კომისია, რომელიც საზღვრის დადგენის მიზნით შეიქმნა და ვერც ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრა პრობლემას მარტივად ვერ გადაჭრის. დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანული მხარე ჩვენთან ვაჭრობას აპირებს და, რაზე უნდა გვევაჭრონ, ეს არის საინტერესო.**

ისიც გავიხსენოთ, რომ საქართველოში არსებული ბენზინგასამართი სადგურების ოპერატორებს შორის ყველაზე დიდი ქსელი აზერბაიჯანულ „სოკარს“ აქვს; ისე დიდი, რომ საქართველოს ეკონომიკაზეც კი შეუძლია გავლენის მოხდენა და საწვავის ბაზარზე ფასებზე თამაში ხომ, საერთოდ, მარტივად ძალუძს. ეს არის თუ სხვა მიზეზი, ვერ გეტყვით, მაგრამ **ხელისუფლება აზერბაიჯანულ მხარეს და კონკრეტულად „სოკარის“ ხელმძღვანელობას საქართველოში ძალიან დიდ ანგარიშს უწევს. სანაცვლოდ კი რას ვიღებთ? — ვიღებთ უხარისხო საწვავს (და ამაზე, არა მგონია, რომელიმე მძღოლი შემოგვედავოს), ვიღებთ საინგილოში დაჩაგრულ და უფლებაწართმეულ ქართველებს, რომლებსაც შვილებისთვის ქართული სახელის დარქმევა აკრძალული აქვთ, ვიღებთ გადმოწეულ საზღვარს, საზღვრის დამდგენი კომისიის შეხვედრას შეხვედრისთვის და ამავე კომისიის გაურკვეველ მომავალს, ე.ი., პრაქტიკულად, არაფერს.**



**ხელისუფლება აზერბაიჯანულ მხარეს და კონკრეტულად «სოკარის» ხელმძღვანელობას საქართველოში ძალიან დიდ ანგარიშს უწევს. სანაცვლოდ კი რას ვიღებთ? ვიღებთ უხარისხო საწვავს (და ამაზე, არა მგონია, რომელიმე მძღოლი შემოგვედავოს), ვიღებთ საინგილოში დაჩაგრულ და უფლებაწართმეულ ქართველობას, რომელსაც შვილებისთვის ქართული სახელის დარქმევა აკრძალული აქვს, ვიღებთ გადმოწეულ საზღვარს, საზღვრის დამდგენი კომისიის შეხვედრას შეხვედრისთვის და ამავე კომისიის გაურკვეველ მომავალს, ე.ი., პრაქტიკულად, არაფერს**

ახლა მედლის მეორე მხარეს შევხედოთ. **დავითგარეჯა რუსეთის საზღვართან რომ იყოს და იგივე რომ გაეკეთებინა რუსეთს, რა მოხდებოდა?** ეჭვი გვაქვს, ამერიკის პრეზიდენტიც კი შეიწუხებდა ჟღალ თავს და ისიც კი გააკეთებდა განცხადებას. აქეთ იუნესკო იყვირებდა: ძეგლი ჩვენს ნუსხაშია და არ გაბედოთ, ხელი არ შეახოთ და, რაც თქვენმა აქტივისტებმა კედლები დაკაწრეს, იკმარეთო; ოპოზიცია იქ გადასახლდებოდა და სოციალურ ქსელებს ბერების გვერდით გადაღებული ფოტოებით აავსებდა; არასამთავრობო ორგანიზაციები ათასგვარ პერფომანსსა და შოუს დადგამდნენ, რუსთაველს ისევ გადაკეტავდნენ და... ახლა კი არაფერი ხდება. **მერე რა, რომ პრემიერი მოატყუეს თუ პრემიერმა მოგვატყუა?! მერე რა, რომ დაახლოებით 400 ჯარისკაცზე გათვლილი სასაზღვრო პუნქტი წამოგვიჭიმეს?! მერე რა, თუ მომლოცველებს არ უშვებენ...** რა ხდება, ბატონებო? ფულს სუნი არ აქვსო და ბენზინს, დიზელსა და ბუნებრივ აირს ხომ აქვს სუნი? თანაც, თუ უხარისხოა, ისე ყარს, ატანა შეუძლებელია... ვერ ხვდებით, რომ ყარს უკვე, ყარს!

ხომ შეიძლება, ერთხელ და სამუდამოდ დავამთავროთ ორმაგი სტანდარტით ცხოვრება და, თუ ვინმეს რამეს არ მივუტევებთ, მაშინ არავის მივუტევოთ, ხოლო, თუ ვინმეს რამის უფლებას ვაძლევთ, მაშინ სხვასაც მივცეთ. ის მაინც არ გეჩვენებათ საგანგაშოდ, ჩვენი დასავლელი პარტნიორები ამ ყველაფერს ოლიმპიური სიმშვიდით რომ უყურებენ და ხმაც არ ამოუღიათ? გეთანხმებით, რომ აზერბაიჯანი კეთილი მეზობელია და მასთან დიალოგია საჭირო. აგერ, ბატონო, გაიმართა დიალოგი და მარტივი კითხვაც გაჩნდა: **ჩვენ მოგვატყუა გახარიამ თუ გახარია მოატყუა აზერბაიჯანულმა მხარემ?** ფაქტია, რომ ტყუილი გაჩნდა და, როცა კეთილ მეზობელთან ურთიერთობა ტყუილით იწყება, არ არის მაინცდამაინც მოსაწონ-მისასალმებელი.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს იმას ვამბობდეთ, რომ ხმალამოღებული ვეკვეთოთ მეზობელს, მაგრამ, ადეკვატურები რომ არ ვართ კონკრეტულად აზერბაიჯანის მიმართ, რეალობაა. **დავითგარეჯაზე რომ არაფერი ვთქვათ, აზერბაიჯანელთა მოთხოვნით რამდენი მეჩეთი აშენდა ბოლო წლებში საქართველოში?** — რამდენიმე ათეული და... რამდენი ეკლესია აშენდა საინგილოში? — არც ერთი. **რამდენი აზერბაიჯანელი დეპუტატია საქართველოს პარლამენტში?** — ყველა მოწვევის დროს რამდენიმე. და **რამდენი წარმომადგენელი ჰყავს საინგილოში მცხოვრებ ქართველებს აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოში?** — არც ერთი. რაღაც ცალმხრივი სიყვარულივით გამოდის ეს ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობა და ხომ არ არის დრო, რაღაცებზე ხმამაღლა ვისაუბროთ და დაკონკრეტება მოვითხოვოთ? როგორ? აი, ზუსტად ისე, როგორც პატრიარქმა მისწერა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელ **შეიხ ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადეს.** გთავაზობთ ამონარიდს პატრიარქის წერილიდან:

**„დღეს სრულიად გაუგებარია აზერბაიჯანული მხარის დაჩემება, რომელმაც 2019 წლიდან, ფაქტობრივად, ჩამოგვართვა მონასტრები ჩიჩხიტური და უდაბნო, რომლის მახლობლად, ჯერჯერობით განუსაზღვრელ ადგილზე, ააშენეს სასაზღვრო სექტორი და ამ საცხოვრისებში სრულიად შეზღუდეს მომლოცველებისა და ტურისტების, ასევე სასულიერო პირების გადაადგილება, რასაც, ბუნებრივია, ჩვენ არ შევეგუებით. რის საფუძველზე შეიცვალა დღემდე არსებული მდგომარეობა — გაუგებარია. მივიჩნევთ, რომ, ვიდრე არ დასრულდება დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესი, უნდა აღდგეს დღევანდელ დღემდე არსებული სტატუს კვო და სასულიერო პირებს, მომლოცველებსა და ტურისტებს მიეცეთ შესაძლებლობა, მოინახულონ უდაბნო და ჩიჩხიტური, მით უფრო, რომ ასეთ ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობის შენარჩუნება სავალდებულოა, ხოლო მეორე სახელმწიფოსთან შეუთანხმებლად და მით უმეტეს ძალისმიერი ნაბიჯებით ვითარების შეცვლა დაუშვებელია...“**

როგორც ხედავთ, პატრიარქმა პირველად თქვა, რომ ის, რაც ხდება, არის ძალისმიერი მეთოდი და იქნებ დროა, ხელისუფლებამაც ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას...

**ბესო ბარბაქაძე**

**„თუ ხელისუფლებას დასამალი არაფერი აქვს და სწორად წარმართავს პროცესებს, თუ მისი მხრიდან სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ხდება მოლაპარაკებების წარმართვა და რაღაცის გამო საზოგადოების აღშფოთების არ ეშინია, მაშინ ეს პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახადოს“.**

ხმა ბერისა

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# რა განცხადებებითაც არ უნდა სცადოს ხელისუფლებამ მოსახლეობის დაბრმავება, ყველა ხედავს, რომ მონასტრებს ვკარგავთ და განმკითხავი არავინაა

**10 ოქტომბერს ბაქოდან ახალდაბრუნებულმა საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე ვიზიტის შედეგები შეაჯამა. მისი თქმით, პრეზიდენტ ალიევთან პირისპირ შეხვედრაზე სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად დავითგარეჯის საკითხიც განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ 11 ოქტობრიდან კომპლექსში შემავალი ეკლესია-მონასტრები სამღვდელოებისთვის გაიხსნებოდა: „მეგობრებსა და პარტნიორებს გეოგრაფია და ისტორია კი არ ჰყოფთ, არამედ აკავშირებს. სწორედ ამ საფუძველზე ჩვენ ღია საუბარი გვქონდა მიმდინარე პრობლემებზე და როგორც შედეგი, შემიძლია, გითხრათ, რომ ხვალიდან ქართველი სამღვდელოებისთვის კომპლექსის ფარგლებში არსებული ეკლესიები გაიხსნება...“**

მოგვიანებით ამ განცხადებას, როგორც სამღვდელოებაში, ისე გარკვეულ პოლიტიკურ წრეებშიც, მწვავე რეაქცია მოჰყვა (რაც, ბუნებრივია, მრევლისა და სამღვდელოების განცალკევებით იყო გამოწვეული), თუმცა ატეხილი ხმაურისა და აჟიოტაჟის ფონზე, რომელმაც სოციალური ქსელები მოიცვა, გაირკვა, რომ პრემიერის განცხადება სრულიად უსაფუძვლო იყო — რეალობა უცვლელი დარჩა და ეკლესია-მონასტრები სამღვდელოებისთვისაც დახურული აღმოჩნდა...

**რა მიზანს ემსახურებოდა მთავრობის მეთაურის განცხადება და რა მდგომარეობაა სინამდვილეში დღეს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, პრემიერის განცხადებას, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი მხოლოდ სამღვდელოებისთვის გაიხსნებოდა, საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ბევრი ითქვა და დაიწერა, რომ ეს არის ერთგვარი პოლიტიკური მზაკვრობა და აფიორა, რომლითაც ხელისუფლება ცდილობს, ხალხს თვალში ნაცარი შეაყაროს... თქვენი აზრით, რა პროცესები მიდის რეალურად?**

— არ მინდა, ზედმეტად კრიტიკული ვიყო ვინმეს მიმართ, მაგრამ ის ფაქტი, რომ მეზობელ სახელმწიფოს, უკვე რამდენიმე თვეა, თვითნებურად აქვს დაკავებული ჩვენი ტერიტორია, ახორციელებს რაღაც ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, არ გვიშვებს ეკლესია-მონასტრებში, ხელისუფლებას კი მიღწევა ჰგონია ის, რომ მხოლოდ სასულიერო პირებისთვის შეიძლება გაიხსნას გზა, უკვე ბევრ რამეს ცხადყოფს. ვფიქრობ, ეს, უწინარესად, იმაზე მიუთითებს, რომ **ჩვენი ხელისუფლება ამ პროცესში უკვე არის წამგებიან პოზიციაში, როცა, როგორც თანასწორი მხარე, ისე კი არ აწარმოებს მოლაპარაკებებს და თავის წინადადებებს კი არ აყენებს, არამედ სრულიად ორიენტირებულია მეორე მხარის ინიციატივებზე.** შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პრემიერს ბაქოში თითის ქნევით უნდა ესაუბრა **ალიევთან,** მაგრამ ერთია რიტორიკა და მეორე — ისტორიული ფაქტი, რომელიც წლების განმავლობაში ქმნიდა რეალობას. **ჩვენ ვიცით და ამას ვერც აზერბაიჯანული მხარე ვერ უარყოფს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის 1938 წლის 5-7 მარტს და 1996 წლის 13 ივნისს ორმხრივად მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო საზღვარი გაივლო 1936-1938 წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული 12:200000 მასშტაბის რუკით. ამ რუკის მიხედვით კომპლექსის ორი მონასტერი — უდაბნო და ჩიჩხიტური — საქართველოს ტერიტორიაზეა.** ეს არის ორმხრივი შეთანხმება, რომელიც არ შეცვლილა და, ბუნებრივია, დღეს, როცა ვხედავთ, რომ ეს შეთანხმება ისე ირღვევა, თითქოს არც არსებულა, მთავარი შეკითხვა ჩნდება სწორედ ამ რეალობის შეცვლის საფუძველზე. ისე, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: **თუ ხელისუფლებას დასამალი არაფერი აქვს და სწორად წარმართავს პროცესებს, თუ მისი მხრიდან სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ხდება მოლაპარაკებების წარმართვა და არ ეშინია საზოგადოების აღშფოთების რაღაცის გამო, მაშინ ეს პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახადოს.** ასე რომ არ არის და ხშირად ამ საკითხის გადაფარვის ხელოვნურ მცდელობებსაც ვხედავთ, ამიტომ ჩნდება ცუდი განცდები. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს განცდები რეალობას მოკლებულია, რადგან, რაც დრო გადის, სულ უფრო რთულდება და უარესდება მდგომარეობა. რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ის, რომ შენს ტერიტორიაზე შენს კულტურულ მემკვიდრეობასთან მისასვლელ გზას უცხო სახელმწიფო მხოლოდ სამღვდელოებისთვის ხსნის და მრევლისთვის არა, ცინიკური დამოკიდებულების გამოხატულება უფრო მგონია იმ ქვეყნისგან, ვიდრე ჩვენი რაღაც პოლიტიკური თუ დიპლომატიური მიღწევა.**

# «ხელისუფლება ორიენტირებულია თავისი უსუსურობის შენიღბვაზე»

**— გაირკვა, რომ პრემიერის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა და არც სამღვდელოებისთვის არ გახსნილა მონასტრები...**

— დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში იაფფასიანი ტყუილების თქმამ და შემდეგ ამ ტყუილებით მანიპულირებამ აპრობირებული პრაქტიკის სახე მიიღო. მაგალითად, ამას წინათ საგარეო საქმეთა მინისტრმა **დავით ზალკალიანმა** განაცხადა, რომ ლავროვთან შეხვედრისას ერთ-ერთი საკითხი ოკუპაცია იყო, მერე კი გაირკვა, რომ ეს საკითხი საერთოდ არ განუხილავთ. ეს ყველაფერი ქმნის განცდას, რომ **ხელისუფლება ორიენტირებულია თავისი უსუსურობის შენიღბვაზე.** თუმცა ნებისმიერი მსგავსი მცდელობა არათუ დადებითშედეგიანი არ არის „ოცნებისთვის“, პირიქით — უფრო ამძაფრებს მისდამი მოსახლეობის უნდობლობას. სხვათა შორის, იმ ცრუ განცხადებამ, რომ თითქოს 11 ოქტომბრიდან მონასტრები სამღვდელოებისთვის გაიხსნებოდა და ხელისუფლება ამით, მოგეხსენებათ, ძალიან კმაყოფილი იყო, ერთი ისტორიული ფაქტი გამახსენა, რომელსაც მოკლედ მოგიყვებით: 1453 წელს, როდესაც კონსტანტინოპოლი დაეცა და თურქებმა დაიკავეს, დაიწყო მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა. დაიხურა ეკლესიები, მონასტრები და ერთადერთი, ვისაც აია სოფიას ტაძარში შესვლის უფლება ჰქონდა, სასულიერო პირები იყვნენ. სამღვდელოებას შეეძლო, შესულიყო, სანთელი დაენთო, ელოცა და მღვდელმსახურება აღესრულებინა, მრევლს — არა, მაგრამ ერთხელ, აღდგომას, მოსახლეობამ გაბედა და მივიდა ტაძარში სააღდგომო ლიტურგიაზე. მოხდა ასეთი რამ: ერთმა ეპისკოპოსმა, სახელად იოანემ, რომელმაც, იმის ნაცვლად, რომ მიელოცა აღდგომა, გამოვიდა და ტაძარში მისულ ხალხს შესთავაზა: მოდი, ფორმალურად მუსლიმანობა ვაღიაროთ, აღარ შევიკრიბოთ წირვაზე და ჩვენი წინაპრების საფლავებზე ჩუმად ავანთოთ სანთლებიო. ამას კრიპტოქრისტიანობა ჰქვია და კრიპტოქრისტიანებად იწოდებოდნენ ბერძნები, რომლებიც ფარულად, კატაკომბებში აღასრულებდნენ ქრისტიანულ რიტუალებს. ეპისკოპოსის ამ მიმართვაზე ხალხი აღშფოთდა და უკან გაბრუნდა, ყველა იმედგაცრუებული და გულგატეხილი იყო. შემდეგ ეს ადამიანი უსაქციელობაში ამხილეს და გააძევეს ქალაქიდან... იცით, როგორ დაასრულა სიცოცხლე? საკუთარმა ძმამაც არ მიიღო. ბოლოს მუსლიმანებმა შეიპყრეს, სიკვდილით დასაჯეს და ნაგვის ურნაში ჩააგდეს. მერე კი დაასაფლავეს, მაგრამ საფლავის ქვაზე მიაწერეს სიტყვები: „არც თქვენი, არც ჩვენი“. ე.ი. არც თურქების და არც ბერძნებისო... დღემდე არსებობს ეს ქვა მუზეუმში. **ყველა იმ ხელისუფალს, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ატარებს სახელმწიფოსთვის საზიანო პოლიტიკას, თმობს ერის კულტურულ მემკვიდრეობას, სიწმინდეს და ამ ყველაფრის ფონზე ცდილობს, მოსახლეობას გაუჩინოს განცდა, რომ ეკლესია-მონასტრების გახსნა მხოლოდ სასულიერო პირებისთვის თურმე წინგადადგმული ნაბიჯია, სიცოცხლეშივე შეიძლება მივუძღვნათ ეპიტაფია: არც აზერბაიჯანის და არც საქართველოსი...**

> **«ჩვენ ვიცით და ამას ვერც აზერბაიჯანული მხარე ვერ უარყოფს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის 1938 წლის 5-7 მარტს და 1996 წლის 13 ივნისს ორმხრივად მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმად, სახელმწიფო საზღვარი გაივლო 1936-1938 წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული 12:200 000 მასშტაბის რუკით. ამ რუკის მიხედვით, კომპლექსის ორი მონასტერი — უდაბნო და ჩიჩხიტური — საქართველოს ტერიტორიაზეა. ეს არის ორმხრივი შეთანხმება, რომელიც არ შეცვლილა»**

რა განცხადებებითაც არ უნდა სცადოს ხელისუფლებამ მოსახლეობის დაბრმავება, ყველა ხედავს, რომ მონასტრებს ვკარგავთ და განმკითხავი არავინაა...

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელისუფლება გარიგებულია გავლენიან აზერბაიჯანულ კომპანიებთან... ეს რეალურად მიგაჩნიათ?**

— ძნელია ფაქტების გარეშე მტკიცებით ფორმაში ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობ, ყველა ეჭვის საფუძველს, რომლებიც, შესაძლოა, საზიანო იყოს ჩვენი ქვეყნისთვის, ისევ ხელისუფლება ქმნის. ამიტომ ვთქვი, რომ ეს პროცესი უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს, თორემ, როცა ისიც არ ვიცით, ვინ აწარმოებს მოლაპარაკებებს და ვინ არის ჩართული კომისიაში, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს, ბუნებრივია, ეჭვი და ჭორი ბევრი იქნება.

**— მინდა, საბერძნეთის ეკლესიის სკანდალურ გადაწყვეტილებაზეც გკითხოთ. მოგეხსენებათ, ამ დღეებში საბერძნეთმა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა, რასაც გარკვეული გამოხმაურება ჩვენთანაც მოჰყვა. ზოგიერთი სასულიერო პირი წერდა: დროა, საქართველომაც გადადგას მსგავსი ნაბიჯიო...**

— ის, რომ თანამედროვე ეპოქაში ჭეშმარიტი ქრისტიანული ღირებულებები საფრთხეშია, სიახლე არავისთვისაა. მსოფლიო გლობალისტური ძალების მისწრაფება, რომ ადამიანი ფუნდამენტურად შეცვალონ, სხვა არაფერია, ამ ღირებულებების დისკრედიტების მცდელობის გარდა. ამის ნაწილია ის, რომ ბოლო პერიოდში მართლმადიდებელ სამყაროში სულ უფრო ხშირად ხდება განხეთქილების პროვოცირება. სხვათა შორის, საქართველოში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ანტიეკლესიური ძალები. ერთ ფაქტს მოვიყვან: ამასწინათ ერთ-ერთმა ლიბერალურმა ტელევიზიამ მოამზადა სიუჟეტი, რომ თითქოს ქეთევან წამებულის ტაძრის მოძღვარმა ახალგაზრდა ბიზნესმენი გალახა და ტაძრიდან გააგდო. სინამდვილეში კი აი რა მოხდა: არის ასეთი ადამიანი **ლევან ჯიქური,** რომელიც 20-21 ივნისის ღამეს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს და ახლახან გათავისუფლდა. ეს პიროვნება ადრეც ყოფილა ნასამართლევი. მოკლედ, ცოტა ხნის წინათ ამ ადამიანმა ჩვენთან მოიტანა ბზის ნერგები, რომლებიც გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ შევიძინეთ. მოგვიანებით გაირკვა, რომ არც ერთი ნერგი არ ვარგოდა — თითქმის არც ერთმა ნერგმა არ გაიხარა და გახმა. ამ ადამიანს დავუკავშირდით და პასუხი მოვთხოვეთ, რაზეც მისი რეაქცია იყო უმწვავესი — **იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მოეხადა გაფუჭებული ნერგებისთვის, მოვარდა და ტაძრის ეზოში ცხვირწინ იარაღი გვიტრიალა. ეს კიდევ არაფერი, გავარდა ამის შემდეგ და სასამართლოში დაიწყო ჩივილი, — მცემესო.** მე პოლიციას გადავეცი ყველა მტკიცებულება, მათ შორის, სატელეფონო საუბარიც, რომლიდანაც ჩანს, რომ ეს ადამიანი აგრესიულია. მიუხედავად ამისა, ეს საქმე თაროზე შემოდეს და, როცა ვიკითხეთ, რატომ არ დაიწყო გამოძიება, გვიპასუხეს: ეს ადამიანი სულით ავადმყოფად აღიარეს და გამოძიება შეწყვეტილიაო. ბუნებრივია, გვიჩნდება შეკითხვა: რა მიზანს ემსახურებოდა ეს ბინძური პროვოკაცია, თუ არა ჩემი და მთლიანად ეკლესიის ავტორიტეტის დისკრედიტაციას? რაც შეეხება ისევ საბერძნეთის ეკლესიის გადაწყვეტილებას: თუ ეს სიმართლეა და ელადის ეკლესიამ მართლა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, ეს კატასტროფაა. ამას, დიდი ხანია, ელოდნენ ე.წ. მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, როგორც ჩანს, მართლმადიდებელ სამყაროში ძალიან რთული და სახიფათო პროცესები იწყება და ის, რომ საქართველოს კიდევ ერთხელ მოუწევს ბეწვის ხიდზე გავლა, ნათელია...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროგნოზები, რომლებიც ახდა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მართლმადიდებლობაზე თავდასხმის პარალელურად, „მეხუთე კოლონის“ ანტიეროვნული საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქართული ისტორიისა და კულტურის იმ მოღვაწეთა დისკრედიტაცია, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული სულიერების განვითარება. ამ თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელია „რეფორმატორთა“ დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა თუ გალაკტიონის მიმართ. ერთდროულად ისინი ჩვენს ისტორიაში იქექებიან და გამოქექნიან ხოლმე ისეთ ფაქტებსა თუ მოვლენას, რომელშიც, თანამედროვე თვალსაზრისით, თანამედროვე გაგებით, ქართველი ერი, მართლმადიდებლური ეკლესია, ცალკეული ისტორიული პიროვნებები წარმოჩნდებიან, როგორც ველური და რეტროგრადები.**

# რამ დაგვღუპა? რა გადაგვარჩენს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა, 36-ე ნომერში გამოვაქვეყნეთ ამონარიდები პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას 20 წლისწინანდელი ინტერვიუებიდან მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, გლობალიზაციის ამერიკული ვარიანტის დამღუპველობასა და გარდაუვალ კრახზე, მის მავნე ზეგავლენაზე ქვეყანასა და ხალხზე. როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ბატონი ალექსანდრეს ეს პროგნოზები ზედმიწევნით ასრულდა.
დღეს გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ამონარიდს ალექსანდრე ჭაჭიას ვრცელი ინტერვიუდან:**

***„...ახლანდელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობის მიდგომა განპირობებულია საქართველოს, როგორც გეოგრაფიული სივრცის გაგებით, როგორც ტერიტორიისა, რომლის მდებარეობა ხელსაყრელია გარკვეული მსოფლიო ძალების მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონსტრუქციების რეალიზაციისათვის. მე კი საქართველოს განვიხილავ, როგორც ქართველი ერის არეალს, როგორც ტერიტორიას, რომელზეც ჩემი ხალხი უნდა ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს, მე განვიხილავ ქართულ სახელმწიფოს, როგორც ქართველი ერის თვითგამორკვევის ფორმას, როგორც ინსტრუმენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აქ მცხოვრები ხალხის განვითარება და კეთილდღეობა. ამაშია პრინციპული სხვაობა...**

*...არსებობს ორი ტიპის პროვინციალიზმი: პირველი ითვალისწინებს ცხოვრების ჩამოყალიბებული წესით აბსოლუტურ თვითკმაყოფილებას და კატეგორიულად უარყოფს ნებისმიერ უცხო გამოცდილებას; მეორე ტიპი, პირიქით, სრულიად უარყოფს საკუთარ ეროვნულ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფასეულ ორიენტაციებს, ხოლო საჭიროდ და პროგრესულად აღიარებს მხოლოდ უცხოურს, სხვა, მათი აზრით, „ცივილიზებული“ ერებისთვის დამახასიათებელ თვისებებსა თუ წესებს. პროვინციალიზმის ეს მეორე ტიპი, რომელსაც მე სნობისტურ პროვინციალიზმს ვეძახი, საქართველოში კოლოსალური მასშტაბებით გავრცელდა.

საზოგადოებაში ისინი საკმაოდ დიდ წრეს შეადგენენ: პოლიტიკური ელიტის უმრავლესობა, თითქმის მთელი ე.წ. ელიტური ინტელიგენცია, მეძავები, ჰომოსექსუალისტები და ა.შ. მათ, ვინც პოლიტიკაში მოვიდა, „ახალგაზრდა რეფორმატორები“ დაარქვეს, თუმცა ბევრი მათგანი არა ასაკით, არამედ მხოლოდ გონივრული განვუითარებლობით თუ ესადაგება ამ განსაზღვრებას... მათი თანამოაზრეები არიან მთავრობაში, სამინისტროებსა და უწყებებში, ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტის მსგავს სტრუქტურებში და ჟურნალისტიკაში. ამ ადამიანებისათვის ყველაფერი, რასაც უცხოელი „მეგობარი“ უკარნახებს ან საზღვარგარეთ ნახავენ, კანონია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი მათგანი დაქირავებული აგენტია. ისინი საკუთარ ქვეყანაში უცხო ინტერესების გამტარებლები უფრო რწმენის გამო არიან, ვიდრე ფულისა თუ იმ კომპრომატის გამო, რომელსაც სხვა ქვეყნებში „გართობისას“ ტოვებენ. მათ მართლა სჯერათ, რომ ... ამერიკული მასობრივი კულტურა ცივილიზაციის მწვერვალია, რომ გლობალიზაცია კარგია, ხოლო ეროვნული სახელმწიფო — ცუდი, რომ ქართველები ველური და ჩამორჩენილი ხალხია და საჭიროა, მათ ამერიკელებმა თუ ინგლისელებმა უხელმძღვანელონ, ჭკუა ასწავლონ.

პროვინციელი რეფორმატორებისგან განსხვავებით, ნორმალურ ადამიანებს ესმით, რომ სავალუტო ფონდმა, რომელიც ერთი და იგივე რეცეპტით აწარმოებს საქართველოს, რუსეთის, ანგოლის თუ პაპუა-გვინეის „რეფორმირებას“, დაანგრია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და ქვეყანა აფრიკული ტიპის კოლონიად აქცია, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ისეთი ქვეყნის გაწევრიანება, როგორიც საქართველოა ახლანდელ ეკონომიკურ მდგომარეობაში, თვითმკვლელობის ტოლფასია. ტყუილად კი არ აცხადებენ გაცილებით უფრო განვითარებული ქვეყნები, მათი მოსახლეობა, ადგილობრივი მწარმოებლები სასტიკ პროტესტს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოძალეობის გამო.

აღმოჩნდა, რომ ისეთი თითქოსდა ჰუმანური ორგანიზაციაც კი, როგორიცაა „ექიმები საზღვრებს გარეშე“, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების მიერაა შექმნილი და სადაზვერვო-პოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებს. ნორმალურ მოაზროვნეებს, აგრეთვე, ესმით, რომ ნატო საქართველოს განიხილავს მხოლოდ როგორც რუსეთზე ზეწოლისათვის ხელსაყრელ პლაცდარმს, ხოლო ამიერკავკასიიდან რუსეთის წასვლისა და საქართველოში ნატოს ეგიდით თურქული ჯარის შემოყვანის შემდეგ არც ერთი ჩვენი პრობლემა მსოფლიოში არავის აღარ შეაწუხებს, გლობალური კონფლიქტის შემთხვევაში კი ნატოს ჯარი საკუთარ ქვეყნებში დაბრუნდება, ხოლო საქართველოს რუსეთთან პირისპირ მოუწევს ურთიერთობების გარკვევა. ასე იყო 1918-1921 წლებში, როდესაც ჩვენი „გულითადი მწყალობლები“ — ინგლისელები და გერმანელები გვპირდებოდნენ „ევროპაში შეყვანას“, დაცვასა და მხარდაჭერას, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ელვისებური სისწრაფით გაიქცნენ, ქართველი ცოლებიც კი მიატოვეს, სამაგიეროდ, სოლიდური მატერიალური ფასეულობები „გააყოლეს ხელს“.



**ნატო საქართველოს განიხილავს მხოლოდ როგორც რუსეთზე ზეწოლისათვის ხელსაყრელ პლაცდარმს, ხოლო ამიერკავკასიიდან რუსეთის წასვლისა და საქართველოში ნატოს ეგიდით თურქული ჯარის შემოყვანის შემდეგ არც ერთი ჩვენი პრობლემა მსოფლიოში არავის აღარ შეაწუხებს**

***... მთავარი, რაც ჩემში პროტესტს იწვევს, არის ის, რომ მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების იმ გეგმებში, რომელთა რეალიზაციაშიც ჩართულია საქართველო, ქართველი ერის ადგილი, როლი, მომავალი არ ჩანს. ამ მსოფლიო ძალთათვის აბსოლუტურად სულერთია, ვინ იცხოვრებს ჩვენს ტერიტორიაზე, ვინ მოემსახურება ნავთობსადენს, როგორი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული დონე. მეტიც, მათთვის უფრო მომგებიანია, რომ ქვეყანაში ძირძველი მოსახლეობა რაც შეიძლება ნაკლები იყოს, ვინაიდან მკვიდრ მოსახლეობას ყოველთვის მეტი პრეტენზია აქვს, ისინი ძნელად შეურიგდებიან მოსამსახურე პერსონალის როლს საკუთარ სამშობლოში. ამერიკელები ტყუილად კი არ ხოცავდნენ ინდიელებს, ხოლო მონები აფრიკიდან მოჰყავდათ. პრაქტიკამ ამერიკელები მიახვედრა, რომ ძირძველი მოსახლეობა ყოველთვის იბრძვის თავისუფლებისათვის საკუთარ მიწაზე და ამიტომ მათი განადგურება ამჯობინეს. ეს პრინციპი, მოსახლეობის დენაციონალიზებასთან ერთად, დღესაც მოქმედებს, რაც საქართველოს მაგალითზეც ნათლად ჩანს. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველობა აღარ ცხოვრობს, ჯავახეთი და ქვემო ქართლიც ქართველებისგან თითქმის დაიცალა, ერის მესამედმა სამშობლო იძულებით მიატოვა. გარდა ამისა, მსოფლიო ძალებისათვის სულერთია, თუ რომელი ქვეყნის იურისდიქციაში შედის ესა თუ ის ტერიტორია, მთავარია, იგი მათ მიერ კონტროლირებადი იყოს. მეტიც, ერთიანი ქვეყნის დაშლა და დასუსტება კონტროლის დაწესებისთვისაც უფრო ხელსაყრელია. მათ პოლიტიკას მე დავარქვი ხუთი „დ“-ს პოლიტიკა: დენაციონალიზაცია, დესტრუქცია, დეინდუსტრიალიზაცია, დეზინტეგრაცია, დეგრადაცია. გაგიკვირდება კიდევაც, რანაირად აღმოჩნდა საქართველოში ამდენი გაუნათლებელი პროვინციელი სნობი... უნდა აღინიშნოს, რომ ამ სნობთა უმრავლესობას საერთო მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებები აქვს, რომლებიც, ჩემი აზრით, განაპირობებენ კიდევაც მათ ანტიეროვნულ საქმიანობას. ეს მათ წარმოშობას, პიროვნულ ჩამოყალიბებას, ინტელექტუალურ და ზნეობრივ განუვითარებლობას, ანომალიურ მიდრეკილებებსა და ფსიქიკურ გადახრებს ეხება და ამიტომ არასასიამოვნო და უხერხულია ამ თემაზე საუბარი...**

* ...ახლანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს მხარს უჭერს ე.წ. ელიტური ინტელიგენცია, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა იმას, რაც მოდურია, ყოველთვის იდგა იქ, სადაც ფული და ძალაუფლება იყო. ინტელიგენციის ეს ნაწილი დიდი ხანია, მოწყვეტილია საკუთარ ხალხს, ქედმაღლური ზიზღით უყურებს მას და სურს მისი „ცივილიზება“... „რეფორმატორული ფრთა“ და მათი მხარდამჭერი ინტელიგენციის ნაწილი „მეხუთე კოლონა“ გახლავთ, რომელიც ნებისმიერ მომენტში მზადაა, გაყიდოს ქვეყნის ეროვნული ინტერესები. ისინი არიან ყველგან, ყველა ქვეყანაში, მათი საქმიანობა, ხელისუფლებაში მოსვლა „გლობალიზაციის“ მსოფლიო გეგმის შემადგენელი ნაწილია. არის ქვეყნები, სადაც მათ ხელისუფლებაში მოსვლის საშუალებას არ აძლევენ, მკვეთრად ზღუდაენ მათ დამანგრეველ, დესტრუქციულ საქმიანობას, მაგრამ არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც ისინი მოდიან ხელისუფლებაში, როგორც წესი, უკანონო გზით, გარეშე ძალის დახმარებით და შემდეგ მსოფლიო სტრუქტურების გლობალური გეგმის შესაბამისად, ცდილობენ მოსახლეობის დენაციონალიზებას, შლიან სახელმწიფოს, ანგრევენ ეროვნულ ეკონომიკას, ქვეყანას კოლონიად აქცევენ.

***„ ... გლობალიზაცია ითვალისწინებს დედამიწაზე ერთიანი წესრიგის, ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიკური კანონების დაწესებას, ცხოვრების ერთიანი წესის, საზოგადოების ფუნქციონირების ერთიანი პრინციპების დამყარებას. ეს უნიფიცირებული წესები შემუშავებულია შეერთებული შტატების მიერ, ანუ ოპტიმალურად შეესაბამება ამ ქვეყნისა და მისი ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას, ისტორიულ გამოცდილებას, კულტურასა და მენტალიტეტს. ამ თეორიის თანახმად, მსოფლიო მართვის ცენტრი ვაშინგტონი უნდა იყოს. ხსენებული პოლიტიკის მიზანია სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაზე, მსოფლიო ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, ტექნოლოგიების განაწილებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება. დღეს დედამიწის მოსახლეობის 20 პროცენტი, ე.წ. „ოქროს მილიარდი“ 82-ჯერ მეტ რესურსებს მოიხმარს, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი 80 პროცენტი. იმის გამო, რომ რესურსების მსოფლიო მარაგი შეზღუდულია, მილიარდმა ისევ მდიდრულად რომ იცხოვროს, დანარჩენი მსოფლიო სიღატაკეში უნდა იმყოფებოდეს. თუ ღარიბ ქვეყნებში განვითარება და გამდიდრება დაიწყება, მაშინ მდიდარ ქვეყნებში მოხმარების დონე უნდა შემცირდეს... რა იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასავლეთის ბრძოლის მიზეზი? ამერიკელები აცხადებდნენ, რომ მათ აწუხებთ ადამიანის უფლებების დაცვა, სამხედრო აგრესიის საფრთხე, მცირე ერების, ეროვნული უმცირესობების ინტერესები და ა.შ. დღეს, ალბათ, აღარ დარჩა იდიოტი, რომელსაც ამ ზღაპრების სჯერა, ვინაიდან დღეს დასავლეთი ერივნების საერთოდ გაუქმებას ითხოვს... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში ადამიანის არც ერთი უფლება დაცული არ არის, მათ შორის — სიცოცხლის უფლებაც: მხოლოდ ომებში ასიათასობით ადამიანი დაიღუპა, მილიონერი შიმშილით დაიხოცნენ, ათეული მილიონობით — სიღატაკეში ცხოვრობენ. მაგრამ დასავლეთს, ე.წ. „ოქროს მილიარდს“ ეს უკვე აღარ აინტერესებს. რატომ? იმიტომ, რომ გადაწყვეტილია მთავარი ამოცანა: უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც მოიცავს ძირითადი რესურსების მსოფლიო მარაგის ნახევარზე მეტს, დასავლეთის კონტროლის ქვეშ იმყოფება და რაც ნაკლები მოსახლეობა იცხოვრებს ამ სივრცეში, რაც უფრო დაბალი იქნება აქ ტექნოლოგიური განვითარების დონე, მით უკეთესია მდიდარი ქვეყნებისათვის.**

*ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ახლანდელმა კოლონიურმა და ნახევრად კოლონიურმა სახელმწიფოებმა, მათ შორის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმაც, საიდანაც მდიდარი ქვეყნები თავიანთი მრეწველობისთვის ნედლეულს ქაჩავენ, თვითონ დაიწყონ ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვა და კონკურენტუნარიანი საქონლის დამოუკიდებლად წარმოება. ეს ხომ კატასტროფაა მდიდარი ქვეყნებისათვის: ისინი ჰკარგავენ ნედლეულის მიმწოდებლებს, მათი პროდუქცია აღარ იყიდება, მათ მთავრობებს აღარ ექნებათ ამ ქვეყნებზე ზეწოლის ბერკეტები, ვინაიდან ისინი დამოუკიდებლები ხდებიან. ამიტომ „ოქროს მილიარდის“, გლობალისტების ამოცანაა, არ დაუშვან რაც შეიძლება მეტი ქვეყნის განვითარება. მაგალითად, საქართველოსთვის არ არის გათვალისწინებული სამრეწველო, აგრარულ-ინდუსტრიული განვითარება, მის ტერიტორიას, როგორც ირკვევა, სატრანზიტო მიზნებით გამოიყენებენ და რამდენიმე სახის ნედლეულს გაზიდავენ. ამისათვის არ არის სკაჭირო ინტელექტუალური პოტენციალი, კვალიფიციური ეროვნული კადრები, ამიტომ ჩვენ ვერ გავი-

**„ერების უნიფიცირება, მსოფლიოს ერთი ცენტრისადმი დამორჩილება, ერთი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დიქტატი შეუძლებელია. მხოლოდ ბჟეზინსკის (აწ უკვე მოუსავლეთში წასულის) და ამერიკული ისტებლიშმენტის ანალოგიურ მარაზმულ ნაწილს შეუძლია იფიქროს, რომ ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, იაპონია გლობალიზაციასა და დენაციონალიზებას დაემორჩილებიან, საკუთარ ეროვნულ ინტერესებს უარყოფენ და თამაშის ამერიკულ წესებს სამუდამოდ მიიღებენ. ბევრ ამერიკელ ანალიტიკოსს ესმის ამ ჩანაფიქრის უპერსპექტივობა, წერენ გარდაუვალ კრახზე, ახლანდელი წარმატებების დროებით ხასიათზე, გლობალური შეჯახების შესაძლებლობაზე, რაც ყველასათვის დამღუპველი იქნება... დიდი სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, დაასამარებენ ამ „გლობალურ პროექტს“, მაგრამ საქართველომ იმ დროისთვის შეიძლება დღევანდელ მოკვეთილ საზღვრებშიც კი ვეღარ იარსებოს“**

# პროგნოზები, რომლებიც ახდა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«წარმოიდგინეთ, რომ ახლანდელმა კოლონიურმა და ნახევრად კოლონიურმა სახელმწიფოებმა, მათ შორის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმაც, საიდანაც მდიდარი ქვეყნები თავიანთი მრეწველობისთვის ნედლეულს ქაჩავენ, თვითონ დაიწყონ ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვა და კონკურენტუნარიანი საქონლის დამოუკიდებლად წარმოება. ეს ხომ კატასტროფაა მდიდარი ქვეყნებისათვის: ისინი კარგავენ ნედლეულის მიმწოდებლებს, მათი პროდუქცია აღარ იყიდება, მათ მთავრობებს აღარ ექნებათ ამ ქვეყნებზე ზეწოლის ბერკეტები, ვინაიდან ისინი დამოუკიდებლები ხდებიან. ამიტომ «ოქროს მილიარდის», გლობალისტების ამოცანაა, არ დაუშვან რაც შეიძლება მეტი ქვეყნის განვითარება. მაგალითად, საქართველოსთვის არ არის გათვალისწინებული სამრეწველო, აგრარულ-ინდუსტრიული განვითარება»**

გონებთ „რეფორმატორთა“ წინადადებებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და მაღალეფექტიანი წარმოების შექმნის შესახებ, ვერ ვიხილავთ განათლებისა თუ ფუნდამენტალური მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვას. კოლონიას, სადაც მოსახლეობა ტრანზიტს ემსახურება, მეცნიერები არ სჭირდება. სამაგიეროდ, ვიხილავთ ბევრ ისეთ სულელურ, ხმაურიან კამპანიას, რომელსაც „სასამართლო რეფორმა“, „მთავრობის რესტრუქტურიზაცია“ თუ „ბიუჯეტის ოპტიმიზაცია“ ჰქვია.

***„გლობალისტების“ გზაზე ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების ეროვნული ინტერესები, მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნება, განვითარებისკენ ერის ბუნებრივი მისწრაფება. ამიტომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველმა მოადგილემ სტროუბ ტელბოტმა (პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის — საქართველოს მთავარმა „უფროსმა“) ახლახან პირდაპირ განაცხადა, რომ XXI საუკუნეში ცნება „ერი“ საბოლოოდ მოძველდება, ცალკეულმა ქვეყნებმა კი სუვერენიტეტის ნაწილზე უარი უნდა თქვან და ერთიანი გლობალური ხელისუფლება აღიარონ. სწორედ ამიტომ ჩვენი „რეფორმატორების“ თავდასხმის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ეროვნება, ქართველთა ეროვნული კულტურა, ეროვნული ტრადიცია, რაშიც მათ აქტიურად ეხმარება „ელიტური“ ინტელიგენცია. ვინ იფიქრებდა ჯერ კიდევ 10 წლის წინ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოში ეროვნებას გააუქმებდა?! დღეს უკვე ცხადია, რომ „მეხუთე კოლონამ“, „ეროვნული ინტელიგენციის“ სრული მხარდაჭერით, წარმატებით განახორციელა 3-მილიონიანი ერისთვის ესოდენ დამღუპველი აქტი...**

ერის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს რელიგია და ამიტომ ტრადიციულ რელიგიასთან ბრძოლა „გლობალისტების“ სერიოზული ამოცანაა. განსაკუთრებით ეს შეეხება მართლმადიდებლობასთან ბრძოლას, ვინაიდან მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც წესი, ღრმად ეროვნულია, ხოლო მართლმადიდებელი ერი ძალიან ტრადიციულია, ნაკლებად ემორჩილება უცხო გავლენას, ყველანაირად ცდილობს თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ასევე ცხადია, რომ ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთობის შენარჩუნება ძირითადად მართლმადიდებლობის დამსახურებაა...

*მართლმადიდებლობაზე თავდასხმის პარალელურად, „მეხუთე კოლონის“ ანტიეროვნული საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქართული ისტორიისა და კულტურის იმ მოღვაწეთა დისკრედიტაცია, ვის სახელებთანაც დაკავშირებულია ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული სულიერების განვითარება. ამ თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელია „რეფორმატორთა“ დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა თუ გალაკტიონის მიმართ. ერთდროულად ისინი ჩვენს ისტორიაში იქექებიან და გამოძებნიან ხოლმე ისეთ ფაქტებსა თუ მოვლენას, რომელშიც, თანამედროვე თვალსაზრისით, თანამედროვე გაგებით, ქართველი ერი, მართლმადიდებლური ეკლესია, ცალკეული ისტორიული პიროვნებები წარმოჩნდებიან, როგორც ველური და რეტროგრადები. მაგალითად, „რეფორმატორთა“ მუდმივ სალაპარაკო თემად იქცა შუასაუკუნოვანი ქართული საზოგადოების „მხილება“ იმაში, რომ დიდი მოაზროვნე **სულხან-საბა ორბელიანი** კათოლიკობის მიღებისთვის ჩვენმა სამღვდელოებამ „წვერით ათრია“.

შუა საუკუნეებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი ერის ხსნის, ასიმილირებისაგან გადარჩენის მთავარი ფაქტორი მართლმადიდებლობა იყო. ეს იყო უმაღლესი სულიერი ღირებულება, ქართველობის მაჩვენებელი... ქართული ეკლესიის ბევრი წმინდანი, წმინდა ნინოთი თუ აბო თბილელით დაწყებული, ბევრი ეროვნული გმირი არ იყო ეთნიკური ქართველი, მაგრამ, მიიღეს რა მართლმადიდებლობა, ერის ნაწილად იქცნენ. ამავე დროს წმინდა სისხლის ქართველები, ვინც ნებაყოფლობით სხვა სარწმუნოება მიიღო, მათ შორის მეფეებიც კი — **როსტომი, დავითი, კონსტანტინე** — ქვეყნის ისტორიასა და ხალხის მეხსიერებაშიც მოღალატეებად დარჩნენ. მართლმადიდებლობის ღალატი სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო. ასე იყო და სწორედ ამ მიზეზით გადარჩა ჩვენი ერი. ასე რომ, დიდმა საბამ, მიიღო რა კათოლიკობა, რა ძნელიც უნდა იყოს ამის თქმა, უმაღლეს ქართულ სულიერ ღირებულებას უღალატა და მაშინდელი ქართული საზოგადოების რეაქცია სავსებით ასახსნელი და გასაგებია. ერთი დაფიქრდნენ ჩვენი „დემოკრატები“ იმაზე, თუ როგორი იქნებოდა „ცივილიზებული“ კათოლიკური საზოგადოების რეაქცია, მათი ქვეყნის ელჩს სხვა სარწმუნოება რომ მიეღო. თუ ინკვიზიციის პრაქტიკას გავითვალისწინებთ, რომელმაც ასიათასობით ადამიანი ერესის ბრალდებით ცოცხლად დაწვა, ასეთ ელჩს კოცონზე დაწვავდნენ.

***... მსოფლიო გლობალიზაციის ცდები XX საუკუნეში უკვე იყო, მაგრამ ყველა კრახით დამთავრდა. გაიხსენეთ 20-იანი წლების ბოლშევიკები. გლობალიზაციის მათეული პროექტიც ითვალისწინებდა ეროვნული თვითიდენტურობის, ეროვნული ინტერესების, ეროვნული საზღვრების უარყოფასა და ერთიანი მსოფლიო მთავრობის შექმნას. რუსეთს, სადაც მათ ხელისუფლება ჩაიგდეს ხელში, ისინი განიხილავდნენ, როგორც ამოსავალ წერტილს, პლაცდარმს მსოფლიოს დასამორჩილებლად. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ხალხის 90 პროცენტი მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენდა, ანუ პატრიოტიზმი მათ მაინცდამაინც არ აწუხებდა. სტალინს თითქმის 20 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ ბოლო მოეღო კოსმოპოლიტური ბანდის თარეშისათვის და ქვეყანა სახელმწიფოებრივი განვითარების გზით წაეყვანა. სხვათაშორის, სწორედ ამაშია სტალინის პოლიტიკური გენიალურობა და უდიდესი ისტორიული დამსახურება და სწორედ ამის გამო სძულს იგი გლობალიზმით დაავადებულ მსოფლიო ელიტას. ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი, სხვა ადრინდელი ბოლშევიკები, რომლებმაც მილიონობით ადამიანი დახოცეს და სახელმწიფო ინტერესები, ეროვნული კულტურა, ერების არსებობის უფლება უარყვეს, ახლანდელი მსოფლიო ელიტის მიერ აღიარებულები არიან, როგორც „ტირანი“ სტალინის ხელით დაღუპული „ტრაგიკული ფიგურები“, „წმინდა იდეალისტები“ და ა.შ. სტალინმა იცოდა, რომ განვითარების რევოლუციამდელმა გზამ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, დასავლური მოდელი ევრაზიულ მართლმადიდებლურ-ისლამურ სახელმწიფოში დამღუპველია, ხოლო კოსმოპოლიტური გლობალიზაცია — დანაშაულებრივი უპერსპექტივობა. ამიტომ სტალინმა გააკეთა ის, რაც მსოფლიო ისტორიაში ვერავინ შესძლო: შექმნა სახელმწიფოებრივი მოწყობის სრულიად ახალი ფორმა საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალი ტიპით.**

**გლობალიზაციის განხორციელებას ჰიტლერიც შეეცადა. მისი პროექტი ერთი, გერმანელი ერის ბატონობა ეფუძნებოდა, ხოლო სხვა ერებისათვის თვითმყოფადობისა და პროგრესული განვითარების საჭიროებას უარყოფდა. როგორც ხედავთ, ახლანდელი ამერიკული პროექტი ჰიტლერისეული თუ ადრინდელი ბოლშევიკური პროექტისგან პრინციპულად არ განსხვავდება: ერებისა და ეროვნული ინტერესების იგივე უგულვებელყოფა, იგივე მსოფლიო მთავრობა, იგივე მსოფლიო ბატონობა. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ჰიტლერი სხვა ერებს იარაღის ძალით ანადგურებდა, თანამედროვე გლობალისტები კი — ეკონომიკურად, ინფორმაციულად, ზნეობრივად, თანაც, ეროვნულ სახელმწიფოებში არსებულ „მეხუთე კოლონებზე“ დაყრდნობით. ეს პროექტიც ისევე დამთავრდება, როგორც წინა პროექტები, შესაძლოა, უფრო დიდი მსხვერპლით.**

*გლობალიზმის ქართველი მხარდამჭერები, ჩვენი „მეხუთე კოლონა“, რომელმაც ქვეყანაში ხელისუფლება ჩაიგდო ხელში, თავისი არსით მოფაშისტო ნეობოლშევიკები არიან და მთავარი უბედურება, რომელიც მათ დანაშაულებრივი, მოღალატური საქმიანობით მოგვიტანეს, ის გახლავთ, რომ დღემდე არ არის რეალიზებული ჩვენს ისტორიაში უიშვიათესი შესაძლებლობა — შეგვექმნა და გაგვავითარებინა საკუთარი სახელმწიფო ქართველი ერის საკეთილდღეოდ... ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკის გამო თვით ქართველებს და გარე სამყაროსაც ძალაუნებურად შეუძლიათ იფიქრონ, რომ მთელი ისტორიის განმავლობაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის საერთო ჯამში მხოლოდ 200 წელიწადს არსებობა კანონზომიერია, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია დამოუკიდებელი განვითარების უნარი, რომ არ შეგვიძლია ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება იმ საზღვრებშიც კი, რაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ მივიღეთ, რომ ჩვენ ვერ ჩამოვყალიბდით, როგორც ქმედითუნარიანი ერი.

*... დასასრულ, ერების უნიფიცირება, მთელი მსოფლიოს ერთი ცენტრისადმი დამორჩილება, ერთი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დიქტატი შეუძლებელია. მხოლოდ ბჟეზინსკის (აწ უკვე მოუსავლეთში წასულის) და ამერიკული ისტებლიშმენტის ანალოგიურ მარაზმულ ნაწილს შეუძლია იფიქროს, რომ ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, იაპონია გლობალიზაციასა და დენაციონალიზებას დაემორჩილებიან, საკუთარ ეროვნულ ინტერესებს უარყოფენ და თამაშის ამერიკულ წესებს სამუდამოდ მიიღებენ. ბევრ ამერიკელ ანალიტიკოსს ესმის ამ ჩანაფიქრის უპერსპექტივობა, წერენ გარდაუვალ კრახზე, ახლანდელი წარმატებების დროებით ხასიათზე, გლობალური შეჯახების შესაძლებლობაზე, რაც ყველასათვის დამღუპველი იქნება... დიდი სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, დაასამარებენ ამ „გლობალურ პროექტს“, მაგრამ საქართველომ იმ დროისთვის შეიძლება დღევანდელ მოკვეთილ საზღვრებშიც კი ვეღარ იარსებოს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღარ იარსებებს კონცენტრირებული პოპულაცია სახელწოდებით „ქართველი ხალხი“.



***... მე ევროპული ორიენტაცია მესმის, როგორც სწრაფვა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ, ინტენსიური ტექნოლოგიური პროგრესისაკენ, ეფექტური სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოებისაკენ, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისაკენ, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისაკენ. ჩვენმა „ევროპელებმა“ კი საკმაოდ განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული რესპუბლიკა ღატაკ, ჩამორჩენილ, კოლონიურ პროვინციად აქციეს, ...ამ დამნაშავეებმა საკუთარი ხალხი და ქვეყანა 100 წლით უკუაგდეს. ეს არის ევროპული ორიენტაცია? ასეთი „ევროპულობის“ წინააღმდეგი ვარ და ყოველთვის ვიქნები.**

*... ის კულტურა, რომელსაც ქართულ საზოგადოებას „ევროპულის“ ნიღაბით ახვევენ თავს, არის ამერიკული მასობრივი კულტურა და ამერიკული ცხოვრების წესი, რომელიც ჩამოყალიბდა დენაციონალიზებული საზოგადოების მიერ ყოველგვარი განსაზღვრული რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობებისა და კულტურულ-ისტორიული ორიენტირების გარეშე. ეს კულტურა თავისი ბუნებით ანტიეროვნულია, მიმართულია ეროვნულის ნგრევისაკენ, ტრადიციულის მოსპობისაკენ. ევროპელი ერები, რომლებიც დიდი ხანია, ამ ფსევდოკულტურის დამანგრეველ გავლენას განიცდიან, აქტიურად ცდილობენ მისი მოძალებისგან გათავისუფლებას. მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული „მეხუთე კოლონები“ სარგებლობენ მოსახლეობის მიმნდობლობით, მსოფლიო პროცესებისგან მისი მრავალწლიანი მოწყვეტით, იყენებენ ადგილობრივი კვაზიინტელიგენციის უვიცობასა და გამყიდველობას და ხალხს თავს ახვევენ ამ კულტურულ სუროგატს, ხოლო ამ ანტიეროვნული ბარბაროსობის მოწინააღმდეგეებს ევროპოფობებს, რეტროგრადებს, ფაშისტებს არქმევენ, რაც მათ საქმიანობას, სხვათაშორის, უკუეფექტს აძლევს. თავად განსაჯეთ — ჩვენს ისტორიაში ვერავინ, მოახერხა ხალხის თვალში ევროპული ორიენტაციისა და ევროპული კულტურის ისეთი დისკრედიტაცია, როგორც „რეფორმატორებმა“ მოახერხეს“

**(გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2000 წლის მაისი).**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტრატეგია და მთავარი გზავნილი ამომრჩევლისადმი, რომ თუნდაც „ნაცმოძრაობის" ვერდაბრუნებისთვის უნდა მომცე ხმა, დიდწილად უცვლელი დარჩა. არადა, ვხედავთ, რომ საზოგადოებას უკვე დაავიწყდა კიდეც არ თუ ვერ აღდგენილი სამართლიანობა; დაავიწყდა შეუსრულებელი დაპირებები და მთავარი მოლოდინი არის ალტერნატიული პოლიტიკური ბირთვის ჩამოყალიბება. ხელისუფლება ამას ვერ ხვდება ან ხვდება, მაგრამ რეალობის არსებითად შეცვლას ვერ ახერხებს და გვაქვს ჭაობი.**



## ნანა კაკაბაძე:

# ხელისუფლება გარკვეულწილად პოლიტიკურ წარსულში ჩარჩა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ერთ-ერთ გადაცემაში მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საუბრისას განაცხადა, რომ ხელისუფლება მზად არის, კოალიცია შექმნას იმ პარტიებთან, რომლებთანაც ღირებულებითი თანხვედრა ექნება. მისი თქმით, დღევანდელ პარლამენტში ასეთ ძალებს ნაკლებად ხედავს, თუმცა პოლიტიკურ სპექტრში არიან სუბიექტები, რომლებთანაც მმართველ გუნდს ეს თანხვედრა აქვს: „ღირებულებითი თანხვედრა გვაქვს იმ პარტიებთან, რომლებთანაც ვთანამშრომლობდით წინა არჩევნებში, რომლებიც დღეს არიან ჩვენი უმრავლესობის რიგებში და, შესაძლოა, ხვალაც გამოჩნდეს პოლიტიკური პარტია, რომელთანაც გვექნება ღირებულებითი თანხვედრა..." იმავე გადაცემაში წამყვანის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა „ოცნებამ" ყოფილი რესპუბლიკელის — დავით უსუფაშვილის „შენების მოძრაობასთან" შექმნას კოალიცია, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ, თუ ის (უსუფაშვილის პარტია) პარლამენტში შევა, ამაზე იმსჯელებენ. მისივე განმარტებით, მთავარია, კოალიციაში (თუ ის შეიქმნება) არ მოხვდნენ „დესტრუქციული ძალები", რომელთა ხედვები და იდეოლოგია ეწინააღმდეგება „ოცნების" დეკლარირებულ პოლიტიკას...**

თავის დროზე, როცა ბიძინა ივანიშვილმა კოალიცია „ქართული ოცნება" დააფუძნა, მასში სწორედ ღირებულებითი თანხვედრის პრინციპით მოხვდა რესპუბლიკური პარტია (რომლის ლიდერებიც შემდგომ ლგბტ დროშის ფონზე უცხადებდნენ რუსთაველზე ჩაშლილ გეიაღლუმს სოლიდარობას), „თავისუფალი დემოკრატები" (რომელთა დეპუტატებიც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერები იყვნენ ანტიდისკრიმინაციული კანონის), „ეროვნული ფორუმი" (რომელიც თითქოს კონსერვატული ფლანგის ჩამოყალიბებას ცდილობდა თავიდან, მაგრამ შემდგომ უკვე კოალიციის საერთო „ნეოლიბერალურ" პოლიტიკაში აითქვიფა) და ა.შ. რაც შეეხება რესპუბლიკური პარტიის განაყოფ „შენების მოძრაობასა" და მის ლიდერს, რომელთან თანამშრომლობასაც თალაკვაძე არ თუ ვერ გამორიცხავს, ცნობისთვის აღვნიშნავ, რომ დავით უსუფაშვილი ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში ამბობდა, რომ მისთვის უმთავრესი პიროვნების თავისუფლებაა და საკუთარ შვილს არა სამშობლოს სიყვარულს ან პატრიოტიზმსა და თავდადებას, არამედ თავისუფლების სიყვარულს უნერგავს. სწორედ უსუფაშვილის პოლიტიკური გარემოცვა იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების მომხრე, მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის ყველანაირი შეზღუდვის მოხსნის ინიციატორი, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური კონფესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების მხარდამჭერი და ა.შ. თუმცა, როგორც ჩანს, მსოფლიოში მიმდინარე ძირეული იდეოლოგიურ-პოლიტიკური გარდაქმნების მიუხედავად, რომელიც „ლიბერალური" დღის წესრიგის სრულ კრახს გულისხმობს, „ქართული ოცნების" თავკაცი, ბიძინა ივანიშვილი, პოლიტიკური ფსონის დადებას კონსერვატიულ ფლანგზე კი არ აპირებს, არამედ კოალიციაში ძველი, მარგინალური სახეების დაბრუნებაზე.

**რა „ღირებულებითი თანხვედრა"აქვს დღეს „ოცნებას" იმავე „შენების მოძრაობასთან", რა კრიტერიუმით შეიძლება შეირჩნენ მომავალ კოალიციაში პარტიები და რა პოლიტიკურ კონფიგურაციას შექმნის ეს ყველაფერი?**

**„საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ამას წინათ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ, თუ საჭირო იქნება, ხელისუფლება კოალიციას შექმნის პარტიებთან, რომლებთანაც მას „ღირებულებითი თანხვედრა" აქვს. როგორ ფიქრობთ, რა არის დღევანდელი „ქართული ოცნების" მთავარი პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური ღირებულება, რომელმაც ის ვიღაცასთან შეიძლება გააერთიანოს?**

— დავიწყოთ იმით, რომ 2020 წლის არჩევნები ქართული პოლიტიკური სინამდვილისთვის უჩვეულო მოვლენაა, რადგან აქამდე ჩვენს პრაქტიკაში პროპორციული სისტემით არჩევნები არ ჩატარებულა. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, ხელისუფლება ფიქრობს შემდგომ ნაბიჯებზე და იმაზე, როგორ შეიძლება დააკომპლექტოს მთავრობა. რა თქმა უნდა, „ოცნებაში" იმასაც ხვდებიან, რომ მათ შეიძლება, მოუწიოთ კოალიციის შექმნა და ამას გარკვეული წინმსწრები პროცესები ექნება. რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას, **თალაკვაძეს** შეეძლო ეთქვა, რომ არ ითანამშრომლებენ კრიმინალებთან. მხედველობაში მყავს „ნაციონალური მოძრაობა", მისგან განაყოფ პარტიებთან ერთად, და ეს იქნებოდა აბსოლუტურად ლოგიკური, მაგრამ მას ამაზე არ გაუმახვილებია ყურადღება. რატომ? მოდი, ამაზე თვითონ თალაკვაძემ გააკეთოს განმარტება. ჩვენ ფაქტს შევხედოთ ობიექტურად. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება გარკვეულწილად პოლიტიკურ წარსულში ჩარჩა. ის, რაც წლების წინათ, შესაძლოა, პოლიტიკურად მომგებიანი იყო, როგორც საშინაო მოხმარების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, და დღეს უკვე ყავლგასულია, ისევ მთავარ სახელისუფლო რიტორიკად რჩება.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— მაგალითად, ბოლო ხანს ხშირად ისმის რიტორიკა, რომ, თუ „ოცნება" არა, იქნება „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც არის ძალადობრივი, დანაშაულებრივი პარტია და ქვეყანა ისევ იმ საშინელ წარსულში დაბრუნდება. შეიძლება ასე პირდაპირ, ღია ტექსტებით არ ამბობენ ამას, მაგრამ მინიშნებები აშკარაა. სტრატეგია და მთავარი გზავნილი ამომრჩევლისადმი, რომ **თუნდაც „ნაცმოძრაობის" ვერდაბრუნებისთვის უნდა მომცე ხმა, დიდწილად უცვლელი დარჩა. არადა, ვხედავთ, რომ საზოგადოებას უკვე დაავიწყდა კიდეც არ თუ ვერ აღდგენილი სამართლიანობა; დაავიწყდა შეუსრულებელი დაპირებები და მთავარი მოლოდინი არის ალტერნატიული პოლიტიკური ბირთვის ჩამოყალიბება. ხელისუფლება ამას ვერ ხვდება ან ხვდება, მაგრამ რეალობის არსებითად შეცვლას ვერ ახერხებს და გვაქვს ჭაობი.**

რაც შეეხება ისევ ღირებულებების თანხვედრას, ბატონ თალაკვაძეს უნდა ესმოდეს, რომ ხმათა უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას სამპროცენტიან რესპუბლიკელებთან კი არ უნდა ჰქონდეს ღირებულებითი თანხვედრა ან მის განაყოფ ასევე ურეიტინგო და უპერსპექტივო „შენების მოძრაობასთან", არამედ, უწინარესად, ხალხთან. ხალხია ხელისუფლების მთავარი ძალა და ლეგიტიმატორი, თორემ **თავის დროზე რომ შეიყვანეს კოალიციაში პოლიტიკური გვამები, რაც მიიღეს, ყველამ ვნახეთ. კიდევ ვიმეორებ: არც „შენების მოძრაობას", არც რესპუბლიკურ პარტიას და სხვა მსგავს სუბიექტებს ქართველ საზოგადოებასთან საერთო არაფერი აქვთ.** შესაბამისად, თუ „ოცნების" რომელიმე წამყვანი ფიგურა დაიწყებს ლაპარაკს, რომ სწორედ ამ პარტიებთან შეიძლება ჰქონდეთ რამე თანხვედრა, საზოგადოებისთვის ეს იქნება მკაფიო გზავნილი. თუ ვინმე საღად აზროვნებს მმართველ გუნდში და, ალბათ, აზროვნებს, უნდა მიხვდეს, რას მოუტანს ისედაც პოლიტიკურ კრიზისში მყოფ ხელისუფლებას მსგავსი გზავნილები...

**— ალტერნატიული მესამე ძალა ახსენეთ, მსოფლიო და განსაკუთრებით ევროპა, დღეს საოცარი სისწრაფით იცვლება. იდეოლოგიურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა თითქმის ყველა დასავლური ქვეყანა მოიცვა. როგორ ფიქრობთ, საქართველოში არის იმის შესაძლებლობა, რომ მსგავსი ცვლილებები განხორციელდეს?**

— საქართველო თავისი ფასეულობებით, ტრადიციებითა და, საერთოდ, ეთნო-კულტურული თავისებურებებით სხვა მოცემულობაა, ევროპა — სხვა. გამომდინარე აქედან, სიმართლე გითხრათ, ცოტა გადაჭარბებული მგონია ის მოლოდინი, რომ, თუ დასავლეთი იცვლება, ჩვენთანაც აუცილებლად მოხდება ცვლილებები. ეს თავისთავად ერთსა და იმავეს არ გულისხმობს. ალტერნატივას რაც შეეხება, ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას რა ჯობია, მაგრამ ფაქტია, არსებულ პოლიტიკურ დღის წესრიგს ჯერჯერობით რეალური საპირწონე ალტერნატივა არ აქვს. ეს კარგია თუ ცუდი, სხვა საკითხია. ვიღაცისთვის, ალბათ, კარგია, ვიღაცისთვის — ცუდი.

> **«ნებისმიერი მსგავსი გამოცოცხლება «ნაციონალური მოძრაობის» ან მისი განაყოფი პარტიებისა ნიშნავს არა მათი, როგორც ძალაუფლებაზე პრეტენზიის მქონე სუბიექტების, აღმავლობას, არამედ ხელისუფლების უნიათობას და, ამასთანავე, მის მიზანმიმართულ მავნებლურ პოლიტიკას, რომელიც ნაცების მეშვეობით საზოგადოების შანტაჟსა და დაზაფრვაზეა აგებული. ეს უნდა დასრულდეს»**

**— თუმცა იმის ფონზე, რომ დასავლეთში კონსერვატიული ძალები დღითიდღე ძლიერდებიან, აქაც აქვთ გარკვეულ სუბიექტებს, მათ შორის, ლიბერალურ სუბიექტებს, ეროვნულ ძალად გარდასახვის მცდელობა. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილმა თავი ტაძრების ამშენებელ პატრიოტ ლიდერად გამოაცხადა, ამას წინათ გიგა ბოკერიამაც ახსენა ერთ-ერთ გამოსვლაში ღმერთი და სამშობლო... რას ნიშნავს ეს ყველაფერი?**

— შორს ვარ და ყოველთვის შორს ვიქნები იმ აზრისგან, რომ **ბოკერიას** ან **სააკაშვილს** რამე პრინციპები გააჩნიათ. არ არსებობს ასეთი ბოკერია და სააკაშვილი ბუნებაში. გამომდინარე აქედან, ყოველთვის მიკვირდა და მიკვირს იმ ხალხის, რომელსაც გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ან ერთი, ან მეორე იდეური ლიბერალია და თავიანთ იდეოლოგიას არ უღალატებენ. თუმცა ის, რომ დასავლეთში განხორციელებული პოლიტიკური ძვრები მათთვის გარკვეული ბიძგის მიმცემია, ვეთანხმებით. ისე, სიმართლე გითხრათ, სხვებისგანაც ველოდები მომავალში სააკაშვილის მსგავს გარდასახვას ეროვნული სულისკვეთების ადამიანად. მაგალითად, არ გამიკვირდება, თუ, სიტყვაზე, ქალბატონი **ჩერგოლეიშვილი** ერთ მშვენიერ დღეს პატრიოტულ ნოტებზე აჟღურტულდება. იმავეს ველოდები ამ უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობოებისგანაც. საერთოდ, მთელი მაგათი სტრატეგია და მიდგომები აგებულია სარგებლის ძიებაზე — სადაც რაღაც პოლიტიკურ და ფინანსურ დივიდენდებს ხედავენ, იქ ჩნდებიან.

**— ეს ყველაფერი იქონიებს ზეგავლენას საზოგადოების განწყობებზე?**

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენი უახლოესი წარსული ერთ რამეს გვეუბნება: 2003 წელს, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ" მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება, ნაციონალები გაიძახოდნენ, რომ ეს ყველაფერი საჭიროა მეტი დემოკრატიისთვის. მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და, როგორ ესმოდათ დემოკრატია, ყველამ ვნახეთ — მივიღეთ დამონებული სასამართლო, დამონებული მართლმსაჯულება, პატიმრების, მათ შორის, უკანონო პატიმრების უპრეცედენტო რაოდენობა... ერთი სიტყვით, რეჟიმი, რომელიც შემდეგ ცხრა წლის განმავლობაში ველარ მოვიცილეთ. საზოგადოების განწყობებს რაც შეეხება, არ მგონია, რომ ჩვენი საზოგადოება ასეთი გულმავიწყია, მაგრამ რაღაც გულუბრყვილო ნაწილი, ალბათ, მაინც დაიჯერებს სააკაშვილის ან ბოკერიას გამოსწორებას. აი, ამაზე აკეთებენ ზუსტად ისინი გათვლას და, როგორც ჩანს, ხვალზეგ კიდევ არაერთ პოლიტიკურ „აღსარებას" მოვისმენთ. თუმცა დასაწყისშიც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ნებისმიერი მსგავსი გამოცოცხლება „ნაციონალური მოძრაობის" ან მისი განაყოფი პარტიებისა ნიშნავს არა მათი, როგორც ძალაუფლებაზე პრეტენზიის მქონე სუბიექტების, აღმავლობას, არამედ ხელისუფლების უნიათობას და, ამასთანავე, მის მიზანმიმართულ მავნებლურ პოლიტიკას, რომელიც ნაცების მეშვეობით საზოგადოების შანტაჟსა და დაზაფრვაზეა აგებული. ეს უნდა დასრულდეს და რაღაც დონეზე მაინც დამკვიდრდეს ქვეყანაში პოლიტიკური სამართლიანობა. ამის შემდეგ უკვე თავისუფალმა საზოგადოებამ გადაწყვიტოს, რა იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დღის წესრიგს დაამყარებს.

ბოლოს ისევ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაზე ვიტყვი და ამით დავასრულებ: თუ ბატონი თალაკვაძე ფიქრობს, რომ ხელისუფლებას იდეოლოგიური თანხვედრა აქვს „შენების მოძრაობასთან", მაშინ ის ავტომატურად ფიქრობს, რომ იგივე ხელისუფლება იდეოლოგიურად აცდენილია ხალხს. ასეთი ძალის და მით უმეტეს კონკრეტული ფიგურის პერსპექტივა ძალიან საეჭვოა; ასეთი ძალა, ნებსით თუ უნებლიეთ, ხალხს უბიძგებს, ერთხელ და სამუდამოდ დაასრულოს მისი, როგორც სახელისუფლო გუნდის, არსებობა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ნახევარმილიარდიან ზარალზე თანამდებობრივადაც კი არავინ აგებს პასუხს და გაისადაც იგივე იქნება ან უარესი, თუმცა... „სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები, ეგაა ოღონდ — სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდკაცობა სიმთვრალეში გვავიწყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადები უკვე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ...“ — ეს ფრაზა იმ წიგნიდანაა, ავტორი საიდუმლოებით მოცული რომ არის გენპროკურორისთვის, კაცისთვის, რომელმაც, წესით, ყველაფერი უნდა იცოდეს.

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართულმა ოცნებამ» ის მოახერხა, რომ 2012 წელს 151 მლნ ლარის მოგების მქონე საწარმოები 2 წელიწადში 100 მლნ-ის ზარალზე გაიყვანა

**არაერთხელ დაგვიწერია, რომ ეკონომიკის გაძლიერება, იმ სიღარიბიდან ამოსვლის გზა, რომელშიც მთელი ქვეყანაა ჩაფლული, საწარმოების გახსნა და ადგილობრივი პროდუქციის წარმოებაა; იმ პროდუქციის, რომელიც იაფი ეღირება და რომლის ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე იქნება გათვლილი. ის სტატისტიკური მონაცემები მოვიპოვეთ, რომლებიც სახელმწიფოს კუთვნილ საწარმოებს ეხება და, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებული დავრჩით.**

ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2012 წელს სახელმწიფოს კუთვნილი უდიდესი საწარმოების ბრუნვა 2 მილიარდი ლარი იყო. შეგახსენებთ, რომ ეს ის წელია, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ გადააბარა. ჰოდა, ეს წელი მათ 151 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულეს. როგორ გგონიათ, რა დრო დასჭირდა დღევანდელ ხელისუფლებას, რომ 151-მილიონიანი მოგება გაენულებინა? ძალიან ნუ დაიძაბებით და შორს ნუ წახვალთ, მეორე წელსვე, ე.ი., **2013 წლიდან მოგება ზარალმა შეცვალა. თავდაპირველად ჯამური წაგება „სულ რაღაც“ 45 მილიონი ლარი იყო, 2014 წელს ამ მაჩვენებელმა 61 მილიონ ლარამდე მოიმატა. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ 2015 წელს ზარალმა რეკორდული მოცულობის თანხა — 757 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2015 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 2% იყო. როგორც ჩანს, მილიარდიან ნიშნულთან მისვლა ხელისუფლებას არ მოეწონა და 2016 წელს ზარალი მხოლოდ 441 მილიონი ლარი იყო, 2017 წელი კი 562 მილიონის ზარალით დასრულდა, ანუ ისევ „წინ“ წავედით.**

ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის? აღნიშნული საწარმოების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია, პრაქტიკულად, არ აქვს. უხეშად დავიანგარიშოთ: მხოლოდ 562 მილიონი ხელფასის სახით (თვეში 1500 ლარი) რომ დაგვერიგებინა კონკრეტული ოჯახებისთვის, ერთი წლის განმავლობაში 31 ათასი ოჯახი ადამიანურად იცხოვრებდა. 31 ათასი ოჯახი რამდენია, იცით, ბატონებო? 150 ათას კაცამდე...

ციფრებსა და სტატისტიკას თავი დავანებოთ, იმასაც შევეშვათ, რომ ერთი წლის განმავლობაში 150 ათასი ადამიანის გამოსაკვები ფული, უბრალოდ, ზარალში წავიდა, თანაც სახელმწიფო საწარმოების ზარალში, და კონკრეტულ ფაქტებზე გადავიდეთ.

თუ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძეს დავუჯერებთ, საგანგაშო არაფერი არ ხდება(?!):

**„აქ არის სამი ძირითადი საწარმო, რომლებსაც ზარალი აქვს. ეს არის რკინიგზა, სახელმწიფო ელექტროსისტემა და მარაბდა-კარწახის რკინიგზა. ეს სამი საწარმოა, რომლებსაც, ძირითადად, წაგება აქვს დაწერილი. მარაბდა-კარწახის რკინიგზა, მოგეხსენებათ, არ ფუნქციონირებს და იქ განხორციელებული ინვესტიცია არანაირ შემოსავალს არ იძლევა და ახსნა მარტივია. და რა ხდება ელექტროსისტემისა და რკინიგზის შემთხვევაში? ელექტროსისტემაში აქტივების ჩამოწერა მოხდა. 500-კილოვატიანი ხაზი გაკეთდა, მათ შორის, თურქეთზე გამავალი, და ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო ღირებულების მქონე პროექტი, რაც განხორციელდა. ვინაიდან ეს ხაზი არ არის დატვირთული და ვერ წერს იმ შემოსავლებს, რა შემოსავლებიც იყო გათვლილი, მოხდა აუდიტორული კომპანიის შეფასება, რომ ეს არ არის ამ ღირებულების, რაც თავიდანვე დაიხარჯა, და ეს თანხა ერთიანად აისახა ზარალში. იგივე მოხდა რკინიგზის შემთხვევაშიც. აქ იყო თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი. ვინაიდან რკინიგზა მას ვერ იყენებს კომერციული მიზნებისთვის, ეს აისახა როგორც ერთი წლის ხარჯში და აისახა ეს მთლიანად ზარალში. ეს სამი მიზეზია ძირითადად, რომლებმაც უზრუნველყო ამ მოცულობის ზარალი“,** — განმარტა **კაკაურიძემ.**

ეს ყველაფერი, ალბათ, გასაგები იქნებოდა, რომ არა ყოველწლიური ზარალი. ანუ, თუ ერთ წელს ერთი პროექტი ზარალში წავიდა, დანარჩენ წლებში იმავე საწარმოებმა სხვა პროექტები განახორციელეს, რომელიც ასევე ზარალში წავიდა?! და **რატომ დებს სახელმწიფო საწარმო ფულს იმ პროექტებში, რომლებსაც წლის ბოლოს, მოგების ნაცვლად, ნახევარი მილიარდის ზარალი მოაქვს?!**

რა გამოდის?! **ნახევარ მილიარდს ვზარალობთ, თანაც, პრაქტიკულად, მხოლოდ 3 საწარმოსგან და თან ვაფინანსებთ?!** მით უმეტეს **რკინიგზა, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანაში მომგებიანია, საქართველოში რატომ გახდა წამგებიანი?** ეს ის რკინიგზაა, რომელსაც წინა ხელისუფლებამ მმართველობის პერიოდში ლამის მილიარდიანი მოგება დააწერინა, ახლა კი თურმე არარენტაბელურია და ზარალზე მუშაობს; ის რკინიგზა, რომელიც ტურისტულ სეზონზე რეისებს ვერ აუდის დასავლეთის მიმართულებით და ჩქაროსნულ მატარებლებს ამატებს; ის რკინიგზა, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი გადამზიდია ტვირთების, თურმე წამგებიანია.

კეთილი, ასე იყოს, დავიჯეროთ, რომ ეს მოხდა შემთხვევით, უნებურად და ა.შ. მაგრამ **ახლა ხომ ვიცით, სახელმწიფომ ხომ იცის, რომ სამმა საწარმომ (არც მეტი, არც ნაკლები) ერთ წელიწადში ბიუჯეტი ნახევარ მილიარდზე მეტით აზარალა? ჰოდა, ვინმეს თუნდაც ერთი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დაეყენებინა? არ უნდა ეთქვა ვინმეს: ხალხო, აგერ, ნახევარი მილიარდი ვიზარალეთ და მენეჯმენტი მაინც შევცვალოთო? თუ, რკინიგზაში უზარმაზარ ხელფასებს რომ იღებენ, პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ?** თუ ხუთი მოადგილისა და ექვსი მრჩევლის ფონზე, ყველაფერი ისე საშინლად არ ჩანს?




**2013 წლიდან მოგება ზარალმა შეცვალა. თავდაპირველად ჯამური წაგება «სულ რაღაც» 45 მილიონი ლარი იყო, 2014 წელს ამ მაჩვენებელმა 61 მილიონ ლარამდე მოიმატა. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ 2015 წელს ზარალმა რეკორდული მოცულობის თანხა — 757 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2015 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 2% იყო. როგორც ჩანს, მილიარდიან ნიშნულთან მისვლა ხელისუფლებას არ მოეწონა და 2016 წელს ზარალი მხოლოდ 441 მილიონი ლარი იყო, 2017 წელი კი 562 მილიონის ზარალით დასრულდა, ანუ ისევ «წინ» წავედით**

ნაციონალების მმართველობის პერიოდში რკინიგზაში მრჩევლად წასვლა იმას ნიშნავდა, რომ არაფერი არ უნდა გეკეთებინა და სოლიდური ხელფასი გექნებოდა. ახლაც ასეა, მაგრამ მაშინ მოგება მოჰქონდა რკინიგზას.

ახლა კი — ყველაზე საინტერესო: **2017 წელს, მაშინ, როცა ყველაზე დიდი ზარალი ვნახეთ, რკინიგზის გენერალური დირექტორი იყო... საქართველოს ყოფილი პრემიერი მამუკა ბახტაძე. რეკორდული ზარალის შემდეგ ბახტაძე ჯერ ფინანსთა, შემდეგ კი პრემიერმინისტრად გადაიყვანეს და ვინმე აგვიხსნის, რატომ გააკეთეს ეს — რა დამსახურებისთვის და, საერთოდ, სად წავიდა ეს კაცი პრემიერობის შემდეგ?** ფეისბუქპოსტით წასული პრემიერი, საქართველოს გარდა, გინახავთ სადმე? ანგარიში ჩააბარა ამ კაცმა ხალხს ოფიციალურად, ეს გავაკეთე და ეს არ გამომივიდაო? ისიც გვახსოვს, ბახტაძეს რომ ნიშნავდნენ, მისი მოულოდნელი დაწინაურება მენეჯერის კარგი თვისებებით ახსნეს და... **კარგ მენეჯერს მილიონობით ზარალამდე არ მიჰყავს საწარმო, მით უმეტეს სახელმწიფო საწარმო. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ რკინიგზაში ბატონი მამუკა წლიურად 220 ათას ლარზე მეტს იღებდა ხელფასის სახით.**

ახლა ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჯოხის გადატეხა ბახტაძეზე გვსურდეს. არა, ბატონებო, პირიქით, ის არაფერ შუაშია — იმუშავა, როგორც შეეძლო, და დაუფასეს; რატომ დაუფასეს, არც კი უკითხავს. სავარაუდოდ, არც არასოდეს იკითხავს. აბა, საკუთარ თავზე გამოსცადეთ, **ასე რომ გემუშავათ, ხოლო შემდეგ საქართველოს პირველი პირობა (ფორმალურად მაინც) შემოეთავაზებინათ, იტყოდით: მე ათეულ მილიონობით ლარით ვაზარალე სახელმწიფო, ლამის მეოთხედი მილიონი წლიური ხელფასის სახით ავიღე და არ მინდა პირველი პირობაო? არა, უმრავლესობა სწორედ ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა ბახტაძე, თუმცა...**

**თუ სამი საწარმო წლიურად ნახევარმილიარდიან წაგებას წერს, მაშინ დაპირებული ასი საწარმო, ხომ ხვდებით, რას იზამს? საქართველოს კი არა, მგონი, რეგიონის ქვეყნების ბიუჯეტი არ ეყოფა ზარალს, ამიტომ სჯობს, არაფერი ააშენონ და გახსნან. ხომ ხედავთ, იქამდე მივედით, რომ ხელისუფლებას იქით ვეხვეწებით: ოღონდ საწარმოები არ გახსნა, უარესად არ გაგვაღარიბო და დღევანდელ მდგომარეობას ავიტანთო**

ახლა სერიოზულად გვმართებს დაფიქრება: უნდა მოვუწოდოთ თუ არა ხელისუფლებას ახალი საწარმოების გახსნისკენ. **თუ სამი საწარმო წლიურად ნახევარ მილიარდიან წაგებას წერს, მაშინ დაპირებული ასი საწარმო, ხომ ხვდებით, რას იზამს? საქართველოს კი არა, მგონი, რეგიონის ქვეყნების ბიუჯეტი არ ეყოფა ზარალს და სჯობს, არაფერი ააშენონ და გახსნან.** ხომ ხედავთ, იქამდე მივედით, რომ ხელისუფლებას იქით ვეხვეწებით: ოღონდ საწარმოები არ გახსნა, უარესად არ გაგვაღარიბო და დღევანდელ მდგომარეობას ავიტანთო.

ეს ყველაფერი, შესაძლოა, ერთი შეხედვით ძალიან სასაცილოა და არც არის სატირალი, იმიტომ, რომ ტირილით ვერაფერს ვუშველით, მაგრამ ნამდვილად დროა, ვინმემ ამ ქვეყანაში ერთხელ მაინც რეალურად აგოს პასუხი. გაუშვებენ ვინმეს თანამდებობიდან და მერე ამბობენ: იმიტომ გავუშვით, ქვეყანას სათანადოდ არ ემსახურებოდა, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, მილიონებს იპარავდაო. თქვე დალოცვილებო, ამას ჩვენ რომ გვიყვებით, წადით და პროკურორებს მოუყევით, მათ აუხსენით და დაუსაბუთეთ, მაგრამ რომელ პროკურორს თუ მოსამართლეს უნდა გაანდო გულის ნადები? „დიდოსტატის მარჯვენა“ ვინ დაწერა, რომ არ იცის, თუ თავი თომას ჯეფერსონი რომ ჰგონია?

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ნახევარმილიარდიან ზარალზე თანამდებობრივადაც კი არავინ აგებს პასუხს და გაისადაც იგივე იქნება ან უარესი, თუმცა... „სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები, ეგაა ოღონდ — სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდკაცობა სიმთვრალეში გვავიწყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადები უკვე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ...“ — ეს ფრაზა იმ წიგნიდანაა, ავტორი საიდუმლოებით მოცული რომ არის გენპროკურორისთვის, კაცისთვის, რომელმაც, წესით, ყველაფერი უნდა იცოდეს.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ახლა მოგვაწოდეს ინფორმაცია, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო იმის დასადგენად, ვინ დაწერა „დიდოსტატის მარჯვენა“...**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც სტუმრები საუბრობდნენ, რაღაცნაირი „ზიზღნარევი“ და ვითომ „გაოგნებული“ გამომეტყველების მიღება — აქაოდა, „ნახეთ, რა მიუღებლად საუბრობსო“, ხოლო, როდესაც თვითონ ლაპარაკობდნენ, აშკარად დემაგოგიური მცდელობა იყო იმისა, რომ ილია ჯიშკარიანი „მოძალადე მამრად“, ხოლო მისი ადვოკატი „ულირს ქალად“ გამოეცხადებინათ. გულისამრევი იყო სანაიასა და ჟიჟილაშვილის ტონიც, მანერებიცა და დემაგოგიაც.**

**როდესაც ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ამ თემაზე დავიწყე მუშაობა და ინტერნეტში ბლოგების გამოქვეყნება, ბევრმა ამ ყოველივეს არასერიოზულად შეხედა — რა იყო, რამ გაგასულელა, მოდი, სერიოზულ და საჭირბოროტო საკითხებზე დაწერე რამე, არ ჯობიაო?! საზოგადოების მდედრობითი ნაწილისთვის ტვინის პირდაპირი და ირიბი გამორეცხვის მიზნით შექმნილი „კლუბები“, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ინტერნეტის ე.წ. დახურული ჯგუფები ბევრისთვის მაშინ ძალიან „არასერიოზული“ ამბავი იყო. მაიმუნობენ რაღაცას ვიღაც უსაქმურები და მოსწყინდებათ მალე — ეს იყო მათი პოზიცია.**

# ქალბატონო ფინტიკოსა!

## ანუ «ქალური სოლიდარობის» ბოროტად გამოყენების შესახებ



გავიდა წლები და საზოგადოება უფრო და უფრო რწმუნდება, როგორ სერიოზულ და მიზანმიმართულ ნაძირლობასთან გვაქვს საქმე. ასეთ „ქალთა გაერთიანებებს“, ყველაფერთან ერთად, საკმაოდ სოლიდური დაფინანსებაც აქვს უცხოური „დონორი“ ორგანიზაციებიდან და უკვე, როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ სოციალურ ქსელებში აქტიურობენ, არამედ საკმაოდ გავლენიან ტელეარხებსაც შემოხვიეს საცეცები. რომ არაფერი ვთქვათ „ლიბერასტებსა“ და ნაცებთან ასოცირებულ ტელეარხებზე. ტელეკომპანია „იმედზეც“ კი, რომელიც ვითომდა დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერად განიხილება, ხშირად ვხედავთ და ვისმენთ პირდაპირ მახინჯ პროპაგანდას და აშკარა „ლიბერასტულ“ თვალსაზრისს.

თუმცა პირდაპირ ვთქვათ: ამ ხაზის მთავარი და აშკარა გამტარებელი დღეს ტელეკომპანია „პირველია“. ამ ტელევიზიის ეთერში, ფაქტობრივად, ყოველდღიურად, დღეში რამდენჯერმე, დაუზარლად და მუდმივად მიმდინარეობს „ფემინიზმის“ მახინჯი ფორმების პროპაგანდა (ჯანსაღი ფემინიზმი სულ სხვა თემაა) მამაკაცების მიმართ ზიზღის გამოხატვა და „ლიბერასტული“ იდეების ფრქვევა.

რა თქმა უნდა, დედაკაცთა ამ ბანდის დედამთავარი არის ცნობილი ინტრიგანი ჟურნალისტი **ინგა გრიგოლია**, თუმცა **ნინო ჟიჟილაშვილი, თამარ ჩიხლაძე** და სხვებიც არანაკლებ ანთხევენ მამაკაცთა სიძულვილს და, რაც ყველაზე საოცარია, უკვე გვყავს მამაკაცი-ფინტიკოსაც — **ვახო სანაია.**

ჰო, მართლა, სტატიის სათაურის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა — სადღაც წამიკითხავს, რომ ფინტიკოსი ერქვა იმ მასალას, რომლისგანაც დამზადდა ქალის პირველი „ჩულქები“, ანუ ბარძაყებამდე აყვანილი წინდები. მოგეხსენებათ, ქალს მაშინ კოჭიც არ უნდა გამოსჩენოდა. ჰოდა, თურმე მსუბუქი ყოფაქცევის ქალები განგებ აჩენდნენ ამ ჩულქების იმ ნაწილს, რომლითაც ის უკვე სპეციალური სამაგრებით იყო მიმაგრებული სხეულზე, მამაკაცები, ასე ვთქვათ, რომ მიეზიდათ და „დაედებილებინათ“. აი, ასეთ ქალებს უწოდებდნენ თურმე ფინტიკოსა ქალებს...

დაახლოებით ასეთივე მოვლენასთან გვაქვს დღესაც საქმე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს ფინტიკოსა ქალები „ქალთა უფლებების დაცვის“ საფარველს ამოეფარნენ, გაერთიანდნენ და უკვე ტელეეთერებიდან გვიჩვენებენ სხეულის იმ ნაწილებს, „ჩულქები“ ბარძაყებზე რომაა მიმაგრებული. თანაც გვიმტკიცებენ, რომ ეს „ქალთა თავისუფლება“ და არა „მსუბუქი ყოფაქცევა“.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითია „ეროვნული ბოზი“ **თინა მახარაძე**, რომელიც რატომღაც დიდი დაფინანსებით გაუშვა აშშ-ში სასწავლებლად საქართველოს ხელისუფლებამ და რომელიც კვირაში სამჯერ „ფეისბუკზე“ თავისი შიშველი სხეულის სხვადასხვა ნაწილის დემონსტრირებას ამაყად ახდენს. თუმცა **გაცილებით საშიშია არა სხეულის, არამედ „შიშველის აზრების“ დემონსტრირება და ჩვენი შვილებისთვის თავში იმის ჩადება, რომ თურმე უსირცხვილობა სითამამეა, ხოლო აღვირახსნილობა — თავისუფლება. ყველაზე საშიში კი მაინც ის არის, რასაც ეს ფინტიკოსები უწოდებენ ქალურ სოლიდარობას.**

სამაგალითოდ გამოდგება ახლა ასე აქტუალური თემა — „ქართული ოცნების“ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ **ილია ჯიშკარიანისა** და მისი ბიუროს თანამშრომელ თამთა თოდაძის ინციდენტი. ამთავითვე ვამბობ: სიმართლის დადგენამდე, გამოძიების დასრულებამდე და სასამართლოს განაჩენამდე ორივე მათგანის მხარდამჭერებმა ენას კბილი უნდა დააჭირონ და ორივე მათგანის თავაშვებული ლანძღვა მიუღებელია. ასევე აუცილებლად სათქმელია, რომ, თუკი ცემისა და ძალადობის ფაქტი დადასტურდება, უკვე აზრს კარგავს არგუმენტები „ქალმა გამოიწვია“ და მსგავსი რაღაცები. ვინც არ უნდა გამოგიწვიოს და როგორც არ უნდა გამოგიწვიოს, ძალადობა და ცემა დაუშვებელია და ნებისმიერი მოძალადე უნდა დაისაჯოს! ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ის, რასაც ილია ჯიშკარიანის მიმართ სჩადიან ქალბატონი და ბატონი ფინტიკოსები, ყოვლად ამაზრზენი და მიუღებელია.

სოციალურ ქსელებს თავი რომ დავანებოთ, სრული საზიზღრობა იყო ვახო სანაიასა და ნინო ჟიჟილაშვილის გადაცემაში ილია ჯიშკარიანის ადვოკატ **მარიამ კუბლაშვილის** სტუმრობისა და საავადმყოფოს პალატიდან თვითონ ილია ჯიშკარიანის ჩართვისას ამ ორი წამყვანი „ფინტიკოსას“ საუბარი და საქციელი.

როდესაც სტუმრები საუბრობდნენ, რაღაცნაირი „ზიზღნარევი“ და ვითომ „გაოგნებული“ გამომეტყველების მიღება — აქაოდა, „ნახეთ, რა მიუღებლად საუბრობსო“, ხოლო როდესაც თვითონ ლაპარაკობდნენ, აშკარად დემაგოგიური იყო მცდელობა იმისა, რომ ილია ჯიშკარიანი „მოძალადე მამრად“, ხოლო მისი ადვოკატი „ულირს ქალად“ გამოეცხადებინათ. გულისამრევი იყო სანაიასა და ჟიჟილაშვილის ტონიც, მანერებიცა და დემაგოგიაც.

**«ქალური სოლიდარობა» ნიშნავს მხოლოდ ერთადერთ რამეს —ქალი არ უნდა დაუწვეს ლოგინში ცოლიან მამაკაცს, რათა ამით არ მისცეს მას საშუალება, დაამციროს სხვა ქალი, ანუ საკუთარი ცოლი! — აი, სულ ესაა «ქალური სოლიდარობა» და არა ის, რომ სისხლის სამართლის საქმეში დამამტკიცებელი საბუთებისა და რეალური არგუმენტების გარეშე მაინც ქალის მხარე დაიჭირო და მამაკაცი აუცილებლად ლანძღო, თათხო, საჯაროდ ათრიო მხოლოდ იმიტომ, რომ ის მამაკაცია და ვიღაც ქალი მას რაღაც დაუსაბუთებელ ბრალდებას უყენებს**

„მაგ გოგონას ადრე სხვისთვისაც აქვს ნაჩივლელი, მან დააბრალა ვიღაც ბიჭს, რომ თითქოს დაარტყა. მაინტერესებს, ასეთი კარგი გოგო თუ არის, რა, ყველა მაგას ურტყამს?“ — იკითხა ილია ჯიშკარიანმა მორიგი ჩართვისას...

ამას მოჰყვა ნინო ჟიჟილაშვილის „უკიდურესად აღშფოთებული“ გამომეტყველება და „ჩამჭრელი“ ლოგიკა: „თქვენ ამბობთ, რომ ყველა მაგ გოგონას ურტყამს, ანუ გამოდის, რომ თქვენც დაარტყით ხომ, ბატონო ილია? ახლა თქვენ ეს აღიარეთ ხო?“

უკაცრავად და, ქალბატონო ფინტიკოსა! ლოგიკა თავში თუ არა, სადმე უკანა მხარეს მაინც არ გაქვს? კაცმა თქვა, რომ გოგონა იტყუება, რომ მისთვის არავის დაურტყამს და ის აბრალებს მამაკაცებს, რომ დაარტყეს. და, უბრალოდ, ფიგურალურად, ირონიულად, გამწარებული ამბობს: „რა, ყველა მაგას ურტყამს?“

აქედან ლოგიკურად გამოდის, რომ მან აღიარა, მეც დავარტყიო?

არ მახსოვს, ბერძნულ ან რომაულ მითოლოგიაში ლოგიკის ღმერთები თუ არსებობდნენ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მათ ჟიჟი არ ერქვათ.

სხვათა შორის, ამ ამბავზე **ალეკო ელისაშვილიც** გამახსენდა, რომელიც ორიოდე დღით ადრე ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ამბობდა: **„რა არის მანდ ამდენი გამოსაძიებელი? ნივთები დამტვრეულია, გოგონას დაზიანება აქვს, მორჩა! რად უნდა ამდენი ამბავი?! დამნიშნეთ ერთი საათით გამომძიებლად და 5 წუთში დავასრულებ ყველაფერს!“**

**დიახ, პოპულისტო და არამზადა ალეკო ელისაშვილო, „ჟიჟისებური“ ლოგიკით ნამდვილად დაასრულებ და გამოიძიებ ყველაფერს, 5 წუთში კი არა, 1 წუთშიც. მოჰკიდებ ხელს უდანაშაულო ადამიანს და ჩაალპობ ციხეში. რა გენაღვლება?! მთავარია, უტვინო ბრბოსა და „ლიბერასტული“ წრეების აღფრთოვანება დაიმსახურო და რად უნდა, კაცო, რამეს გამოძიება და ერთი ამბავი?! ან ექსპერტიზა რა საჭიროა, ან მოწმეების დაკითხვა და ან სხვა საპროცედურო მოქმედებები?!**

საბედნიეროდ, არც „ჟიჟი“ არის პროკურორი და არც შენ ხარ გამომძიებელი, შე ფინტიკოსა-კაცო, შენ, არც ერთი საათით და არც ერთი წუთით!

ყველაზე სასაცილო კი იყო ის, რომ ალეკო ელისაშვილმა ილია ჯიშკარიანის ადვოკატ მარიამ კუბლაშვილს „ქალური სოლიდარობისკენ“ მოუწოდა. კაცის ამაზე მეტი ფინტიკოსობა რაღა იქნება?! საზოგადოდ, მინდა ვთქვა, რომ ამ ტერმინს ხსენებული სულით მახინჯი „ლიბერასტკები“ ძალიან ბოროტად იყენებენ და ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერ ვითარებაში, რაც უნდა ხდებოდეს, ქალების „ნამუსზე აგდებას“ სწორედ ამ ტერმინით ცდილობენ. ზევით რომ ვახსენე „ფეისბუკის“ „ქალთა დახურული ჯგუფები“, აი, სწორედ მაგ ჯგუფებში აწევრებენ პატარა გოგონებს და ნებისმიერ სიმახინჯეს „ქალური სოლიდარობით“ ხსნიან... არადა, რეალურად **„ქალური სოლიდარობა“ ნიშნავს მხოლოდ ერთადერთ რამეს — ქალი არ უნდა დაუწვეს ლოგინში ცოლიან მამაკაცს, რათა ამით არ მისცეს მას საშუალება, დაამციროს სხვა ქალი, ანუ საკუთარი ცოლი! — აი, სულ ესაა „ქალური სოლიდარობა“ და არა ის, რომ სისხლის სამართლის საქმეში დამამტკიცებელი საბუთებისა და რეალური არგუმენტების გარეშე მაინც ქალის მხარე დაიჭირო და მამაკაცი აუცილებლად ლანძღო, თათხო, საჯაროდ ათრიო მხოლოდ იმიტომ, რომ ის მამაკაცია და ვიღაც ქალი მას რაღაც დაუსაბუთებელ ბრალდებას უყენებს.**

ყველაზე კომიკური კი ის არის, რომ **ამ ვითომდა „ქალური სოლიდარობისკენ“ უმეტესად ის ქალები მოუწოდებენ, რომლებსაც არაერთხელ აქვთ ცხოვრებაში დარღვეული და ფეხებზე დაკიდებული რეალური „ქალური სოლიდარობა“! ანუ, „სხვის ქმართან“ კი არა, საკუთარი დაქალის ქმართანაც დაწოლილა, ქმრის ძმაკაცთანაც და ცნობილ იდიოტურ-ამორალურ სერიალ „ჩცდ“-ში გადმოცემული ყველა უგვანობა და უზნეობა ჩაუდენია.**

სხვათა შორის, მარიამ კუბლაშვილმა ღირსეული პასუხი გასცა ასეთ ქალებს: „გარკვეული ტიპის ქალები ცდილობენ, ჩემზე მოახდინონ ზეგავლენა. მაბულინგებენ და მეკითხებიან: რა იყო, ქალური სოლიდარობა მაინც არ გაქვს? მე მათ ვუპასუხებ, რომ ილია ჯიშკარიანის ცოლიც და დედაც ქალები არიან! მათთვის ძალიან მტკივნეულია, რაც ხდება, და სურთ, დაადგინონ სიმართლე. აი, მე ამ ქალების მიმართ ვარ სოლიდარული და სწორედ ამ ქალების ადვოკატი ვარ, პირველ რიგში!“

ჩემგან დავამატებ: სწორედ მარიამისნაირი ქალების მიმართ ვარ სოლიდარული და მიმაჩნია, რომ დღეს თუ რაიმე მხრივ საჭიროა კონკრეტულად ქალებისა და მათი უფლებების დაცვა, მაშინ ეს ნორმალური ქალები, პირველ რიგში, სწორედ ფინტიკოსა ქალებისგან უნდა დავიცვათ.

სხვათა შორის, სიტყვა „ფინტიკოსი“ გამოიყენება, აგრეთვე, რაიმე ნივთის ან მოქმედების სიყალბის აღსანიშნავად. მაგალითად, ოქროს ნაწარმის გაყალბებას ფინტიკოსობას უწოდებენ. ასევე, თუ ადამიანი ყალბად ტირის, თავს გაცოდებს და გატყუებს, ადამიანის ასეთ ქცევასაც ფინტიკოსობა ეწოდება...

ჰოდა, აი ამ ჩვენს თანამედროვე „ჟურნალისტკებზე“, რომლებიც პოზიორობენ, ვითომ ძალიან შესტკივათ გული ქალთა უფლებებზე, სწორედაც ზედგამოჭრილია ცნობილი სიმღერა: **„ქალბატონო (ბატონოც!) ფინტიკოზ(ს)ა, გააკეთეთ ერთი (კიდევ ერთი!) პოზა, რაზ, დვა, ფიგურუ პაკაჟი!..“**

**პატიმრობიდან გათავისუფლებისა და „მგლის ბილეთის“ მიღების შემდეგ ლენგმა გადაწყვიტა, წასულიყო უკრაინაში, სადაც დაწყებული იყო ომი დონბასში და ამ ომში მონაწილეობისთვის განურჩევლად ყველა აჰყავდათ. ის ჩაირიცხა „მემარჯვენე სექტორში“, მოგვიანებით კონტრაქტი გააფორმა უკრაინის შეიარაღებულ ძალებთან და ჩაირიცხა ქართული ლეგიონის შემადგენლობაში. რამდენიმე თვის განმავლობაში მსახურობდა სვეტლოდარის რკალის რაიონის მოწინავე ხაზზე.**

მკვლელი-მასწავლებელი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საინტერესოა, საქართველოში ჩამოსული ინგლისურის მასწავლებლები კიდევ რას საქმიანობენ

# ამერიკელები ინგლისურის მასწავლებლის ექსტრადიციას ითხოვენ

**ლენგს შეუძლია ბევრი საინტერესო რამ მოყვეს სამოქალაქო ომზე უკრაინაში, ამ ომში მონაწილე ქართულ ბატალიონზე, რომლის მებრძოლად ირიცხებოდა. ის კლავდა ადამიანებს დონბასში, შემდეგ კი ასწავლიდა ინგლისურს სკოლაში.**

**კრეიგ ლენგი**, ამერიკელი, რომელიც უკრაინაში ჩავიდა, რათა „მემარჯვენე სექტორის“ რიგებში ებრძოლა დონბასის მცხოვრებთა წინააღმდეგ, პროკურატურის წარმომადგენელთა აზრით, ექსტრადირებული უნდა იქნას აშშ-ში, სადაც მას სიკვდილით დასჯა ელის.

## ვინ არის კრეიგ ლენგი?

ის ნაშვილებია — პატარა იყო, მშობელმა დედამ მასზე უარი რომ თქვა. 18 წლის ლენგი ჯარში წავიდა, იბრძოდა ცხელ წერტილებში, კერძოდ — ერაყსა და ავღანეთში. დაქორწინდა, მაგრამ მოგვიანებით შეიტყო, რომ ცოლი ერთგული არ იყო და გადაწყვიტა, დაესაჯა მოღალატე მეუღლე. იყიდა იარაღი და ნახევარი ქვეყანა გადაკვეთა იმისთვის, რომ ქალი მოეკლა, მაგრამ პოლიციამ დააკავა. სასამართლოს შემდეგ ლენგი ციხეში რამდენიმე თვით ჩასვეს და ყველა სამხედრო ჯილდო, აგრეთვე, წოდება და შეღავათი ჩამოართვეს. ამას გარდა, ლენგს დაუდგინეს პოსტტრავმული აშლილობა — შფოთვა. ეს დაავადება ემართება საომარ მოქმედებებში მონაწილე ბევრ ჯარისკაცს.

პატიმრობიდან გათავისუფლებისა და „მგლის ბილეთის“ მიღების შემდეგ ლენგმა გადაწყვიტა, წასულიყო უკრაინაში, სადაც დაწყებული იყო ომი დონბასში და ამ ომში მონაწილეობისთვის განურჩევლად ყველა აჰყავდათ. ის ჩაირიცხა „მემარჯვენე სექტორში“, მოგვიანებით კონტრაქტი გააფორმა უკრაინის შეიარაღებულ ძალებთან და ჩაირიცხა ქართული ლეგიონის შემადგენლობაში. რამდენიმე თვის განმავლობაში მსახურობდა სვეტლოდარის რკალის რაიონის მოწინავე ხაზზე.

უკრაინული მასმედიისთვის მიცემულ უამრავ ინტერვიუში ამერიკელი ყველას არწმუნებდა, რომ მას ძალიან მოსწონდა „მემარჯვენე სექტორი“, აგრეთვე, ის, რომ, როგორც მოხალისეს, ხელფასი არ მიუღია და იდეისთვის იბრძოდა.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ლენგმა დატოვა არმიის რიგები და დაიწყო სამოქალაქო ცხოვრება — ასწავლიდა ინგლისურ ენას. **„როცა თავისუფალი ვარ, ზოგჯერ ვმუშაობ ინგლისური ენის კურსებზე, ვასწავლი ინგლისურ ენას. ზოგჯერ ვრჩები აქ, ქართული ლეგიონის ბაზაზე, და ვურთიერთობ სხვა ამერიკელებთან, უცხოელებთან ან ქართველებთან. თავისუფალ დროს ზოგჯერ მივდივარ ჩემს მეგობრებთან „მემარჯვენე სექტორიდან“ და რამდენიმე კვირის განმავლობაში ვრჩები მათთან ფრონტის ხაზზე“... — აი ასე აღწერდა ამერიკელი თავის სამოქალაქო ცხოვრებას 2019 წლის მაისში.**

## რატომ დააპატიმრეს ლენგი?

**ამერიკელები, რა თქმა უნდა, იმიტომ არ ეძებენ ლენგს, რომ ის „ცოცხალ მიზნებს“ ესროდა დონბასში. ამერიკელებმა ლენგზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს იმიტომ, რომ მას ბრალად ედება ხანდაზმული ცოლ-ქმრის მკვლელობა ფლორიდაში. ლენგმა ისინი ამხანაგთან ერთად გამოასალმა სიცოცხლეს და წაიღეს ამერიკული საზომით ცოტაოდენი თანხა — 3000 დოლარი.** აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ ეს თანხა მკვლელებს ვენესუელაში გასამგზავრებლად და ანტისამთავრობო ძალების მხარეს საბრძოლველად სჭირდებოდათ, მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ლენგისთვის წაყენებული ბრალდება. **ცოტა ხნის წინათ აშშ-ში დააპატიმრეს პოტენციური ტერორისტი, რომელიც, გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელთა მონაცემებით, გეგმავდა ერთ-ერთი მასობრივი საინფორმაციო საშუალების რედაქციის აფეთქებას, აგრეთვე, აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატზე თავდასხმას. როგორც გაირკვა, დაპატიმრებული საკმაოდ კარგად იცნობს ლენგს, რომელიც მას უკრაინაში ჩასვლასა და ბატალიონ „აზოვის“ რიგებში ჩარიცხვას სთავაზობდა. ამას გარდა, ისინი სოციალურ ქსელში მსჯელობდნენ ბომბების დამზადებისა და ტერორისტული შეტევების შესაძლო მიზნებზე.**

ამრიგად, ლენგს ადანაშაულებენ ამერიკელების გადაბირებაში უკრაინაში მიმდინარე ომში მონაწილეობისთვის.

2019 წლის აგვისტოში ლენგი დააკავეს მესაზღვრეებმა, რადგან მასზე გამოცხადებული იყო საერთაშორისო ძებნა, შემდეგ მიუსაჯეს შინაპატიმრობა. 8 აგვისტოს ვინიცის სასამართლომ გააუქმა წინა ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ლენგს შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი, და მას 6 დეკემბრამდე აღუკვეთა თავისუფლება.

„ლენგისთვის ინკრიმინირებული დანაშაულები ექსტრადიციას შეესაბამება, რადგან ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით, ეს დანაშაულებია ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა“, — განაცხადა ვინიცაში გამართულ სასამართლო პროცესზე პროკურორმა.


კრეიგ ლენგი

**ცოტა ხნის წინათ აშშ-ში დააპატიმრეს პოტენციური ტერორისტი, რომელიც, გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელთა მონაცემებით, გეგმავდა ერთ-ერთი მასობრივი საინფორმაციო საშუალების რედაქციის აფეთქებას, აგრეთვე, აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატზე თავდასხმას. როგორც გაირკვა, დაპატიმრებული საკმაოდ კარგად იცნობს ლენგს, რომელიც მას უკრაინაში ჩასვლასა და ბატალიონ «აზოვის» რიგებში ჩარიცხვას სთავაზობდა. ამას გარდა, ისინი სოციალურ ქსელში მსჯელობდნენ ბომბების დამზადებისა და ტერორისტული შეტევების შესაძლო მიზნებზე**

**ის ნაშვილებია — პატარა იყო, მშობელმა დედამ მასზე უარი რომ თქვა. 18 წლის ლენგი ჯარში წავიდა, იბრძოდა ცხელ წერტილებში, კერძოდ — ერაყსა და ავღანეთში. დაქორწინდა, მაგრამ მოგვიანებით შეიტყო, რომ ცოლი ერთგული არ იყო და გადაწყვიტა, დაესაჯა მოღალატე მეუღლე. იყიდა იარაღი და ნახევარი ქვეყანა გადაკვეთა იმისთვის, რომ ქალი მოეკლა, მაგრამ პოლიციამ დააკავა. სასამართლოს შემდეგ ლენგი ციხეში რამდენიმე თვით ჩასვეს და ყველა სამხედრო ჯილდო, აგრეთვე, წოდება და შეღავათი ჩამოართვეს. ამას გარდა, ლენგს დაუდგინეს პოსტტრავმული აშლილობა**

# ფრანგებმა არ იციან, როგორ მოიშორონ მიგრანტები



**მიგრაციული კრიზისი საკმაოდ მტკივნეული თემაა ევროპისთვის. მეხუთე რესპუბლიკის (საფრანგეთის) მცხოვრებთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მიგრანტებს ნეგატიური გავლენა აქვთ ქვეყანაზე. ხელისუფლება ახალი კანონებით ცდილობს ლტოლვილთა ნაკადების რეგულირებას, მაგრამ ამაოდ — ნაკადები არ წყდება.**

საფრანგეთში ლტოლვილის სტატუსის მიღების მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად 15%-ით მატულობს. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ლტოლვილის სტატუსის მიღების მსურველთა განაცხადების რაოდენობა 120 ათასი იყო. როგორც გამოცემა Le Figaro წერს, უკვე წელიწადია, რაც საფრანგეთში მიგრანტების ნაკადების რეგულირების ახალი კანონი მოქმედებს, მაგრამ მიგრაციის პოლიტიკაში ნაკლოვანებები აღმოფხვრილი არ არის.

**მიგრანტები ჩადიან საფრანგეთში და შეაქვთ განაცხადი ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად. ოფიციალური პირები განაცხადს განიხილავენ ნახევარი წლის განმავლობაში. სახელმწიფოსგან პასუხს 8-დან 12 თვემდე სჭირდება. ამ ხნის განმავლობაში ლტოლვილები საფრანგეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. პასუხის მიღების შემდეგ ვითარება არ უმჯობესდება — ნაწილი იმ პირებისა, რომლებმაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი მიიღეს, მაინც ქვეყანაში რჩებიან და მათზე ბიუჯეტის თანხები იხარჯება.**

ფრანგები ტყუილუბრალოდ არ შფოთავენ მომავალზე, ანალიტიკოსები კი ვითარების კიდევ უფრო გაუარესებას ვარაუდობენ.

გვერდი მოამზადა ნიკა კორინთელმა

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკვადორის დედაქალაქი კიტო საპროტესტო აქციაზე გამოსული ხალხის ხელშია — ხალხმა გააძევა აშშ-ისა და დასავლეთის მიერ ხელდასხმული მმართველი. პრეზიდენტი და უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა სასწრაფოდ გაიქცა „სათადარიგო აეროდრომიდან“ ქალაქ გუაიკილში და იქ ელოდება, რას გადაწყვეტს ვაშინგტონი.**

# აშშ სწრაფად კარგავს პოზიციებს სამხრეთ ამერიკაში

**სამხრეთ ამერიკაში მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება. ამჟამად ეკვადორში რაც ხდება, ნამდვილი „რევოლუციაა“, სახელმწიფო გადატრიალების სახით.**

**ეკვადორის** დედაქალაქი კიტო საპროტესტო აქციაზე გამოსული ხალხის ხელშია — ხალხმა გააძევა აშშ-ისა და დასავლეთის მიერ ხელდასხმული მმართველი. პრეზიდენტი და უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა სასწრაფოდ გაიქცა „სათადარიგო აეროდრომიდან“ ქალაქ გუაიკილში და იქ ელოდება, რას გადაწყვეტს ვაშინგტონი.

ეს ვითარება აშშ-ისთვის უკიდურესად არახელსაყრელია. აგრესიის გამომჟღავნება და ეკვადორის პრეზიდენტ **მორენოსთვის** კარტბლანშის მიცემა სამოქალაქო პროტესტის ჩასახშობად აშშ-ისთვის ნიშნავს იმას, რომ დამარხოს თავისი „მემარჯვენე“ პოლიტიკა რეგიონში და ასეთივე უფლებები მისცეს მთავარ ოპონენტს — ვენესუელის პრეზიდენტ **ნიკოლას მადუროს.**

მოვლენები დინამიკურად ვითარდება და უახლოეს დღეებში ჩვენ მოვისმენთ ინფორმაციას „რევოლუციის გამარჯვების“ თაობაზე.

**სამხრეთამერიკული ნამცხვრის მნიშვნელოვანი ნაჭერი, არგენტინის სახით, არჩევნების მეორე ტურის ზღურბლზეა. შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში „მოულოდნელად“ კარგად გამოვიდნენ ალბერტო ფერნანდესის მემარცხენე ალიანსის წარმომადგენლები და ხმების 48% მოაგროვეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც „მემარჯვენეებმა“ სარეკორდო ოდენობის კრედიტი (65 მლრდ დოლარი) მიიღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. არგენტინის ყიდვა არ გამოვიდა და ახლა ამ ფულის ბედი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ვითარება ისე რთულია, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებიც კი შეაჩერეს „მიგ-29“-ების შესყიდვაზე. უნდოდათ, ასე ვთქვათ, რუსეთის დუმილი ეყიდათ.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი მოკრივის სავარჯიშო დასარტყამ „მსხლად“ იქცა რეგიონის მემარცხენეებისთვის. მადურომ პირდაპირ დაადანაშაულა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეკვადორში შექმნილ ვითარებაში და იმაშიც, რაც არგენტინაში მოხდა.

გაზაფხულზე გამართული სამხედრო მანევრების შემდეგ მადურო მშვენივრად არის ვენესუელაში. დღეს ის დიდ დროს ხარჯავს ეკონომიკური რეფორმების პროგრამაზე, განახორციელა კრიპტოვალუტის ლეგალიზება ქვეყანაში. ასე რომ, საკუთარი „პეტროს“ მოთხოვნა და კონვერტაცია სწრაფი ტემპით წაიწევს წინ. ამასთანავე, აგროსამრეწველო კომპლექსში იმპორტის ჩანაცვლების რუსულ გამოცდილებაზე ვენესუელაში საკმაო მოთხოვნაა, ამიტომ რუსული კომპანიები კარტბლანშს იღებენ ამ ქვეყანაში.

რუსეთის პრემიერი **დიმიტრი მედვედევი** ოქტომბრის დასაწყისში **კუბას** ეწვია და პირადად დაესწრო ნავთობსაბადო ბოკა დე ხარუკოს პირველი ჭაბურღილის სტარტს. რუსული კომპანიები კუბაზეც იწყებენ ნავთობის მოპოვებას. ამ ფონზე კუბამ ვალების გასტუმრებაზეც კი განაცხადა თანხმობა. კუნძულის გეოპოლიტიკური განლაგების გათვალისწინებით, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება.

მშვიდად ვერ არის ბრაზილიის პრეზიდენტი **ჟაირ ბოლსონარუც**, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხელდასხმული მმართველი. ბრაზილიის, ამ დიდი სამხრეთამერიკული ქვეყნის, სად შეყვანა-გაერთიანებას არ ცდილობენ, ნატოშიც კი, მაგრამ არაფერი გამოდის. აი კონფლიქტი კი ბრაზილიასა და ევროკავშირს შორის გარდაუვალია. ამაზონის ტყეები კვლავ იწვის, ევროკავშირელ პოლიტიკოსებს ეს ხანძრები ხელსაყრელ საბაბად მიაჩნიათ ეკონომიკური ინიციატივების შესაჩერებლად. საფრანგეთის განცხადება, რომ ბრაზილიის ეკოლოგიური პოლიტიკის გამო მხარს არ დაუჭერს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ბლოკს — მერკოსურს (სამხრეთი ამერიკის საერთო ბაზარი; ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, პარაგვაისა და ვენესუელის ეკონომიკურ-პოლიტიკური შეთანხმება) შორის, ამ შეთანხმების რატიფიკაციას საფრთხეს უქმნის.

ამ საკითხის მოსაგვარებლად საქმეში ვატიკანიც კი ჩართეს — სამხრეთ ამერიკაში ხომ ძალიან ძლიერია კათოლიკური ეკლესიის გავლენა. ღვთისმსახურებისას რომის პაპმა **ფრანცისკემ** ილაპარაკა ამაზონის ტყეებში გაჩენილ ხანძარზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკლესია წინ უნდა აღუდგეს „ახალი კოლონიალიზმის“ საფრთხეს.

ევროპელებმა კონკურენტებს კიდევ დაარტყეს როგორც ბრაზილიაში, ისე აშშ-ში. **ევროკომისიამ დაიწყო გამოძიება ბრაზილიური ავიასამშენებლო კომპანია EMBRAER-ისა და ამერიკული კორპორაცია BOEING-ის მიერ ერთობლივი საწარმოს შექმნის დაგეგმვის გამო. ევროკომისიის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ ეს გარიგება ნეგატიურად აისახოს კონკურენციაზე ავიაციის სფეროში. ამ მოვლენების ფონზე აშშ-ის მიერ მოწყობილი იმპიჩმენტის შედეგად ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენებული დილმა რუსეფი რეგიონში მემარცხენე მოძრაობის სიმბოლოდ იქცა.** ბრაზილიელი მემარცხენეები აქტიური პოლიტიკური ბრძოლისთვის ემზადებიან. ამის საბაბი მათ საკმარისზე მეტი აქვთ, მაგალითად, ბოლსონარუს თანაპარტიელი და მისი მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი. ბრაზილიის პროკურატურამ ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულა ტურიზმის მინისტრი **მარსელუ ენრიკე ტეიშეირე დიასი.** მინისტრი ეჭვმიტანილია მინას-ჟეირაისის შტატის კონგრესში ყალბი კანდიდატების რეგისტრაციაში. ამით დიასი თავისი წინასაარჩევნო კამპანიისთვის მეტი ფინანსების გამოყოფას ცდილობდა.

ტეიშეირე დიასი პრეზიდენტ ბოლსონარუს თანაპარტიელია. ორივე სოციალ-ლიბერალური პარტიის წევრია.

ასე რომ, რეგიონში აშშ-ის პოლიტიკის ყველა ძირითადი ბურჯი სერიოზულად შეირყა. რეგიონში აშშ-ის მთავარი კოლონიის — **კოლუმბიის** — საქმეც არ მიდის კარგად. იქ რევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა განაახლეს შეიარაღებული ბრძოლა ვაშინგტონის მიერ დანიშნული ხელისუფლების წინააღმდეგ. **მექსიკაშიც** კი სახელმწიფო სტრუქტურები ახლოს არიან კოლაფსთან და იქაც პოპულარობას იხვეჭს მემარცხენე იდეები. როგორც ჩანს, **დონალდ ტრამპი** რაღაცას ხვდება და ტყუილუბრალოდ არ აშენებს კედელს მექსიკასთან.

ასე და ამრიგად, 2018 წლიდან აშშ სწრაფად კარგავს პოზიციებს რეგიონში.




**რეგიონში აშშ-ის პოლიტიკის ყველა ძირითადი ბურჯი სერიოზულად შეირყა. რეგიონში აშშ-ის მთავარი კოლონიის — კოლუმბიის — საქმეც არ მიდის კარგად. იქ რევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა განაახლეს შეიარაღებული ბრძოლა ვაშინგტონის მიერ დანიშნული ხელისუფლების წინააღმდეგ. მექსიკაშიც კი სახელმწიფო სტრუქტურები ახლოს არიან კოლაფსთან და იქაც პოპულარობას იხვეჭს მემარცხენე იდეები. როგორც ჩანს, დონალდ ტრამპი რაღაცას ხვდება და ტყუილუბრალოდ არ აშენებს კედელს მექსიკასთან**

# ნორვეგიელებმა უარი განაცხადეს ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე

**სკანდინავიელებმა არჩევანი გააკეთეს: ოსლომ უარი განაცხადა კომპონენტების შეძენაზე ნატოს სარაკეტო ფარის შესაქმნელად.**

ორი წლის წინათ ოსლოში სხვაგვარად მიიჩნევდნენ: ნორვეგიის თავდაცვის სამინისტრო ხელისუფლებას ურჩევდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროექტში მონაწილეობას, რადგან თითქოს არსებობდა რუსული საფრთხე.

დრო გავიდა, ისტერიკა ჩაცხრა და ცივი გონებით მიიღეს სხვა გადაწყვეტილება: არ დახარჯონ ფული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სისტემაზე. მათ არ სჭირდებათ დაძაბულობის ესკალაცია.

ექსპერტთა აზრით, მსგავსი პროვოკაციები ადრე უზომოდ გაბერილი სამხედრო ბიუჯეტის გასამართლებლად იყო საჭირო. დასავლელი პოლიტიკოსები და სამხედროები ყოველთვის აპელირებენ რუსულ საფრთხეზე, როცა ცდილობენ თანამოქალაქეების შეშინებას, აგრეთვე, სურთ, თავიდან აიცილონ უხერხული კითხვები დახარჯული თანხების თაობაზე.



**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

ბიოსაფრთხე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**DTRA-ს სპეციალისტები უახლოესი 3 წლის განმავლობაში გეგმავენ, დაასრულონ მუშაობა „დაავადებების გამოსავლენი ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის“ (EIDSS) სრული მასშტაბით ასამოქმედებლად 4 ქვეყანაში. მხოლოდ ამ პროექტების განხორციელება პენტაგონს შესაძლებლობას მისცემს, თითქმის რეალურ დროში გააკონტროლოს ეპიდემიოლოგიური ვითარების ნებისმიერი ცვლილება რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში და განსაზღვროს ადგილმდებარეობა და გამოყენება ყველა განსაკუთრებით საშიში პათოგენისა, მათ შორის, მაგალითად, ციმბირის წყლულის.**

# პენტაგონი კონტროლს აწესებს პათოგენებსა და ეპიდვითარებაზე საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში

**ამერიკული სამხედრო სააგენტო DTRA ასრულებს ონლაინსისტემის მონტაჟს დსთ-ის ქვეყნებში შენახული განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური პათოგენების გასაკონტროლებლად და მისთვის ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ეპიდემიოლოგიური ინფორმაცია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში. პენტაგონში არ მალავენ, რომ ცდილობენ, აშშ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მთავარი პარტნიორი გახდეს და მაქსიმალურად შეამცირონ რუსეთის გავლენა მათ საზღვრებთან.**

უსაფრთხოების შემცირების სააგენტო (DTRA) გეგმავს, 2020 წელს დაასრულოს „პათოგენების ხელმისაწვდომობაზე კონტროლის სისტემების“ (PACS) დანერგვა უკრაინაში იქ, სადაც სახიფათო პათოგენები ინახება. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში კი სააგენტო განაგრძობს მხარდაჭერას უკვე არსებული სისტემებისადმი, — ნათქვამია ორგანიზაციის 2020 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში.

DTRA-სა სპეციალისტები უახლოესი 3 წლის განმავლობაში გეგმავენ, დაასრულონ მუშაობა „დაავადებების გამოსავლენი ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის“ (EIDSS) სრული მასშტაბით ასამოქმედებლად 4 ქვეყანაში. მხოლოდ ამ პროექტების განხორციელება პენტაგონს შესაძლებლობას მისცემს, თითქმის რეალურ დროში გააკონტროლოს ეპიდემიოლოგიური ვითარების ნებისმიერი ცვლილება რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში და განსაზღვროს ადგილმდებარეობა და გამოყენება ყველა განსაკუთრებით საშიში პათოგენისა, მათ შორის, მაგალითად, ციმბირის წყლულის.

სისტემები — PACS-ი და EIDSS-ი შეიმუშავეს DTRA-ს შეკვეთით.

**„PACS-ი არის დახურული ქსელი „კლიენტი-სერვერი“ — ბიოლოგიური აგენტების კონტროლის დამოუკიდებელი ქსელი. პათოგენების მარკირების უნიკალური ბარკოდის მეშვეობით, სისტემა აკვირდება ამ პათოგენების ნებისმიერ მოქმედებას“,** — ნათქვამია PACS-ის სრულყოფისთვის გამოცხადებულ ტენდერზე DTRA-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**EIDSS-ი** წარმოადგენს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მრავალდონიან პლატფორმას. პირველ ეტაპზე ინფორმაციას გასცემენ საავადმყოფოები და სხვა მედდაწესებულებები, სოფლის მეურნეობის საწარმოები და ვეტერინარული ორგანიზაციები. ამის შემდეგ ერთი პლატფორმის ჩარჩოებში ინფორმაცია ხვდება რეგიონულ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებსა და შესაბამის სამედიცინო ორგანიზაციებში და გადაეცემა სახელმწიფოებრივ დონეზე, სადაც იქმნება ქვეყნის საერთო ეპიდემიოლოგიური ვითარების სურათი. შემდეგ ინფორმაცია უნდა გაეგზავნოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასა და ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. ჯერჯერობით ამ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება მხოლოდ DTRA-ს, რომელიც აკონტროლებს EIDSS-ს.

სურათი მაქსიმალურად ფართო და ობიექტური რომ იყოს, **ამერიკული სააგენტო აპირებს, განაგრძოს რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში რეგიონული ქსელების განვითარება ბიოლოგიურ საფრთხეებზე დასაკვირვებლად და პერსონალის მოსამზადებლად იმ ლაბორატორიებისთვის, რომელთაგან ბევრი შეიქმნა DTRA-ს ამერიკული მოიჯარეების სპეციალისტების მიერ, მათ შორის, ძირითადია Black and Veatch-ი.**

სამუშაოები მიმდინარეობს **„ბიოლოგიური საფრთხეების შემცირების პროგრამის (BTRP) ჩარჩოებში. ადრე მას ერქვა „ერთობლივი მონაწილეობის ბიოლოგიური პროგრამა“ (CBEP). პროგრამის ანოტაციაში DTRA მიუთითებს, რომ ის მიმართულია არა მხოლოდ ბიოლოგიური საფრთხეების განსაზღვრისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, არამედ იმისკენაც, რომ მაქსიმალურად შემცირდეს რუსეთის გავლენა და მოიმატოს ამერიკულმა, რაც გასაკვირი არ არის, „ეს (პროგრამა), აგრეთვე, ამცირებს ლოკალიზებული აფეთქებების რისკს რეგიონულ მადესტაბილიზებულ მოვლენებში და ამაღლებს აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფების უსაფრთხოებას“,** — დასძენენ DTRA-ს 2020 წლის ბიუჯეტის ავტორები BTRP-ს მიზნების შესახებ.

**თუ გასულ წელს „ბიოლოგიური საფრთხეების შემცირების პროგრამაზე“ 172 მლნ დოლარი დაიხარჯა, მიმდინარე წელს ამ თანხამ 197 მლნ შეადგინა, გაისად კი 183 მლნ-ია დაგეგმილი. ამ თანხებში შედის ლაბორატორიის განახლება უკრაინაში და ცენტრალური რეფერენსლაბორატორიის ამუშავება აზერბაიჯანში.**

ჩვენი ვწერდით აშშ-ის მიერ ათეულობით ბიოლაბორატორიის შექმნაზე საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთსა და უკრაინაში („პენტაგონის ბიობაქტერიოლოგიური საქმიანობა — საფრთხე მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ევრაზიაში“, იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №36, 2019 წ.). იქ ატარებენ კვლევებს პათოგენებზე, რომლებსაც DTRA, დიდი ხანია, შეისწავლის, როგორც ბიოიარაღს: ციმბირის წყლული, ბრუცელოზი, ჭირი, ღორის აფრიკული ჭირი და ტულარემია.



მიმდინარე წლის მაისში ამერიკის მიკრობიოლოგთა საზოგადოების (NCBI) ვებგვერდმა გამოაქვეყნა უკრაინაში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგები — **„სხვადასხვა წყაროს Bacillus anthracis-ის (ციმბირის წყლულის) უკრაინული შტამების ფილოგენეტიკური ანალიზი“.** ეს კვლევები ჩაატარეს მოლეკულური დიაგნოსტიკის ნაციონალური სამეცნიერო ცენტრის „ვეტერინარული მედიცინის ექსპერიმენტული და კლინიკური ინსტიტუტის“ ხარკოვის ლაბორატორიის სპეციალისტებმა. ეს ლაბორატორია შეიქმნა DTRA-ს სახსრებით. კვლევებში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ბუნდესვერის მიკრობიოლოგებიც. სპეციალისტები შეისწავლიდნენ ნიკოლაევში, ხერსონსა და ხარკოვში გამოვლენილ ციმბირის წყლულის შტამებს.

სექტემბერში კი NCBI-ზე გაჩნდა სამეცნიერო ნაშრომი **„Bacillicus anthracis-ით (ციმბირის წყლულის) დასნებოვნების სამი ახალი ბაზილისკოპური ფაგის გენომური დახასიათება“.** კვლევა ჩატარდა საქართველოში ლუგარის ლაბორატორიაში DTRA-ს დაფინანსებით და ამერიკის უოლტერ რიდის სახელობის კვლევითი სამხედრო ინსტიტუტის სპეციალისტების მონაწილეობით. პენტაგონის ეს კვლევითი დაწესებულება DTRA-ს ქვედანაყოფია. ქართულ ლაბორატორიას, თავისი ე.წ. ღიაობის მიუხედავად, დაწესებული აქვს მკაცრი შეზღუდვები. მაგალითად, ლაბორატორიის მესამე დონეში შეღწევა შეუძლიათ მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის უფლება. მათ ყველას აქვს დიპლომატიური სტატუსი სამხედრო სფეროში 2002 წლის მთავრობათაშორისი შეთანხმების საფუძველზე.

ხოლო **აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს 2005 წლის შეთანხმების მიხედვით, უკრაინის მთავრობას ეკრძალება „მგრძნობიარე“ ინფორმაციის გახმაურება ამერიკული პროგრამის შესახებ და უკრაინა ვალდებულია, პენტაგონს გადასცეს სახიფათო პათოგენები ბიოლოგიური გამოკვლევებისთვის. მეტიც, ამერიკელ სამხედროებს ხელი მიუწვდებათ უკრაინის სახელმწიფო საიდუმლოებებზე, რომლებიც ამ პროექტებთან არის დაკავშირებული, უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრო კი ვალდებულია, პენტაგონს გადასცეს სახიფათო პათოგენების შტამების ასლები. სომხეთში ამერიკელებს ხელი მიუწვდებათ მონაცემთა სრულ ბაზაზე და შეუძლიათ, განსაკუთრებით საშიში პათოგენები გაიტანონ თბილისში — ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში.**

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამერიკელი ბიოლაბორატორიების ამოქმედებას დაემთხვა ამ სახელმწიფოებში სახიფათო დაავადებების კერების გაჩენა. თანაც ლაბორატორიებში კვლევებსა და სამუშაოებს აწარმოებდნენ იმ ამერიკული კომპანიების მეცნიერები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ აშშ-ში ბიოლოგიური იარაღის შექმნაში.

**EIDSS-ისა და PASS-ის სისტემების დანერგვა პენტაგონს შესაძლებლობას აძლევს, რუსეთის საზღვრების გასწვრივ გააძლიეროს ბიოლოგიურ ვითარების კონტროლი, როგორც მშვიდობიანი, ისე სამხედრო მიზნით. DTRA-მ ოფიციალურად განაცხადა „ერთობლივი მონაწილეობით ბიოლოგიური პროგრამის“ რამდენიმე მიზნით განხორციელებისა და ბიოლაბორატორიების დაფინანსებისა და მათი პერსონალის სწავლების შესახებ ათეულობით ქვეყანაში. პირველი** — ეს არის განსაკუთრებით სახიფათო პათოგენების კოლექციების შეგროვება და შენახვა საიმედო და უსაფრთხო ობიექტებში; **მეორე** — ჯანდაცვისა და ვეტერინარიის სისტემების განმტკიცება განსაკუთრებით საშიში პათოგენების გამოსავლენად.

2013 წელს სტრატეგიული კვლევების ცენტრმა RAND-მა, რომელიც თეთრი სახლის შეკვეთებს ასრულებს, გამოაქვეყნა ანგარიში „წინ ინტეგრირებული სამხედრო ბიოდაზვერვისკენ: შეფასებები და შესაძლებლობები“. დოკუმენტში ანალიტიკოსებმა ცოტა განსხვავებულად წარმოაჩინეს პროგრამის მიზნები. მაგალითად, CBEP-ის პროგრამით მოქმედი ლაბორატორიები უნდა შევიდნენ აშშ-ის არმიის ჯანდაცვის ცენტრის მონაცემთა შეგროვების ერთიან ქსელში (AFHSC). მათი ამოცანაა კვლევების ჩატარება განსაკუთრებით საშიში პათოგენების მიმართ ეპიდემიოლოგიური ვითარების შესაფასებლად.

პენტაგონს ხელს აძლევს ის, რომ ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენცია მიღებული კი არის, მაგრამ აქამდე არ შექმნილა საორგანიზაციო სტრუქტურები ამ კონვენციის შესრულებაზე კონტროლის დასაწესებლად.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგეი რიაბკოვმა** აშშ დაადანაშაულა, რომ ეს ქვეყანა ფარისევლურ პოლიტიკას ეწევა ბიოლოგიური იარაღის სფეროში: **„აშშ-ის სამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობით ნაციონალური ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ხორციელდება აქტიური სამედიცინო-ბიოლოგიური საქმიანობა, რომელიც გვაშფოთებს და აჩენს კითხვებს, მათ შორის, ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენციის ჩარჩოში და უცნაურად გამოიყურება ჩვენი ამერიკელი კოლეგების მცდელობები, დაბლოკონ მოლაპარაკებების განახლება ვერიფიკაციის მექანიზმზე, ამასთანავე, ცალმხრივად მიუწვდებოდეთ ხელი მათთვის საინტერესო უცხოურ მიკრობიოლოგიურ ობიექტებზე, რომელთა შესახებაც ინფორმაციის გავრცელებით არ იღლებიან და რომლებიც, ჩვენი შეფასებით, არ შეესაბამება სინამდვილეს“.**

eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს 2005 წლის შეთანხმების მიხედვით, უკრაინის მთავრობას ეკრძალება „მგრძნობიარე“ ინფორმაციის გახმაურება ამერიკული პროგრამის შესახებ. უკრაინა ვალდებულია, პენტაგონს გადასცეს სახიფათო პათოგენები ბიოლოგიური გამოკვლევებისთვის. მეტიც, ამერიკელ სამხედროებს ხელი მიუწვდებათ უკრაინის სახელმწიფო საიდუმლოებებზე, რომლებიც ამ პროექტებთან არის დაკავშირებული; უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრო კი ვალდებულია, პენტაგონს გადასცეს სახიფათო პათოგენების შტამების ასლები. სომხეთში ამერიკელებს ხელი მიუწვდებათ მონაცემთა სრულ ბაზაზე და შეუძლიათ, განსაკუთრებით საშიში პათოგენები გაიტანონ თბილისში — ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე, რუსეთთან შეკავშირების წყალობით, საზღვრების განმტკიცებისა და თვით შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მხრივაც საქართველომ მხოლოდ თუ მოიგო ბევრი რამ. ქართლი, კახეთი, იმერეთი — ცალკე სამეფოები; გურია, სამეგრელო, მესხეთი, აფხაზეთი, სვანეთი — სამთავროები; კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ მაინც თავიანთი სათემო წყობილება ჰქონდათ; თვით პატარა სვანეთიც კი სამად იყო დაყოფილი: სადადეშქელიანო, თავისუფალი სვანეთი და ქვემო, საგარდუფხანო სვანეთი; სამხრეთ საქართველო და შავიზღვისპირეთი ბათუმიან-ქობულეთიანად ხომ ოსმალებს ჰქონდათ მიტაცებული. ახლა, ყველა ეს კუთხე და მხარე შეკავშირდა და ერთიან რესპუბლიკად იქცა“.**

**1946 წლის 8-დან 10 ოქტომბრამდე სტალინთან სოჭის აგარაკზე სტუმრად იმყოფებოდნენ მისი სიყრმის მეგობრები: მასწავლებელი პეტა კაპანაძე, მოჭიდავე სოსო ცერაძე, მემანქანე მიხეილ ტიტვინიძე. მათთან ერთად სტალინს, აგრეთვე, სტუმრობდნენ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი პეტრე შარია, მსახიობები: აკაკი ხორავა, სპარტაკ ბაღაშვილი და აკაკი ვასაძე. სტუმრები სტალინმა რიწის ტბაზე აიყვანა იქაური ბუნებისა და მოწმენდილი ცის სანახავად.**

# რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?



**«ომის შემდეგ გადავკარი ერთი-ორი სიტყვა და ზუსტად მივანიშნე ოსმალოებს, — საზღვრის ამბავი არ დამვიწყებია-მეთქი. ხმას არ იღებენ, მაგრამ ისიც ცხადია, ჩვენი ევროპელი და ოკეანის გადაღმელი «ძმები» მხარს მათ უჭერენ, მაგრამ აშკარად არაფერს ამბობენ. საქართველოსა და სომხეთის მიწების დაბრუნება საბჭოთა კავშირის ინტერესებშიც შედის და ჯერჯერობით არ ვაპირებ არც პიზიციების დათმობას და არც დადუმებას. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს გზასაც და გამოსავალსაც»**




„საარაკო ბუნების პატრონები ვართ, საარაკო, — ჩაილაპარაკა სტალინმა და თოვლიან მწვერვალებს გახედა, ამას დიდი მოვლა სჭირდება დიდი...“ — იგონებს **აკაკი ვასაძე** (ალბათ, შორეულ მომავალზე ფიქრობდა — გრ. ონიანი).

სოჭის აგარაკზე დაბრუნებულ სტუმრებს სტალინი ოთახში შეუძღვა, სადაც მაგიდაზე ამიერკავკასიის რუკა იყო გაშლილი.

— აბა, კანდიდ, აგერ ფანქარი და მოხაზე ახლანდელი საქართველოს საზღვრები. კანდიდმა ზუსტად და მკაფიოდ შემოხაზა საქართველოს შემომატებული ჩრდილოეთის ტერიტორიები (ქლუხორი და ახალხევი).

— აი მესმის. ქლუხორის მხარეც საქართველოს საზღვრებში მოექცა, რამდენი უნდა ებრძოლა ერეკლე მეფეს, ამხელა ტერიტორია რომ შემოემტკიცებინა საქართველოსთვის? — ღიმილით გადახედა სტუმრებს სტალინმა.

— სხვისი მიწა რად გვინდა, ნეტავ, ჩვენი რაც იყო, ის დაგვაბრუნებინა“, — გულუბრყვილოდ დაიჩივლა **ტიტვინიძემ.**

**— შენს ორაზროვან ნათქვამს მიგიხვდი, ჩემო ძმაო; ჩვენი მიწები რომ დავიბრუნოთ, საბაბს არ გვაძლევს მიმტაცებელი, საბაბი რომ იყოს, ყარსსა და არდაღანს ტრაპზონამდე მთელ მიწებს უკან ჩავიბარებდი. აი რა ამბავს მოგიყვებით.**

სანამ სტალინის მონაყოლს გაგაცნობთ, ჩემი მოსაზრება უნდა გაგიზიაროთ:

ქართველებო, ჩემო გონიერო და მსოფლიოში ნიჭიერებითა და სილამაზით სახელგანთქმულნო, თხუთმეტი წუთით დაივიწყეთ ყოველგვარი ცრუ შთაგონება, გამოდით ზომბის მდგომარეობიდან, მოვლენებს შეხედეთ რეალურად, გაითავისეთ და აღიქვით გაკეთებული საქმეები და მოუსმინეთ სტალინს! გონებას წინასწარ ნუ მოადუნებთ, რადგან სიტყვა სტალინი წაიკითხეთ. იწამეთ, რომ სტალინს არც ერთი სიტყვა, არც ერთი წინადადება ვინმეს საამებლად არასდროს წარმოუთქვამს. მოუსმინეთ მას. გააცნობიერეთ, რასაც ამბობს, შემდგომ კი გააანალიზეთ და, როგორც გსურდეთ, ისე დაიტოვეთ თქვენს გულებში. თქვენ არ ხართ მართალი, როცა ეჭვი გეპარებათ სტალინის გულახდილობაში. სტალინი გვიყვება იმ სიმართლეს, რომელიც თვითონ გამოიარა.

„ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების (მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 1917 წლის 22 დეკემბრიდან 1918 წლის 2 მარტამდე. ხელი მოეწერა 1918 წლის 3 მარტს — გრ.ონიანი) დადების მომენტში კავკასიის ფრონტის ჯარებს ერზრუმი არ ჰქონდათ დატოვებული; საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის თავმჯდომარედ **ტროცკი** იყო დანიშნული, ხოლო ამ კომისიის კონსულტანტად ლენინმა მე მიმავლინა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი. **ამიერკავკასიის მთავრობებმა ჩვენს მიმართვაზე, თავიანთი წარმომადგენლები გამოეგზავნათ და მონაწილეობა მიეღოთ საზავო მოლაპარაკებებში, დუმილით გვიპასუხეს. კაცი არ გამოჩნდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასაზღვრო ინტერესები რომ დაეცვა. ბრესტის ხელშეკრულება ვერ შედგებოდა, თუ საომარი ურთიერთმდგომარეობა არ გამოიხატებოდა საზღვრების საკითხის შეთანხმებული და სამართლიანი გადაწყვეტით.** ამ იურიდიული კაზუსის გამო ჩემს თავზე ავიღე ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესების დაცვა. ამიერკავკასიის ქვეყნების საზღვართა მცოდნემ, თუ არ ვცდები, **ქიაზიმ ბეიმ** ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ისეთი პრეტენზიები წამოაყენა, რომ მათი უარყოფა არ გამჭირვებია, **ყარსი და არდაღანი რა საკითხავია, ბათუმიც თავიანთ საზღვრებში მოიყოლიეს. მათი პროექტით, ახალქალათან კარძახზე უნდა გასულიყო საზღვარი და ასე შემდეგ. ქიაზიმ ბეიმ გადასინჯვაზეც კი არ ისურვა მოლაპარაკება და დიპლომატიური მსჯელობების შეწყვეტითაც დამემუქრა. მაშინ მე ფრიად მრავალმნიშვნელოვნად განვუცხადე: როგორც გენებოთ, მაგრამ საზღვრებზე საუბრის გაგრძელება იქნებ ერზრუმში მოგვიწიოს-მეთქი და წამოვდექი. ახლა კი იკადრა უკან დახევა, — მოითმინეთ, მე სულაც არ მინდა თქვენი მომდურება, რუსეთთან მხოლოდ კარგი დამოკიდებულებით ვარ დაინტერესებულიო და კარგა ხანს ოსმალური ლათაიებით შემიქცია.** მე მოკლედ ვუთხარი: დამარცხებული ქვეყნისთვის სასირცხვილო როდია, თუ თავისი ძველი საზღვრების შენარჩუნებას მოინდომებს-მეთქი. თანახმა ვარო, — დამყვა ქიაზიმ ბეი და მეც დასრულებულად მივიჩნიე ჩემი მისია, მოსკოვში მოვემზადე წასასვლელად. გზაში უეცრად ტიფი შემეყარა. მხოლოდ ორი-სამი კვირის შემდეგ მოვახერხე წამოდგომა. კომისარიატში ძლივს მივლასლასდი, რადგან **ლენინი** ჩემთან ტელეფონით დალაპარაკებას მოითხოვდა. **ლენინმა თავისთან გამომიძახა ახალი საზღვრების ხელშეკრულებათა გასაცნობად. მივედი და, რას ვხედავ; ქიაზიმ ბეის კომისიის თავმჯდომარისთვის საზღვრების დანაწილების პირველი ვარიანტისთვის მოუწერინებია ხელი... როგორც შემდეგ გაირკვა, ქიაზიმ ბეის ჩემი იქ არყოფნით უსარგებლია და იმ ოსმალო გაქნილ დიპლომატს ლაზათიანად გაუცურებია ჩვენი თავმჯდომარე ტროცკი. რაღას ვიღონებდი, ლენინსაც უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი ხელშეკრულებაზე, როგორც სომხეთისთვის, ასევე საქართველოსთვის.** ერის ტერიტორიის დათმობისა და გაჩუქების უფლება არავის აქვს. ერის ისტორია ხელშეუხებელია. **ომის შემდეგ გადავკარი ერთი-ორი სიტყვა და ზუსტად მივანიშნე ოსმალოებს, — საზღვრის ამბავი არ დამვიწყებია-მეთქი. ხმას არ იღებენ, მაგრამ ისიც ცხადია, ჩვენი ევროპელი და ოკეანის გადაღმელი „ძმები“ მხარს მათ უჭერენ, მაგრამ აშკარად არაფერს ამბობენ. საქართველოსა და სომხეთის მიწების დაბრუნება საბჭოთა კავშირის ინტერესებშიც შედის და ჯერჯერობით არ ვაპირებ არც პიზიციების დათმობას და არც დადუმებას. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს გზასაც და გამოსავალსაც. ერთი კი ცხადია, მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე, რუსეთთან შეკავშირების წყალობით, საზღვრების განმტკიცების და თვით შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მხრივაც საქართველომ მხოლოდ თუ მოიგო ბევრი რამ. ქართლი, კახეთი, იმერეთი — ცალკე სამეფოები; გურია, სამეგრელო, მესხეთი, აფხაზეთი, სვანეთი — სამთავროები; კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ მაინც თავიანთი სათემო წყობილება ჰქონდათ; თვით პატარა სვანეთიც კი სამად იყო დაყოფილი: სადადეშქელიანო, თავისუფალი სვანეთი და ქვემო, საგარდუფხანო სვანეთი; სამხრეთ საქართველო და შავიზღვისპირეთი ბათუმიან-ქობულეთიანად ხომ ოსმალებს ჰქონდათ მიტაცებული. ახლა ყველა ეს კუთხე და მხარე შეკავშირდა და ერთიან რესპუბლიკად იქცა“.**

ეჭვი ხომ არ გეპარებათ სტალინის მონაყოლში? მაშ, ნუღარ ვიკამათებთ იმაზე, უნდოდა თუ არა სტალინს საქართველოს გაფართოება. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილის გასხვისებას, მისი შემოქმედი სხვაა, თუმცა იმ სხვასაც ჰქონდა იმის საფუძველი, რადგან სულ სხვა ფორმისა და შინაარსის სახელმწიფო შენდებოდა. **თუ აღმოსავლეთ საქართველოში რესპუბლიკამ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დაკარგა, 1921 წლის ოქტომბერში, მიწის პირველი დეკრეტით, კასპიისპირეთში საქართველოს ექვსმა რაიონმა საკუთრებაში 700 000 ჰექტარი მიწის ფართობი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე უვადო სარგებლობით მიიღო. და ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ ერთ რესპუბლიკას მეორის ტერიტორიაზე ასეთი უზარმაზარი ტერიტორია ჰქონდა დაკავებული.** სწორედ ეს წაუყენა ერთ-ერთ ბრალდებად **ხრუშჩოვმა** სტალინს, დამპყრობელი იყო, ჩრდილოკავკასიაში მან (სტალინმა — გრ. ონიანი) თავის რესპუბლიკას 700 000 ჰექტარი მიწა მიატაცებინაო.

საქართველოს მუდმივ სარგებლობაში გადაცემული ჩრდილოკავკასიის ეს უზარმაზარი ტერიტორია იურიდიულ ჩარჩოებში რომ მოექცია, საკავშირო ხელისუფლების 1940 წლის 5 სექტემბრის №2000 დადგენილებით, ჩრდილოკავკასიის ხუთ რესპუბლიკაზე გამავალი საქართველოს ცხვრის გადასარეკი ტრასა (რომელზეც განლაგებული იყო დასასვენებელი მოედნები (ცხვრის), არტეზიული ჭები, საწყურებლები და დროებითი შენობა-ნაგებობანი), შეფასდა სამთავრობო კომისიის მიერ და მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების (არტეზიული ჭები) ფასი განისაზღვრა 200 000 მანეთის ოდენობით. **სამთავრობო დადგენილე-**

**1921 წლის ოქტომბერში მიწის პირველი დეკრეტით კასპიისპირეთში საქართველოს ექვსმა რაიონმა საკუთრებაში 700 000 ჰექტარი მიწის ფართობი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, უვადო სარგებლობით მიიღო. და ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ ერთ რესპუბლიკას მეორის ტერიტორიაზე ასეთი უზარმაზარი ტერიტორია ჰქონდა დაკავებული. სწორედ ეს წაუყენა ერთ-ერთ ბრალდებად ხრუშჩოვმა სტალინს — დამპყრობელი იყო, ჩრდილოკავკასიაში მან (სტალინმა — გრ.ონიანი) თავის რესპუბლიკას 700 000 ჰექტარი მიწა მიატაცებინაო.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ბა ავალებდა საქართველოს სახალხო კომისარიატს აღნიშნული თანხის გადახდას რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ, რის შემდეგაც აღნიშნული ნაგებობები 48 000 ჰა მიწის ფართობით საქართველოს კუთვნილება გახდებოდა. საკავშირო დადგენილება შესრულდა და ყაზბეგიდან კასპიის ზღვამდე (ვოლგის დელტამდე) საქართველოს თავისი 48 000-ჰექტრიანი გზა ჰქონდა გაყვანილი. აი ეს გაუკეთა სტალინმა საქართველოს!**

დიდი ნავთობმომპოვებელი ქალაქი ბაქო, რომელიც თავისი პოტენციალით აღემატებოდა ევროპის ყველაზე დიდ ქალაქებსაც კი, ელექტროენერგიის დეფიციტს განიცდიდა და კუსტარული წესით ხდებოდა ნედლეულის ამოღება-გადამუშავება. სწორედ ამ დროს გოელროს გეგმის პირველი მონახაზი მისმა ფაქტობრივმა ავტორმა — სტალინმა ლენინს ქუთაისიდან გაუგზავნა („წერილები ქუთაისიდან"). მინიშნებული იყო ზემო ავჭალის ჰესის, ამიერკავკასიაში პირველი ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც 1922 წელს დაიწყო და საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მისი მშენებლობისთვის 700 000 ოქროს მანეთი გამოჰყო. 1922 წელსვე მოსკოვმა უსასყიდლოდ გადასცა ქალაქ ქუთაისს ერთ-ერთი უძლიერესი მაუდის ფაბრიკა, რომელიც ქუთაისში 60-ვაგონიანი ეშელონით ჩაიტანეს. მას თან ჩამოჰყვა 120 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ფაბრიკის დასამონტაჟებლად და გასაშვებად.

**1922 წელს საქართველოში დაიწყო 20-მდე მსხვილი ინდუსტრიული საწარმოს მშენებლობა, რომლებიც 1926-28 წლებში დასრულდა და კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობამ 75 მილიონ მანეთს გადააჭარბა. იმხანად უზარმაზარი თანხის 70% საკავშირო ბიუჯეტიდან იქნა გაღებული.** ნათლად ჩანს, ამ საქმეში ვისი ხელიც ურევია.

არასოდეს გამჩენია სურვილი, სტალინი ქართველი ერის ინტერესებით დატვირთულ სახელმწიფო მოღვაწედ წარმომეჩინა, მაგრამ ზოგიერთმა არამზადამ „კედელთან მიმაყენა" კითხვით — „რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?" და მეც იძულებული ვარ, განვმარტო, რომ სტალინი მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა და ადამიანთა მხსნელის მისიით კი არ იყო მოვლინებული ამ ქვეყანაზე, არამედ „ჩათლახობითა" და „გოთვერნობით" სახელგანთქმული ზოგიერთი ქართველის გასაკეთილშობილებლად და მათზე ყალბი დიდების ისტორიის შესაქმნელად. ეს, რა თქმა უნდა, სარკაზმით...

მას შემდეგ, რაც ზაჰესმა გაანათა საქართველო და ფართო გზა გაუხსნა თბილისის ინდუსტრიულ განვითარებას, მას მოჰყვა რიონჰესი, ხოლო რიონის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებას — ქუთაისის, როგორც მეორე ინდუსტრიული ქალაქის, გაჩენა საქართველოში. მიზეზთა გამო სწრაფი ტემპით დაიწყო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც სარეკორდო დროში დამთავრდა.



ქუთაისის საავტომობილო ქარხანა



რუსთავის მეტალურგიული ქარხანა



ზაჰესი



თბილისის საავიაციო ქარხანა



ყიზლარის საძოვრები



ჩაის კრეფა

ყოველგვარი რეკლამის, ინვესტორის ძებნისა და დროშების გადმოკიდების გარეშე დაიწყო საუკუნის მშენებლობა — ბაქო მაგისტრალით დაუკავშირდა ბათუმს, სადაც აშენდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ამიერკავკასიის რკინიგზა პირველი იყო საბჭოთა კავშირში ელექტროწევის მხრივ. ეს როგორ? — ენერგეტიკის სფეროში ყველაზე ჩამორჩენილ რესპუბლიკას როგორ უნდა ჰქონოდა პრეტენზია, ყოფილიყო ენერგიით ყველაზე კარგად უზრუნველყოფილი?! **ენერგეტიკის განვითარებამ საშუალება მისცა საქართველოს, ფართოდ გაეშალა ბარიტის, მაგნეტიტური ქვიშის, გუმბრინისა და არამადნეული წიაღისეულის მომპოვებელ-გადამამუშავებელი მრეწველობა. მძლავრი ტემპით განვითარდა ჩარხმშენებლობა და მანქანათმშენებლობა.**

მკითხველო, დღეს მე გიყვებით არა ანეკდოტებსა და სტალინისადმი მიძღვნილ დითირამბებს, არამედ გელაპარაკებით საქმეებზე, რომლებიც სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით გაკეთდა რესპუბლიკაში. **მეორე ხუთწლედში ჩარხმშენებლობის დარგს შეემატა კიროვის ჩარხმშენებელი ქარხანა, შეიქმნა საჩამომსხმელო ქარხანა „ცენტროლიტი", ქუთაისის სამთო-საშახტო მოწყობილობათა ქარხანა; 1929 წელს ამუშავდა თბილისის მაუდის ფაბრიკა, მომდევნო წელს გაიშალა ტყავ-ფეხსაცმლის, აბრეშუმის მრეწველობის, სამკერვალო ფაბრიკების მშენებლობა. მშენებლობა გაჩაღდა რაიონებშიც: აშენდა ხეტყის სახერხი ქარხნები, ხის დამამუშავებელი საწარმოები, ამუშავდა თბილისის ფირფიცრის ქარხანა, ასეთივე ქარხანა აშენდა ბათუმში, სახელი გაითქვა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკამ, ცხინვალის ხეტყის კომბინატმა, ახმეტის ხეტყის ქარხანამ, ზუგდიდში შექმნილმა გიგანტურმა ქაღალდ-ცელულოზის კომბინატმა და სხვ.** ყველა ეს საწარმო გეგმის მიხედვით აშენდა და ქაოსურად არ მიმდინარეობდა საქართველოს ტყეების განადგურება. ხეტყეზე მომუშავე ყველა ქარხანა თუ საწარმო რუსეთიდან შემოზიდული მასალით მუშაობდა. დღეს, როდესაც არც ერთი ქარხანა ქვეყანაში არ მოქმედებს, ტყეები ნადგურდება და ნედლეული საზღვარგარეთ გადის.

1923 წელს საქართველოში ჩატარდა სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების აღწერა და გაირკვა, რომ იყო:

1. ხის გუთანი — 7406 ცალი;
2. ხის კავი — 162 947 ცალი;
3. რკინის გუთანი — 17 785 ცალი;
4. ხის ფარცხი — 54752 ცალი;
5. რკინის ფარცხი— 3002 ცალი.

* 1923 წელს საქართველოში იყო 338 480 მეურნე (გლეხის ოჯახი), მათგან სახნავი იარაღი არ ჰქონდა 210 092-ს, სატრანსპორტო ინვენტარს არ ფლობდა (ურემი, მარხილი, ორთვალა და სხვ.) 235 674 ოჯახი. 1940 წელს, ე.ი. 17 წლის შემდეგ საქართველოში იყო 2 448 ტრაქტორი. დიდი სამამულო ომიდან 7 წელიწადში, 1952 წელს, ტრაქტორების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა და 6 144 ცალს მიაღწია.

* ბუნების გარდაქმნის დიადმა სტალინურმა გეგმამ, რომელიც 1948 წელს შემუშავდა და 1953 წლამდე, სტალინის გარდაცვალებამდე, ხორციელდებოდა, გრანდიოზულ შედეგები გამოიღო. სტალინს ამ გეგმის ნაწილი უკვე განხორციელებული ჰქონდა თავის ქვეყანაში 1921 წლიდან და შედეგებზეც ასე თავისუფლად იმიტომ საუბრობდა. სტალინს საქართველოში უკვე აშენებული ჰქონდა კულაშღანირის, ლაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის სარწყავი სისტემები, რომლებმაც გააცოცხლა 330 000 ჰა მიწის ფართობი; ამას ემატებოდა 105 000 ამომშრალი დაჭაობებული მიწის ფართობი. ნარინჯების ქვეყნად იქცა 220 000 ჰა კოლხეთის დაჭაობებული მიწისთვის მოტაცებული 60 000 ჰა, რომელზეც სრულიად ახალი სიცოცხლე გაჩნდა.

მიუხედავად ასეთი გიგანტური შრომითი ნაბიჯებისა, რომლებსაც საქართველო დგამდა 1921-დან 1940 წლამდე, 1940 წელს სტალინსა და იმჟამინდელ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან **კანდიდ ჩარკვიანს** შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

„საქართველოს მრეწველობა ძალიან ნელა ვითარდება, თქვენ კი ამ საკითხს საკავშირო ორგანოების წინაშე არ აყენებთ. ივიწყებთ, რომ, სანამ ბავშვი არ იტირებს, დედა მას ყურადღებას არ მიაქცევს. თუ ეს თავმდაბლობით მოგდით, ძალიან ცდებით. თქვენ შეგიძლიათ და კიდეც უნდა იყოთ თავმდაბალი პირად ცხოვრებაში. ამ საქებარი თვისებით რესპუბლიკის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ანგარიშზე თავმოწონება კი დანაშაულს უდრის. ჩვენ აქ ამხანაგებთან ვიმსჯელეთ და საჭიროდ ვცანით, საქართველოში ამ ხუთწლედში დამატებით შევუდგეთ სამი დიდი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნის, საავიაციო ძრავებისა და თვითმფრინავების ქარხნის — მშენებლობას. მოიფიქრეთ ამ ქარხნების მშენებლობის საკითხები, შეიმუშავეთ სათანადო წინადადებები და ჩამოდით მოსკოვში სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ერთად".

დიდი სამამულო ომის შემდგომი 8 წელიწადი, 1945-1953 წლები, საქართველოში, ისევე, როგორც ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკაში, სოციალისტური მრეწველობის მძლავრი ალმავლობის პერიოდი იყო. **რესპუბლიკის მოსახლეობის თავდადებული შრომით ამ პერიოდში აშენდა და მწყობრში ჩადგა სოციალისტური მრეწველობისა და ენერგეტიკის 300-მდე ობიექტი, მათ შორის, რესპუბლიკის მშრომელთა სიამაყე — ი.ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, აგრეთვე, ქიმიური და ცემენტის ქარხნები რუსთავში, ელმავალმშენებელი ქარხანა თბილისში, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, ბამბეულის მძლავრი კომბინატი და ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა გორში, გამამდიდრებელი ფაბრიკები ჭიათურასა და ტყიბულში, ქვანახშირის, მარგანეცის, ტყვია-თუთიისა და ბარიტის ახალი შახტები და მაღაროები ტყიბულში, ტყვარჩელში, გელათში, ახალციხეში, ჭიათურაში, ქვაისაში, ირში და სხვ., ქარხანა „ელექტროავტომატი", „ელექტროგამშვები", მიკროძრავა" და „გაზაპარატი", ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, ლითონის სახეხი დაზგებისა და ტექნიკური ქვის ქარხნები თბილისში, გემთმშენებელი, ჩაის მრეწველობის, მანქანათმშენებელი და ელექტრომექანიკური — ბათუმში, მიწასაწოვი მანქანებისა და ექსკავატორების ქარხანა — ფოთში, ქარხანა „ემალსადენი" და ელექტროვიბრომანქანების ქარხანა სტალინირში (ცხინვალი), საშახტო მოწყობილობისა და ელექტრომექანიკური ქარხნები — ქუთაისში, კაბელების ქარხანა — ზესტაფონში, ხრამის, სოხუმის, ჭითახევის, ტყიბულის, შაორის, გუმათის, ლაჯანურის მძლავრი ჰიდროელსადგურები, ჩაის ფაბრიკები, ღვინის, საკონსერვო, ეთეროვანი ზეთების, ტუნგოს ზეთსახდელი, ყველისა და რძის ქარხნები და სხვ.**

მკითხველს მანამდე უნდა მივაწოდო სტალინისდროინდელი საქართველოს აყვავებისა და გაბრწყინების ნამდვილი ფაქტები, სანამ მას ამის წაკითხვა არ მოსწყინდება.

მე კი მოვუწოდებ ქართველ ხალხს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს: ნუ მოსწყდებით სინამდვილეს, ღია თვალებით შეხედეთ დღევანდელ მსოფლიოს და გაითვალისწინეთ დიდი შოთა რუსთაველის XII საუკუნეში ნათქვამი: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების!" ეს დრო კარს არის მომდგარი.

სტალინის საფლავზე ნაგავი აღარ ყრია, ის ისტორიის დაუნდობელმა ქარმა გაფანტა. „უკვდავების შარავანდედით" შემოსილი ლიბერალიზმის ორმოციც მალე გვექნება გადასახდელი.

(გაგრძელება იქნება)

განხეთქილება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბართოლომეოსს გუშინ არ გადაუწყვეტია განხეთქილებაში მყოფი კიეველებისთვის ტომოსის გადაცემა. იგი დიდხანს და მტკიცედ მიიწევდა „სრულიად მართლმადიდებელი პაპობის“ გამოცხადებისკენ და, ამასთანავე, მხარს უჭერდა ათასი ჯურის „რასკოლნიკებს“ არა მხოლოდ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში და არა მხოლოდ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიების მიმართ გამოხატავდა პრეტენზიებს.**

# საბერძნეთის ეკლესიამ დიდი განხეთქილების საშიშროება რეალური გახადა

## ელადის იერარქებმა რწმენას პირადი პრიორიტეტები და პოლიტიკური მიზანშეწონილობა ანაცვალეს

**2012 წლის 12 ოქტომბერს ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა კრებამ მოახდინა მისივე წმინდა სინოდის გადაწყვეტილების წინასწარი რატიფიცირება და დაეთანხმა იმ აზრს, რომ „ეკუმენურ საპატრიარქოს უფლება აქვს, მიანიჭოს ეკლესიას დამოუკიდებლობა“. ამგვარად, ელადის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დე ფაქტო ცნო ბართოლომეოსის მიერ პოროშენკოს თხოვნით აღიარებული ეპიფანეს „უკრაინის უწმინდესი ეკლესია — უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“ (СЦУ/ПЦУ). ეს უკიდურესად უსიამოვნო მოვლენაა, როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ისე სრულიად მსოფლიოს მართლმადიდებლობისთვის.**

დარღვეულია საერთო მართლმადიდებლური ერთიანობა, რომელიც თოკავდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის პაპისტურ ამბიციებს. აწ უკვე ზოგიერთი ეროვნული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის რთული იქნება, წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკელებისა და საკუთარი ხელისუფლების წნეხს, რომლებიც ცდილობენ, გააფართოვონ ეპიფანელების აღიარების ზონა. ეროვნული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის „უკრაინის უწმინდესი ეკლესიის — უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ აღიარება ავტომატურად ნიშნავს ბართოლომეოსის (და მისი მემკვიდრეების) „უფლების“ აღიარებას ანალოგიურ ქმედებებზე საკუთარი ეკლესიის მიმართაც. ასე რომ, ის, ვინც ელადის ეკლესიის გზას აირჩევს, სტამბოლის „პაპის“ საკუთარ თავზე ბატონობას აღიარებს.

**ბართოლომეოსს გუშინ არ გადაუწყვეტია განხეთქილებაში მყოფი კიეველებისთვის ტომოსის გადაცემა. იგი დიდხანს და მტკიცედ მიიწევდა „სრულიად მართლმადიდებელი პაპობის“ გამოცხადებისკენ და, ამასთანავე, მხარს უჭერდა ათასი ჯურის „რასკოლნიკებს“ არა მხოლოდ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში და არა მხოლოდ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიების მიმართ გამოხატავდა პრეტენზიებს.**

ავტოკეფალიის მინიჭებაზე ბართოლომეოსი უკრაინის პრეზიდენტ **ვიქტორ იუშჩენკოსთანაც** მართავდა მოლაპარაკებებს. მაშინ არაფერი არ გამოვიდა, არა იმიტომ, რომ მასში სინდისმა გაიღვიძა ან რაიმესი შეეშინდა, უბრალოდ, იუშჩენკოს პრეზიდენტობის პერიოდში (2005-2010) უკრაინა ახლანდელთან შედარებით ძლიერი იყო (იმხანად ჯერ კიდევ ძალაში იყო სლავური მართლმადიდებლობის ცენტრად უკრაინის გამოცხადების პროექტი), ხოლო მისი პრეზიდენტები უფრო ამბიციურები, ვიდრე **პოროშენკო.** ამიტომ, მიუხედავად „ნაციონალური ეკლესიის“ მიღების დიდი სურვილისა, იუშჩენკო დაჟინებით მოითხოვდა ნამდვილ ავტოკეფალიას და არ ეთანხმებოდა ბართოლომეოსის სურვილს, კონტროლი დაემყარებინა უკრაინულ ფსევდოეკლესიურ „ახალშენზე“. **იუშჩენკო იმ სამარცხვინო პირობებზე რომ დათანხმებულიყო, რომლებიც პოროშენკომ მიიღო, ტომოსიც ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში გაჩნდებოდა.**

თვით ელადის ეკლესია (საბერძნეთის მთავრობასთან ერთად) ბართოლომეოსმა ჯერ კიდევ 2004 წელს გატეხა „ახალ ტერიტორიებზე“ (ჩრდილოეთ საბერძნეთის ეპარქიებში და ეგეოსის კუნძულებზე, რომლებიც ნომინალურად იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის უზენაესი უფლებამოსილების ქვეშ) მღვდელმთავართა დანიშვნის წესის შესახებ დავისას. **ბერძნები, თითქმის საუკუნოვან პრაქტიკაზე დაყრდნობით, იცავდნენ თავიანთ უფლებას, ბართოლომეოსის ნებართვის გარეშე დაენიშნათ მღვდელმთავრები, მაგრამ სტამბოლის პატრიარქი, რომელსაც უკვე დაწყებული ჰქონდა სვლა „მართლმადიდებელთა პაპობისკენ“, დაჟინებით მოითხოვდა, ათენის სამთავარეპისკოპოსოს მიერ შემოთავაზებული კანდიდატურების დამტკიცების უფლება ჰქონოდა. თავდაპირველად საბერძნეთის მთავრობა ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მხარეს იყო, მაგრამ შემდეგ ბერძნები გატყდნენ და ყველაფერი (ყველა პუნქტით) დათმეს ბართოლომეოსთან.**

სწორედ ამიტომ ელადის ეკლესიას სუსტ რგოლად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ სტამბოლს ყველაზე მეტად სწორედ მისი გატეხვის შანსი ჰქონდა ეპიფანელების აღიარების საკითხში, რაც ასეც მოხდა. ცხადია, რომ ახლა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია იძულებული იქნება, გაწყვიტოს ევქარისტული კავშირი ელადის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართ უკვე მოიმოქმედა.

**ამ სიტუაციაში წაგებული, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ელადის მართლმადიდებელი ეკლესიაა. საქმე ის არის, რომ 2004 წელს ელადის მართლმადიდებელი ეკლესია პირისპირ ებრძოდა ბართლომეოსს და მის ამერიკელ წამქეზებლებს. საბერძნეთის მთავრობა ძალიან იყო დამოკიდებული აშშ-ზე, ვერ გაუწია საკუთარ ეკლესიას ქმედითი დახმარება და ვაშინგტონის ზეწოლით მიემხრო კონსტანტინოპოლს. სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები, წესის თანახმად, არ ერეოდნენ იურისდიქციის საკითხზე სხვათა დავაში.**

თუმცა „უკრაინის უწმინდესი ეკლესიის — უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ შემთხვევაში, ბართოლომეოსი სრულიად მსოფლიო სამართლმადიდებლოს დაუპირისპირდა. ამა თუ იმ ხარისხით ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გააპროტესტა მისი გადაწყვეტილება, იგრძნორა საფრთხე საკუთარი თავისთვის ბართოლომეოსის პრეტენზიებში „მართლმადიდებელთა პაპობაზე“. არსებული ვითარება საშუალებას აძლევდა ელადის მართლმადიდებელ ეკლესიას, ხელახლა დაეყენებინა იურისდიქციის საკითხი „ახალ ტერიტორიებზე“, მაგრამ ამჯერად სრულიად მართლმადიდებლურ მხარდაჭერაზე დაყრდნობით. ეს ლოგიკურად ჩაჯდებოდა ბართოლომეოსის პრეტენზიებთან ბრძოლაში მსოფლიო მართლმადიდებლობაში აბსოლუტურ ძალაუფლებაზე. საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდა კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის წინადადების მხარდაჭერით, რომელიც უკრაინის ავტოკეფალიის საკითხის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ან უმაღლეს მღვდელმთავართა საბჭოზე განხილვას ითხოვდა. **რადგანაც კონსტანტინოპოლი მუდმივად ედავება იურისდიქციის საკითხებზე სხვადასხვა მართლმადიდებელ ეკლესიას, ხომ იქნებოდა უმჯობესი ყველა ეს საკითხი გადაწყვეტილიყო ერთ კრებაზე? ბერძნებს კარგი საშუალება ჰქონდათ, საბოლოოდ მოესპოთ ორხელისუფლებიანობა ელადის მართლმადიდებელ ეკლესიაში, მაგრამ მათ ვერ გაუძლეს და დანებდნენ.**



**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ქმედებები ეკლესიათაშორის ურთიერთობებში, ფაქტობრივად, რუსეთის სახელმწიფოს ქმედებების ანალოგიურია საერთაშორისო არენაზე. რუსეთი ხდება მოკავშირე მათი (რომლებიც იღებენ ყველანაირ შესაძლო მხარდაჭერას), ვინც თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, იბრძოლოს; და არა მათი, ვისი მოსყიდვა, დაყოლიება ან იძულებაა საჭირო. და ეს სწორია**

ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები კარგად აცნობიერებდნენ მათი გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგებს და გააკეთეს არჩევანი. რთულია, ამ არჩევანს თავისუფალი ეწოდოს, მაგრამ, სულ ცოტა, ბერძნებმა გაითვალისწინეს ყველა „დადებითი“ და „უარყოფითი“ მხარე და გადაწყვიტეს, რომ მათთვის ასე უფრო ხელსაყრელია. **რა ამოძრავებდათ მათ?**

პირველ რიგში, საბერძნეთის ეკლესია გრძნობდა ნათესაურ კავშირს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან და დიდი ხნის წინათ შეერწყმებოდა მას, რომ არა მისი დე ფაქტო კონტროლი თურქეთის ხელისუფლების მხრიდან. „მეორე რომის“ ეპისკოპოსის არა მხოლოდ პატივით, არამედ ძალაუფლებითაც პირველობის კონცეფციას მსოფლიო მართლმადიდებლობაში საბერძნეთის იერარქთა უმრავლესობა იზიარებს. ამ საკითხში განსაკუთრებული აზრთა სხვაობა ბართოლომეოსთან მათ არ აქვთ. ოღონდ, მათი აზრით, საპატრიარქო უნდა იყოს ბერძნული და არა თურქული. მეორე მხრივ, რადგან უკრაინის ავტოკეფალიის აღიარებას ამერიკელები მოითხოვდნენ, რომელთაც, როგორც ცნობილია, ამჟამად რთული ურთიერთობები აქვთ თურქებთან (რომლებიც ბერძნებსაც ისე არ უყვართ, რომ ნატოს ეს ორი ქვეყანა მუდმივად სამხედრო შეტაკების საფრთხის ქვეშ იმყოფება), საბერძნეთის ხელისუფლების თვალთახედვით, ამერიკელებისთვის მხარის აბმა ლოგიკური და ხელსაყრელი იქნებოდა. საბერძნეთში კი ეკლესია სახელმწიფო სტრუქტურაა, მართლმადიდებლობა — სახელმწიფო რელიგია კონსტიტუციის თანახმად, და სახელმწიფო არა მხოლოდ ხელფასს უხდის მღვდელმსახურთ, არამედ მიტროპოლიტებსაც ნიშნავს კათედრებზე.

ამ სიტუაციაში მხოლოდ იმედის ქონა შეიძლებოდა, რომ ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებისთვის რწმენა უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა მათ პირად პრიორიტეტებსა და პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე. ასე არ მოხდა.

**დავუშვათ, მოსკოვის საპატრიარქოს დაეწყო ელადის მართლმადიდებელ ეკლესიაზე ზეწოლა და დამუქრებოდა სხვადასხვა უსიამოვნებებით. ეს მას ერთ სიბრტყეზე დააყენებდა კონსტანტინოპოლთან ერთად სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების თვალში. რა მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვინ ჩაერევა მათ საშინაო საკითხებში ძლიერის პოზიციის გამოყენებით, მოსკოვი თუ ფენერი?** ყველაზე მეტი, რაც შეუძლია მოიმოქმედოს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, არის ის, რომ ანათემა გამოუცხადოს ყველას, ვინც აღიარებს ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილებას. ოდესღაც, **1054 წლის დიდი განხეთქილებისას, რომის პაპმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანათემას გადასცეს ერთმანეთი. ამით დაირღვა ისედაც არამყარი ქრისტიანული ერთობა. დიდი განხეთქილების შედეგების გადალახვა, აგერ თითქმის ათასი წელია, არ ძალუძს ქრისტიანობას, თუმცა ურთიერთ ანათემებს არც პირველი რომის პაპებისთვის და არც „მეორე რომის“ პატრიარქებისთვის ხელი არ შეუშლია, პირიქით — ხელი შეუწყო მათი ძალაუფლების კონსოლიდაციას სქიზმასთან ბრძოლაში.**

მართლმადიდებლურ სამყაროს ახალი დიდი განხეთქილების ეშინია და შიშის საფუძველიც აქვს. წააგებს ის, ვინც თავისი ქმედებით საბაბს წარმოქმნის, ჩაითვალოს განხეთქილების ინიციატორად. სწორედ ამიტომ დღეს მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობა მაინც ფენერის წინააღმდეგია. ბართოლომეოსი მათ აშინებს სწორედ იმით, რომ მისი ქმედებები წარმოშობს დიდ განხეთქილებას მართლმადიდებლობაში. მაგრამ მოსკოვის მხრიდან მკვეთრი პასუხი მასზევე გადაიტანდა ბრალეულობას და გამოცხადდებოდა, რომ ეს მოსკოვის საპატრიარქომ ვერ გამოიჩინა საკმარისი თავშეკავებულობა.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გონივრულად გაითვალისწინეს, რომ მსოფლიო მართლმადიდებლობასთან დაპირისპირება ნებისმიერ დროს შეეძლებათ, როდესაც ამის აუცილე- ▶

**ამ სიტუაციაში წაგებული, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ელადის მართლმადიდებელი ეკლესიაა. საქმე ის არის, რომ 2004 წელს ელადის მართლმადიდებელი ეკლესია პირისპირ ებრძოდა ბართოლომეოსს და მის ამერიკელ წამქეზებლებს. საბერძნეთის მთავრობა ძალიან იყო დამოკიდებული აშშ-ზე, ვერ გაუწია საკუთარ ეკლესიას ქმედითი დახმარება და ვაშინგტონის ზეწოლით მიემხრო კონსტანტინოპოლს. სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები, წესის თანახმად, არ ერეოდნენ იურისდიქციის საკითხზე სხვათა დავაში.**

განხეთქილება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ბართოლომეოსი

◀ბლობა დადგება. ამ მხრივ საჩქარო არაფერია. გაცილებით უკეთესი იქნება, ისედაც გარდაუვალი მოსალოდნელი განხეთქილების პირობებში, მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობამ მათ დაუჭიროს მხარი. რუსეთის საპატრიარქოს შეუძლია მხარი დაუჭიროს იმ ეკლესიებს, რომლებიც წინ აღუდგებიან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მაგრამ თვითონ არ უნდა გამოვიდნენ ეკლესიათაშორისი ურთიერთობების დაძაბვის ინიციატორებად. მხოლოდ ასე შეძლებენ ისინი, იქონიონ უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი. **რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ქმედებები ეკლესიათაშორის ურთიერთობებში, ფაქტობრივად, რუსეთის სახელმწიფოს ქმედებების ანალოგიურია საერთაშორისო არენაზე. რუსეთი ხდება მოკავშირე მათი (რომლებიც იღებენ ყველანაირ შესაძლო მხარდაჭერას), ვინც თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, იბრძოლოს; და არა მათი, ვისი მოსყიდვა, დაყოლიება ან იძულებაა საჭირო. და ეს სწორია.**

რატომ არ ერევა **პუტინი?** „არ შეუძლია პუტინს, უთხრას **ერდოღანს**, მოთოკოს ბართოლომეოსი?" — სვამს კითხვას ზოგიერთი. რა თქმა უნდა, შეუძლია. შეუძლია, სთხოვოს ისე დამაჯერებლად, რომ ერდოღანი ვერ შეეწინააღმდეგება. მით უმეტეს, ბართოლომეოსზე არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან, სულ ცოტა, იცოდა მოსალოდნელი პუტჩის შესახებ, როცა ერდოღანს მოკვლას უპირებდნენ, ხოლო პუტინმა ფაქტიურად გადაარჩინა თურქეთის პრეზიდენტი.

მაგრამ რას მოგვცემს ეს? **მუსლიმანური მთავრობის მიერ დევნილი მართლმადიდებელი პატრიარქი ავტომატურად ავტორიტეტი და მიზიდულობის ცენტრი გახდება დანარჩენი მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის, მით უმეტეს, რომ უძველესი ეკლესიები (ანტიოქიის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის) ასევე იმყოფებიან არაქრისტიანული სახელმწიფოების ტერიტორიებზე. თუკი პატრიარქის დევნაში წილი ექნება რუსეთის ხელისუფლებას და თუნდაც ნაწილობრივ, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც, რუსული მართლმადიდებლობა იზოლაციაში აღმოჩნდება, ხოლო მისი ავტორიტეტი შეირყევა.**

გარდა ამისა, რადგან ბართოლომეოსი მეგობრობს ერდოღანის მტერ ამერიკელებთან და თურქების ტრადიციულ მტერ ბერძნებთან, ადრე თუ გვიან, ის მიიღებს თავისას. თურქეთის პრეზიდენტს არაფერი ავიწყდება და თანაც, საკმაოდ ემოციურია იმისთვის, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გაიხსენოს წყენა. თუკი ბართოლომეოსი ვერ მოასწრებს ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვალებას, მას ყველა შანსი აქვს, მოესწროს ერდოღანის შურისძიებას, რუსეთის ყოველგვარი თხოვნის გარეშე. საერთოდ, რა საჭიროა ერდოღანისთვის იმის თხოვნა, რაც თვითონ ძალიან უნდა? და თანაც ამით მიეცეს შესაძლებლობა, მოსკოვს გადააკისროს ფენერის წინააღმდეგ რეპრესიებზე პასუხისმგებლობა?

დიდი ხანია, გასაგებია, რომ **მსოფლიო მართლმადიდებლური ერთობის შენარჩუნება, ალბათ, აღარ გამოვა. განხეთქილების მსურველები წავლენ. მაგრამ, დაე, თვითონ აიღონ პასუხისმგებლობა ამ განხეთქილებაზე. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ამოცანა საკუთარი ავტორიტეტისა და მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობის მხარდაჭერის შენარჩუნებაა, უძველესთა ჩათვლით, ჯანსაღი ძალების გაერთიანება მსოფლიო მართლმადიდებლობაში, კიდევ ერთხელ გამოსვლა „მესამე რომის" როლში, იმ რწმენის დამცველად, რომელიც ბერძნებმა შეურაცხყვეს. დარჩეს ჭეშმარიტი რწმენის ძლიერ ცენტრად, რომელზე დაყრდნობასაც შეძლებენ საკუთარ ბრძოლაში ერესთა და განხეთქილებათა წინააღმდეგ რწმენაში ძლიერი, მაგრამ პოლიტიკურად უფრო სუსტი მართლმადიდებელი ეკლესიები.**

მომზადდა ukraina.ru-ზე
გამოქვეყნებული
როსტისლავ იშჩენკოს
წერილის მიხედვით



**1054 წლის დიდი განხეთქილებისას, რომის პაპმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანათემას გადასცეს ერთმანეთი. ამით დაირღვა ისედაც არამყარი ქრისტიანული ერთობა. დიდი განხეთქილების შედეგების გადალახვა, აგერ თითქმის ათასი წელია, არ ძალუძს ქრისტიანობას, თუმცა ურთიერთ ანათემებს არც პირველი რომის პაპებისთვის და არც «მეორე რომის» პატრიარქებისთვის ხელი არ შეუშლია, პირიქით — ხელი შეუწყო მათი ძალაუფლების კონსოლიდაციას სქიზმასთან ბრძოლაში**

# ყველა ქართველს ვალდებულად ვრაცხ, ქართულ ენას მუხლმოყრილმა მიაგოს პატივი!



**„...ერის ცხოვრება, მისი დიდება,**
**მის ისტორია დაცულ არს ენით;**
**რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...**
**წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!"**

**გრიგოლ ორბელიანი**

ქართული ენის რაობაზე, ღირსებაზე, მის წარმომავლობასა და ისტორიაზე არ გავკადნიერდები და აქ არაფერს ვიტყვი, ვინაიდან ჩემი ერუდიცია და გონებრივი გასაქანი არ მაძლევს ამის მოქალაქეობრივ უფლებას, რადგან არ ვარ ფილოლოგი. მე გახლავართ, უბრალოდ, მშენებელი-ინჟინერი, სხვებისგან იმ განსხვავებით, რომ ქართული ენის წარყვნის ყველა შემთხვევას ქართველი დედის შეურაცხყოფად აღვიქვამ. საკუთარი დედის მაგინებელი ნებისმიერი სუბიექტი კი არ შეიძლება ქართველად იწოდებოდეს! ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ და სავალალოდ, დღეს საქართველოში უამრავია. გნებავთ, ტელევიზიასა და პრესაში, გნებავთ — ლიტერატურაში.

კონკრეტულად რამ განაპირობა ჩემი აღშფოთება, ქვემოთ მოგახსენებთ.

ერთ-ერთ ფრიად პატივსაცემ შეხვედრაზე, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი (როგორც ყოველთვის) იყო მოძრაობა „თეთრების" დამფუძნებელი, ბატონი **თემურ შაშიაშვილი**, მიწვეულ სტუმრებს გადმოგვცეს შესანიშნავი წიგნი „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ", რომელშიც განხილულია გზები საქართველოს გამოსაყვანად დღევანდელი მდგომარეობიდან. წიგნი მხატვრულად შესანიშნავად გაუფორმებია ახალგაზრდა მხატვარს, ქალბატონ **თეკლა მელაძეს**, რომელსაც ბრწყინვალედ აუსახავს საქართველოს დღევანდელი ყოფა — სისხლის ფერი გახლეჩილი ყაყაჩოთი! ნათქვამია: „დედამ შვილი რომ ინატროს, უნდა ისურვოს ასეთი!"

ახლა მოგახსენებთ წერილის ძირითად საკითხს. ზემოაღნიშნული წიგნის 108-ე გვერდზე დაბეჭდილია ბატონ **შოთა ჩხეიძის** — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ნატოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენლის (1999-2005 წ.წ.), საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩევლის, სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის, „ქართული ერთობის დარბაზის" წევრის წერილი სათაურით: **„ინფორმაცია განსჯისთვის: საქართველოს მოსახლეობისთვის დადგენილი არაადეკვატური საარსებო მინიმუმის შესახებ".**

როდესაც ამ წერილის გამო მივმართე ბატონ თემურ შაშიაშვილს, მიპასუხა, რომ ავტორს უთქვამს, ვინაიდან წერილი განკუთვნილია პოლიტიკოსებისთვის, ამიტომ გამოვიყენე ეს სიტყვაო.

მქონდა „პატივი", მსგავს აბსურდს კიდევ ერთხელ გადავყროდი, ოღონდ ამჯერად ფრიად პატივსაცემი გაზეთის — „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე (168. 27 აგვისტო, 2019 წელი).

წერილის ავტორია ცნობილი პოლიტოლოგი, ბატონი **ჰამლეტ ჭიპაშვილი**, რომელიც სხვებივით არ სცემს შესაბამის პატივს მშობლიურ ენას. გაზეთში გამოქვეყნებულია მისი წერილი სათაურით: „აგრესიული, დაბოღმილი, **არაადეკვატური** ქართველობა ჩვენს ქვეყანას სიცოცხლეს უმოკლებს!"

ასეა, ქალბატონებო და ბატონებო! რომ გაგიგდიათ ფეხქვეშ, როგორც დიდოელ ლეკს ნაბადი, ეს ჩვენი, ქართველ დედასავით ხელიხელ საგოგმანები დედაენა, რაღაცამ, ადამიანურის მაგვარმა, ხომ უნდა შეგაწუხოთ?! იყო დრო, როდესაც ყველაფერი, მათ შორის, დედაენა დაცული იყო უმაღლეს დონეზე, თუნდაც მაშინ, როცა ქართული ენის პალატას ბატონი **ლევან ღვინჯილია** თავკაცობდა. დროა, მავანმა, ვისაც უშუალოდ ევალება და ეხება ეს საკითხი, ყურები გამოიფხიკოს და მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ენას!

„ადე-კვატური", დაჯე-ბატური,
„სიტუაცია" სულ გააცივა.
„იგნორირება"-მ „აჟიოტაჟი"-თ,
გალიმებულმა შემოჰკრა ტაში!

* ადეკვატური — **შესაბამისი;** * სიტუაცია — **ვითარება;** * იგნორირება — **უგულებელყოფა;** * აჟიოტაჟი — **აურზაური.**

აი, ქალბატონებო და ბატონებო, ის ბრწყინვალე ქართული სიტყვები, რომელთა არაქართულ შესატყვისს ვასაღებთ, როგორც ქართულს. დროა, სამართალს ვაჭამოთ ქართული პური.

საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობისთვის,
აფხაზეთსა და სამაჩაბლოში,
ძმათამკვლელ ბრძოლებში
დაღუპულ მებრძოლთა
ხსოვნის უკვდავყოფის
საქველმოქმედო ფონდ
„სანთელის"
დამფუძნებელი და
თავმჯდომარე,
ორი დაღუპული
მებრძოლის მამა,
„ქართული ერთობის"
დარბაზის წევრი
**ანზორ დანელია**

**ქალბატონებო და ბატონებო! რომ გაგიგდიათ ფეხქვეშ, როგორც დიდოელ ლეკს ნაბადი, ეს ჩვენი, ქართველ დედასავით ხელიხელ საგოგმანები დედაენა, რაღაცამ, ადამიანურის მაგვარმა, ხომ უნდა შეგაწუხოთ?! იყო დრო, როდესაც ყველაფერი, მათ შორის, დედაენა დაცული იყო უმაღლეს დონეზე, თუნდაც მაშინ, როცა ქართული ენის პალატას ბატონი ლევან ღვინჯილია თავკაცობდა. დროა, მავანმა, ვისაც უშუალოდ ევალება და ეხება ეს საკითხი, ყურები გამოიფხიკოს და მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ენას!**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

## ამერიკელ სენატორს ბავშვების პორნო უპოვეს

**სენატორს პენსილვანიის შტატიდან — მაიკ ფოლმერს ბრალი წაუყენეს რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, რომლებიც ბავშვების სექსუალურ ხელშეუხებლობასთან არის დაკავშირებული. ეს განაცხადა შტატის გენპროკურორმა.**



რესპუბლიკური პარტიის წევრის, 64 წლის **მაიკ ფოლმერის** სახლის ჩხრეკისას მის მობილურ ტელეფონში იპოვეს პორნოგრაფიული მასალები ბავშვების მონაწილეობით. ამის საფუძველზე წაუყენეს მას ბრალდება ბავშვებზე ძალადობის, ბავშვთა პორნოგრაფიისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა დანაშაულებრივ გამოყენებაში.

შტატის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა: „არავინ დგას კანონზე მაღლა, მიუხედავად იმისა, რა ადგილი უკავია ძალოვან სტრუქტურაში“.

იუწყებიან, რომ სენატორი გაათავისუფლეს კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან. აშშ-ის მასმედია შეგვახსენებს, რომ ფოლმერი ახალბედა პოლიტიკოსი არ არის. პენსილვანიის შტატის პარლამენტში იგი პირველად 2006 წელს აირჩიეს, ბოლოს მეოთხე ვადით — 2018 წელს.



## ტურისტებმა შუა ქუჩაში სექსი გააჩაღეს

**აღშფოთებულმა მოსახლეობამ განაცხადა, რომ ტურისტების წყვილი იქცეოდა ისე, თითქოს შინ იყვნენ და საწოლში ნებივრობდნენ.**



ეს ტურისტები დიდი ბრიტანეთიდან იყვნენ და აზარტულად „ბუქნაობდნენ“ ხორვატიის საკურორტო ქალაქ სპლიტის შუა ქუჩაში. ერთმა თვითმხილველმა მათი ვნება, რომელსაც კვნესა და შეძახილები ახლდა, თავიდან ბოლომდე ვიდეოფირზე გადაიღო. კადრებზე აღბეჭდილია, როგორ ჰკოცნის პარტნიორი ქალი კაცს, სანამ ეს უკანასკნელი ტანსაცმელს იხდის, და აქედან მოყოლებული — სექსუალურ აპოთეოზამდე. ამას დეტალურად აღწერს ტაბლოიდი The Sun.

ადგილობრივი თვითმხილველი განსაკუთრებით შეაშფოთა იმან, რომ ქალი-პარტინიორი ისე ხმამაღლა კვნესოდა, მთელი რაიონი ფეხზე დააყენა.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## «დისნეის» ვარსკვლავმა მულტფილმების შემდეგ PORNOHUB-ში დაიწყო მუშაობა

**ამ „ვარსკვლავმა“, 21 წლის ქალიშვილმა, გადაიღო ფილმი, რომელიც თანამედროვე რომეო და ჯულიეტაზეა.**



**„დისნეის“** ყოფილმა ვარსკვლავმა **ბელა ტორნმა** გადაწყვიტა, თავისი შესაძლებლობები ახალ ასპარეზზე გამოეცადა და გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი სახელწოდებით „ისინი“. ამ საქმეში მას დაეხმარა PornoHub-ი. ეს კინონაწარმოები აჩვენეს გერმანიაში, კინოფესტივალზე, რომელიც წლეულს 11-15 სექტემბერს გაიმართა, — იუწყება Fox News.

PornoHub-ის ვიცეპრეზიდენტ **კორი პრაისის** აზრით, ფილმმა გადმოსცა თანამედროვე რომეოსა და ჯულიეტას უგუნური სიყვარულის ამბავი, რომელიც „სცდება დროსა და სივრცეს“.

ავტორის თქმით, მას ამ სურათის გადაღება შთააგონა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე ფიქრმა და განსჯამ და მათმა ბრძოლამ დომინირებისთვის.

„გადაღების პროცესი საკმაოდ საინტერესო იყო, იმიტომ, რომ გადასაღებ მოედანზე გვქონდა სექსი რეალურ დროში. ასეთი რამ აქამდე არასოდეს გადამიღია. ეს საკმაოდ გასართობი რამაა“, — განაცხადა მან.

ბელამ სახელი გაითქვა სერიალით „საცეკვაო ციებ-ცხელება“, რომელიც 2010 წელს „დისნეის“ ტელეარხით აჩვენეს, მაგრამ ამ წარმატებას უამრავი სკანდალი მოჰყვა. ქალიშვილი ხშირად არღვევდა კანონს, არაერთხელ აღმოუჩინეს ნარკოტიკები. ბოლოს მსახიობმა განაცხადა, რომ ბავშვობიდან სექსუალურ ძალადობას განიცდიდა.

## უხამსი პოლონეთი! გასაყიდად გამოიტანეს ლუდი მოდელების ვაგინალური გამონადენით



**პოლონურმა ლუდის ქარხანამ The Order of Yoni გასაყიდად გაიტანა ლუდი, რომელიც მოდელების საშოდან გამონადენის ბაქტერიების გამოყენებით იყო დამზადებული, — იუწყება Mirror. ამ უჩვეულო სასმელზე დაკვეთების მიღება ქარხანამ ორი წლის წინათ დაიწყო.**

ამ ლუდის მოხარშვის ტექნოლოგია საკმაოდ მარტივია. ქალების საშოს გამონადენიდან იღებენ ბაქტერიებს, რომლებსაც გამოიყენებენ ლუდის დასამზადებლად. კომპანია კლიენტებს სთავაზობს, დააჭაშნიკონ ორი მოდელის — მონიკას და პოლინას საცვლების გემო.

ლუდის ოფიციალურ აღწერილობაში მითითებულია: „წარმოიდგინეთ თქვენი ოცნების ქალი, თქვენი სურვილის ობიექტი. მისი მომხიბვლელობა, ვნებიანობა. ახლა უკვე შეგიძლიათ, გემოც გაუსინჯოთ“.

ჭუჭყიანი საცვლებიდან „გამოწურული“ ეს ლუდი 25 ზლოტი ღირს. დალევა შეგიძლიათ რამდენიმე პოლონურ პაბში — ლუდხანაში. **ბჟეგოჟ მაევსკიმ**, რომელმაც მოასწრო ამ ექსტრავაგანტური ლუდის დალევა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ლუდისგან.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ორი წლის წინათ კომპანია The Order of Yoni-ის დამფუძნებელმა **ვოიტეკ მანუმ** ვერ შეძლო იმ თანხის შეგროვება, რომელიც ამ უჩვეულო პროდუქტის დამამზადებელი ქარხნის ასამოქმედებლად იყო საჭირო. უშველა მას კერძო ინვესტორმა.

შეძლებს თუ არა ვოიტეკი ლუდის მოყვარულების დაინტერესებას ამ ახალი პროდუქტით, დრო გვიჩვენებს.

## სექსი ყველას თვალწინ



**წვეულების სტუმრებმა გადაიღეს, როგორ გააჩაღა წყვილმა ყველას თვალწინ სექსი გაწყობილ სუფრაზე და სულ ფეხებზე დაიკიდა იქ შეკრებილი სტუმრების აღშფოთება. ვიდეოკადრებზე ჩანს, როგორ ეალერსება მამაკაცი ქალს, რომელსაც ქვედა საცვალი არ აცვია. უკანა ფონზე რამდენიმე ადამიანი დგას და ტელეფონზე ამ ნატურალურ სექსს აღბეჭდავს, — წერს The Sun.**

ვიდეორგოლი გადაღებულია დიდი ბრიტანეთის საპლაჟო პოლოს ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიებისას დორსეტში.

პოლიციელებმა განაცხადეს, რომ იმ დღეს მიიღეს განცხადება გათხოვილი ქალისგან, რომ იგი გააუპატიურეს, მაგრამ მოგვიანებით ამ ქალბატონმა უკან წაიღო თავისი განცხადება.

## ნეაპოლში მშობიარე ქალი ავტობუსიდან ჩამოსვეს უბილეთოდ მგზავრობის გამო




**მშობიარე ქალი, რომელსაც უკვე დაეწყო ჭინთვები, ავტობუსიდან ჩამოსვეს. ეს არაადამიანური ქმედება ნეაპოლში მოხდა, დიდი ტრადიციების მქონე იტალიურ ქალაქში. საკვირველია, მაგრამ ფაქტია.**

ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა La Republica-მ.

ცხრა თვის ორსული იყო. სეირნობისას იგრძნო, რომ ჭინთვები დაეწყო და სასწრაფოდ ჩაჯდა ავტობუსში, რომელიც სამშობიაროსკენ მიდიოდა, ბილეთის ყიდვაკი დაავიწყდა. ამ დროს ტრანსპორტში იყვნენ კონტროლიორები, რომლებმაც ქალი დააჯარიმეს და ავტობუსიდან ჩამოსვეს პირველივე გაჩერებაზე.

საბედნიეროდ, ქალმა შეძლო საავადმყოფომდე მისვლა და მშვიდობით იმშობიარა. დაებადა გოგონა.

გაეზარდოს!

**მოვუწოდებთ ყველას, გაერთიანებული ძალისხმევით აღვკვეთოთ დედაქალაქის ბაღების, პარკების, სკვერებისა თუ ხეივნების განადგურების ხარჯზე (როგორც ეს ვაკეში — საცურაო აუზის, ხოლო საბურთალოზე სპორტის სასახლის გარშემო მოხდა) რკინა-ბეტონის ცათამბჯენების აგების მოთავეთა თავგასულობა.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# SOS: დიდი დიღომი შველას ითხოვს!

## წარმოგიდგენთ საგანგაშო ფაქტებს და გთხოვთ თანადგომას, სამართლიან და სასწრაფო გადაწყვეტილებას

# ღია წერილი

## საქართველოს პრემიერმინისტრს — გიორგი გახარიას
## გენერალურ პროკურორს — შალვა თადუმაძეს
## ქალაქ თბილისის მერს — კახა კალაძეს



ფოტოზე ასახულია ფარნავაზ მეფის გამზირის პარკის გადარჩენილი ნაწილი. ორი მოედანი და ქართული ანბანის სკვერი (გადაღების დრო— 01.10. 2019). ისრით ნაჩვენებია ადგილი, სადაც უნდათ, ააშენონ ახალი კორპუსი, უფრო დიდი, ვიდრე ფოტოს მარცხენა მხარესაა გამოსახული

გიგანტური მშენებლობების ბუმმა კორპუსებით გაჯერებულ დასახლებად აქცია დედაქალაქის ბევრი უბანი. კორპუსების მშენებლობას ეწირება დიდი დიღმის მწვანე სივრცე — ბაღები, პარკები, სკვერები...

წარმოდგენილი რუკა „დიდი დიღომი" ასახავს ხუთი გვირგვინოსანი მეფის, ორი დიდი ფილოსოფოსის, გენიალური „ვეფხისტყაოსნისა" და მისი გმირების სახელობის ქუჩებისა და სამი ტაძრის (ცამეტი ასურელი მამის, ყოველთა ქართველთა წმინდანთა და წმ. ასი ათასი მოწამის) მდებარეობას. დიდი დიღომი იწყება ფარნავაზ მეფის გამზირით, რომლის დამამშვენებელ პარკსა და სკვერს რკინა-ბეტონის ნაგებობებით დაფარვა ემუქრება, ხოლო გამზირის არქიტექტურულ იერს — სრული დამახინჯება.

იუნესკოს მიერ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებული ქართული ანბანის მადიდებელი ანსამბლი და სკვერი სავალალო მდგომარეობაშია: ანსამბლი ოთხსართულიანი ბეტონის კარკასით არის დაფარული.

რაც შეეხება დიდი დიღმის ერთადერთ პარკს, 1984 წელს დამტკიცებული გეგმის მიხედვით, 5 ჰექტარი ფართობი 44 სახეობის ხე-მცენარეებით დამშვენდა, მაგრამ ბოლო ათწლეულებში მოსახლეობის დაუკითხავად ნაწილ-ნაწილ გაიყიდა...

ცნობისთვის: დედაქალაქში პროსპექტების დაგეგმვის ნიმუშად აღიარებული რუსთაველის, აღმაშენებლისა და ჭავჭავაძის გამზირები ორ-ორი ბაღით (პარკით), მრავალი სკვერითა და ხეივნითაა დამშვენებული.

**დიდი დიღმის, ანუ ფარნავაზ მეფის გამზირის ერთადერთი ზემოაღნიშნული პარკისა და მისი შემადგენელი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების გადარჩენილ სივრცეში კი დაიწყეს ახალი გიგანტური კორპუსის მშენებლობა, რაც გენგეგმით დამტკიცებული რეკრეაციული ზონის განადგურება და მოსახლეობით ქუთაისის ტოლფარდი დიდი დიღმის მცხოვრებთა სასიცოცხლო ინტერესების აბუჩად აგდებაა.**

დიახ, ის ერთადერთი პარკია, რომელიც არა მხოლოდ ფარნავაზის გამზირის, არამედ ზემოაღნიშნულ რუკაზე წარმოდგენილი ყველა ქუჩის მცხოვრებთა (მათ შორის, ზემოაღნიშნული და სხვა ეკლესიების მრევლის) მოთხოვნებს ემსახურება.

ამიტომ **მოვუწოდებთ ყველას, გაერთიანებული ძალისხმევით აღვკვეთოთ დედაქალაქის ბაღების, პარკების, სკვერებისა თუ ხეივნების განადგურების ხარჯზე (როგორც ეს ვაკეში — საცურაო აუზის, ხოლო საბურთალოზე სპორტის სასახლის გარშემო მოხდა) რკინა-ბეტონის ცათამბჯენების აგების მოთავეთა თავგასულობა.**

თბილისის მერიისა და საკრებულოს სახელზე დაწერილ საგანგაშო განცხადებებს, ასევე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში" (№11, 28.03.2018) გამოქვეყნებულ, ხოლო შემდეგ ქალაქის მერისადმი წარდგენილ მიმართვას (№19/011809323-01; 03.04.2018), რომელსაც ხელს აწერდა 167 პიროვნება, აგრეთვე, საპროტესტო აქციებსა და მერიისადმი გაგზავნილ მრავალ წერილს (იანვარი-ივლისი, 2019) შედეგი არ მოჰყოლია.

**პრობლემა ეხება მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს. კონსტიტუციის ძალით, ხელისუფლების წყარო არის ხალხი და, თუ ეს დებულება ფიქცია არ არის, მოგმართავთ დიდ დიღომში მცხოვრები 200 ათასი მოქალაქის სახელითა და ნებით, რათა აღიკვეთოს უკანონობა და უსამართლობა.**

სამოქალაქო საზოგადოება ნიშნავს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქის ინტერესების ბალანსს და ხელისუფლების უმთავრესი მოვალეობაა მისი დაცვა, რომელიც დიდ დიღომსა თუ დედაქალაქის სხვა უბნების რეკრეაციულ ზონებში მშენებლობებით აშკარად ირღვევა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო მოვითხოვთ:

*** დიდ დიღომში, ფარნავაზ მეფის გამზირის 5 ჰექტარი ფართობის პარკის გადარჩენილ სივრცეში (სიგრძე-სიგანე 170X110 მეტრი) უკანონოდ დაგეგმილი და 2019 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული გიგანტური კორპუსის მშენებლობის შეწყვეტას;**

**ასევე მოვითხოვთ:**

*** იქვე მოქმედი ავტოსაწარმოს გადატანას;**

*** ოთხსართულიანი ბეტონის კარკასების დაშლა-გატანას, რომელმაც დაფარა გამზირის დასაწყისში არსებული ქართული ანბანის ანსამბლი და სკვერი;**

*** ალტერნატიული პროექტებისა და საქმიანი წინადადებების განხორციელებას.**

ალტერნატიული პროექტები და საქმიანი წინადადებები ასეთია:

**1.** პარკის გადარჩენილ სივრცეს დაეკისროს ახლებური, ყველა ასაკის მოქალაქეთა გამაერთიანებელი, ანუ დასასვენებელი, სასეირნო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ფუნქცია. დღეს აქ მხოლოდ 15 სკამია. ჩვენი პროექტის მიხედვით, უნდა დაიდგას 3-ჯერ მეტი. ასევე განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ბაღნარი და მისი შემადგენელი კალათბურთისა და ფეხბურთის იავარქმნილი მოედნები;

**2.** დიდ დიღომში ბავშვები (2-12 წლის) კორპუსების გარშემო თამაშობენ, რადგან ატრაქციონები და სათამაშო მოედნები ისე ცოტაა, რომ ვერ იტევს ბავშვების მომრავლებულ ნაკადს; 13-19 წლის ყმაწვილებზეც იგივე ითქმის, უფრო მეტიც, უგულებელყოფილია ახალგაზრდობის (20-44 წელი), შუახნის (45-59 წელი), ჭარმაგთა (60-74 წელი), ხანდაზმულთა (75-89 წელი) და დღეგრძელთა (90 წელი და მეტი) ინტერესები და მოთხოვნები;

**3.** აღნიშნული პრობლემების გადაჭრის საშუალებად მიგვაჩნია დიდი დიღმის გადარჩენილი რეკრეაციული ზონების გამაერთიანებელი ტერენკური, ანუ კეთილმოწყობილი სასეირნო-საფეხმავლო ბილიკების ქსელი, რომლებიც უნდა დაამშვენოს ხალხური და კლასიკური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებმა;

**4.** დენდროგეგმით გათვალისწინებული, მაგრამ არშემდგარი შადრევნისა და სარწყავი სისტემის ადგილას უნდა დაიდგას გლობუსი „პლანეტა დედამიწა", მსოფლიოს ყველა დროშით დამშვენებული (დიამეტრი — 9 მ; კვარცხლბეკის სიმაღლე — 5 მ, დიამეტრი — 7 მ; იხ. მაკეტი); გლობუსის შიდა სივრცის თემატიკა იქნება ქართული, ხოლო შინაარსით — საერთაშორისო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ცენტრი;

**5.** გლობუსისა და ტერენკურის თემატიკა დიდი დიღმის რეალურ სივრცეში ოთხი მიმართულებით განვითარდება: ერთი მარშრუტი აღმოსავლეთით, მოხერხებული გადასასვლელებით მდინარე მტკვრის ორ ტოტს შორის არსებულ კუნძულს დაუკავშირდება. იქვე შესაძლებელია დასასვენებელი პარკისა და აბრეშუმის გზის სამდინარო სადგურის მოწყობა; მეორე მარშრუტი ფეხით თუ ცხენით მოგზაურებს თრიალეთის მთებში დიდგორის, ხოლო მესამე-მეოთხე მთაწმინდისა და მცხეთის მიმართულებით გაიყვანს. ველით თქვენს თანადგომასა და სამართლიან გადაწყვეტილებას.

## მოვითხოვთ:

* დიდ დიღომში, ფარნავაზ მეფის გამზირის 5 ჰექტარი ფართობის პარკის გადარჩენილ სივრცეში (სიგრძე-სიგანე 170X110 მეტრი) უკანონოდ დაგეგმილი და 2019 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული გიგანტური კორპუსის მშენებლობის შეწყვეტას;
* იქვე მოქმედი ავტოსაწარმოს გადატანას;
* ოთხსართულიანი ბეტონის კარკასების დაშლა-გატანას, რომელმაც დაფარა გამზირის დასაწყისში არსებული ქართული ანბანის ანსამბლი და სკვერი;
* ალტერნატიული პროექტებისა და საქმიანი წინადადებების განხორციელებას.




**დიდი დიღმის მოსახლეობის სახელით:**
**ჯუმბერ აბრამია**, ინჟინერი, მებაღე;
**შახვალად აივაზოვი**, ჟურნალისტი;
**მარინე აკობია**, ინჟინერი;
**ბახვა ბარბაქაძე**, ფილოლოგი;
**ელბერდ ბატიაშვილი**, პოლიტოლოგი, პროფესორი;
**თედო გორგოძე**, კარტოგრაფი;
**ნინო ზურაშვილი**, ეკონომისტი, ეკონომიკის დოქტორი;
**მერი ისაევი**, პოლიგრაფისტი;
**ვალერი ლობჟანიძე**, ტექნოლოგი, პროფესორი;
**რაულ მამალაძე**, ეზოთერიკოსი;
**გვანჯი მანია**, ჟურნალისტი, ეკოლოგი;
**ვახტანგ მაღრაძე**, ენათმეცნიერი, პროფესორი;
**ქეთევან მგალობლიშვილი**, გეოგრაფი;
**პაატა მოისწრაფიშვილი**, მხატვარი, კომპოზიტორი;
**დავით მორგოშია**, ინჟინერი, ეკოლოგი;
**გურამ ოთხოზორია**, ისტორიკოსი, მღვდელი;
**გოგი სარაჯიშვილი**, მათემატიკოსი, ისტორიკოსი;
**ლევ სარქისოვი**, ალპინისტი, რეკორდსმენი;
**თამარ ფარჩუკიძე**, ისტორიკოსი, ისტორიის დოქტორი;
**ჟანა ქოიავა**, ჟურნალისტი;
**ჯემალ შელია**, იურისტი;
**ავთანდილ ჩხიკვაძე**, ეკოლოგი, ბიოლოგიის დოქტორი;
**მარატ ციცქიშვილი**, ეკოლოგი, პროფესორი;
**ნათელა ჭოლოკავა**, ტელერადიო ინჟინერი;
**სიმონ ჯაფარიძე**, პოეტი, მხატვარი

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს დარბაისელნი ერთმანეთის მტერნი და ქიშპნი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ, თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ ვერცარას ურუმელი, ვერცარას სხვა მტერი აწყენდათ. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

„მწარე სიმართლე“ — ამ რუბრიკით ჩვენს მკითხველს უკვე შევთავაზეთ ინტერვიუ, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარ სამარცხვინო პერიოდს — ტყვეთა სყიდვას შევეხეთ და აღვნიშნეთ, რომ ამგვარ სამარცხვინო ფაქტებს რატომღაც უგულებელვყოფთ და მტერსა თუ მოყვარეს მხოლოდ თავმოსაწონებელ ამბებს შევახსენებთ. ალბათ, ასე ფიქრობდა სულმნათი ილიაც თავის დროზე, როცა ამბობდა: „ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს....აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“; „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაასწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცაა? რაცა მქონდა, ის მოგართვი. როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე, თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან!“

არც ჩვენ გვეშინია ვისამე გულისწყრომის და თანამედროვეთ იმ „მრუდე სარკეს“ გთავაზობთ, რომელშიც კარგს ვერაფერს დაინახავთ, მაგრამ „ურიგობა რომ გაასწორო და ხალხში არ შერცხვე“, ამისთვის გამოგადგებათ.

სწორედ ესაა ჩვენი მიზანი — მუდამ გვახსოვდეს, რომ დაუსრულებელი შინაომების, ქიშპობის, ურთიერთმტრობის კვალდაკვალ საქართველოში შეირყა სარწმუნოება, მოიშალა მეურნეობა, მოსახლეობა კი გაჩანაგდა.

ნათქვამია, შეცდომებზე სწავლობენო...

ჩვენი სტუმარი — ისტორიკოსი, სოციოლოგი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი **ავთანდილ დიასამიძე** ამჯერად იმ მწარე სიმართლეზე მოგვითხრობს, რომელმაც თავის დროზე საქართველოს მესხეთი მოსწყვიტა.

„ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს.... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“
(ილია).

# ოსმალობა რუსთაველის სამშობლოში

## საქართველოს გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა საბედისწერო ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში


ავთანდილ დიასამიძე

**— ბატონო ავთანდილ, 1578 წლის აგვისტოში ოსმალეთმა, ფაქტობრივად, დაასრულა სრულიად მესხეთის დაპყრობა. ეს იყო ეროვნული ტრაგედია — საქართველოს გამაერთიანებელი და გამთიშველი ძალების საბედისწერო ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში. ოსმალ დამპყრობთა და მოღალატე ფეოდალთა ძალისხმევით ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ძირძველი ქართული მხარე — მესხეთი, რითაც დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. როგორ ეცემოდა მესხეთი, რამ განაპირობა ოსმალობა რუსთაველის სამშობლოში?**

— 1453 წლის 29 მაისს ოსმალეთის ჯარმა სულთან **მეჰმედ II**-ის სარდლობით აიღო კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის იმპერია დაეცა. ეს მოვლენა საქართველოსათვის საბედისწერო გამოდგა. ბიზანტიის მოსპობა და ოსმალთა გაბატონება კონსტანტინოპოლში საქართველოს დასავლეთისკენ მიმავალ მთავარ გზას უკრავდა და მაჰმადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალს არტყამდა.

1461 წელს კი ოსმალებმა ტრაპიზონის იმპერიაც დაიპყრეს. ასე რომ, საქართველოს სამხრეთით გაუმეზობლდა უბოროტესი ოსმალეთი, რომელიც განაგრძნობდა სხვადასხვა ქვეყნის დაპყრობას აღმოსავლეთ-დასავლეთით. მის ერთ-ერთ მიზანს ამიერკავკასიაში გაბატონება და, კერძოდ, საქართველოს დაპყრობა შეადგენდა და მას გამუდმებით ესხმოდა თავს. „დაიპყრა ხონთქარმან ტრაპიზონ-აზრუმი და ეკირთებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა“, — წერს **ვახუშტი ბაგრატიონი.** XVI საუკუნის დასაწყისში კი საქართველოს მოადგა. ხშირი შემოსევების შედეგად საუკუნის ბოლოსთვის დაასრულა ოსმალთა მიერ მესხეთის, ანუ ზემო ქართლის დაპყრობა.

ისტორიული წყაროები აქაც ბევრ ჩვენდა სამარცხვინო ფაქტს ინახავს. მესხეთშიც ეროვნული სულით ისევე დაშრეტილი თავადობა აღმოჩნდა, როგორიც იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში, კახეთსა თუ ქართლში, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ: **რომ არა შინაურთა ღალატი და ურთიერთგაუტანლობა ოსმალო ვერაფერს დაგვაკლებდა.**

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ შინაურთა ღალატსა და ურთიერთგაუტანლობაში?**

— იმის ნაცვლად, რომ კარსმომდგარ მტრებს — ოსმალეთსა და ირანს საქართველოს სამეფო კარი და სამთავროები ერთად შეკრული, გაერთიანებული ძალებით დახვედროდნენ, კარგად გაეთვალათ, გაეანალიზებინათ მოსალოდნელი საშიშროება, ფაქტობრივად, ცალ-ცალკე მოქმედებდნენ ქვეყნის, ხალხისა და საკუთარი თავის საზიანოდ... სწორედ ოსმალთაგან კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ საქართველო დაიშალა: **1466 წელს კახეთის ცალკე სახელმწიფო წარმოიქმნა; ქართლი და იმერეთი ერთმანეთს 1489 წელს დაშორდნენ. ასე რომ, XV საუკუნის ბოლოსთვის საქართველო დაშლილი იყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და 5 სამთავროდ — სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის), გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის.** ამ მდგომარეობას **ივანე ჯავახიშვილი** ასე აფასებდა: „სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა საქართველოსათვის პოლიტიკურად დამღუპველი, კულტურულად დამაქვეითებელი და დამაკნინებელი იყოო“.

სამარცხვინო იყო და ქვეყნის განადგურებას უწყობდა ხელს ის, რომ, მეტად რთული პერიოდის მიუხედავად, სამეფო-სამთავროები თანადგომისა და მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების ნაცვლად ერთმანეთს მტრობდნენ, ხშირად არბევდნენ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ხელნაწერი, რომელიც გვაუწყებს: **„საქართველოს დარბაისელნი ერთმანეთის მტერნი და ქიშპნი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ, თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ ვერცარას ურუმელი, ვერცარას სხვა მტერი აწყენდათ. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა“.**


ბაგრატ III

**«მესხეთშიაც ეროვნული სულით ისევე დაშრეტილი თავადობა აღმოჩნდა, როგორიც იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში, კახეთსა თუ ქართლში. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ: რომ არა შინაურთა ღალატი და ურთიერთგაუტანლობა, ოსმალო ვარაფერს დაგვაკლებდა»**

**— რა ხერხს მიმართავდა ოსმალო ქართველთა შორის თანამოაზრეებისა და მზარდამჭერების საპოვნელად...**

— ოსმალეთი თავისი ვერაგული მიზნის მისაღწევად ყველა ხერხს, ყველა ზომასა და ყველანაირ მეთოდს მიმართავდა მესხეთის მისატაცებლად: დაწყებული მესხი თავადაზნაურობის, ათაბაგების, სამღვდელოების მოსყიდვა-გადაბირებით, ცრუ დაპირებებით, დასრულებული მუქარით — თავის მოკვეთით თუ სხვ. ამ მხრივ მრავალ საინტერესო ცნობასა და ფაქტს შეიცავს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში **ივანე გვარამაძის** პირად არქივში დაცული ხელნაწერი წერილი „სამესხეთოს დაქცევა“.

ივანე გვარამაძე გახლდათ XIX საუკუნის II ნახევრის სამცხე-ჯავახეთის ქართველთა პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და მრავალმხრივი მოღვაწე. მან წარუშლელი კვალი დატოვა მხარისა და მთელი საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებაში. ეთნოლოგი და პუბლიცისტი აღნიშნულ წერილში მიუთითებს: **„თუ ათაბეგს (ასე წერია დედანში — ა.დ.) ქართლისა და იმერეთის მეფეებსა და გურიელსა და დადიანსა ჰქონოდათ საზოგადო სარგებლობა და არა თავიანთი საკუთარი სარგებლობა, ოსმალო ვერასოდეს შემოადგამდა ფეხს ჩვენს ქვყანასა. სამწუხარო ის იყო უმწეობითა სამესხეთო ჰქრებოდა...**

**ოსმალებმა, ბრძოლით რომ უძნელდებოდათ შემოსვლა სამესხეთოს დასარბევად, ადგილობრივ თავადაზნაურობას უწყეს მოსყიდვა მრავლის საჩუქრებით, უგზავნიდნენ კეკლუც ქალებს, არაბულ ცხენებს, ძვირფას თვალმარგალიტებს და მდიდრულ ტანისამოსს. უმისოთაც გარყვნილნი და დაცემული, ზნეობითაც ჰყიდებდნენ თავიანთ სამშობლოს მაჰმადიანებზედ, რომ იმათ ხელქვეშ მყოფთ მუდამ წელს ჰქონოდათ მათგან ძვირფასი საჩუქრები მოუკლებლად... მღვდლებსაც თავიანთი ვალდებულება დაევიწყნათ და სულით, გულით ვერცხლის მოყვარულობას შესდგომოდნენ ვაჭრობით, მათ დღე-ღამე მოსვენება აღარ ჰქონდათ“.** მესხეთის ათაბაგთა, თავადაზნაურთა და სამღვდელოების ასეთმა ქმედებებმა ეს მხარე პოლიტიკურად მოადუნა, დააუძლურა და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო მტერს მის დაპყრობაში.

**— ვინ იყვნენ მაინც ის მესხი მთავრები და თავადები, რომლებიც გვერდით დაუდგნენ ოსმალ დამპყრობლებს, მათი სახელები ისტორიამ შემოგვინახა?**

— სამწუხაროდ, ასეთი ცოტანი როდი იყვნენ.

მესხი თავადები ოსმალებს ხმლის მოუქნევლად აბარებდნენ ქართულ ციხე-ქალაქებს. **ქოია ამილახორისშვილმა** არტაანში 2 ციხე დაუთმო ოსმალებს, ხოლო **არფაქსათ ამატიკიშვილმა** ხერთვისი და მისი მეზობელი 5 ციხე მიართვა მტერს; ხახულიც უომრად ჩაბარდა ოსმალოს.

1510 წელს ოსმალთა დიდი ლაშქარი, რომელსაც სულთნის მემკვიდრე **სელიმ ფაშა** ედგა სათავეში, საქართველოს დასალაშქრავად გამოემართა. როცა ახალციხეს მიადგნენ ოსმალონი, მათ გამოეგებნენ სამცხის მთავარნი **დედისიმედი** და **ყვარყვარე ათაბაგი** და მოართვეს ქალაქის კლიტენი.

**მზეჭაბუკ ათაბაგ-** ▶

**„ყვარყვარე V-მ მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი მანუჩარ III, წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსლიმანობა და ახალი სახელით — საფარ-ფაშა გახდა ახალციხის ფაშა. ოსმალები თანდათან აუტანელს ხდიდნენ სამცხე-საათაბაგოში (მესხეთში) თავიანთ ბატონობას, მათ გააძლიერეს ბრძოლა ყოველივე ქართულის წინააღმდეგ, ქართული ენის, ზნე-ჩვეულებების, ქრისტიანობის ამოსაძირკვად“.**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მა მტერს უზრძოლველად მორჩილება გამოუცხადა და თავისი სამსახურიც შესთავაზა. წარუძღვა მტრის ლაშქარს ათაბაგი და იმერეთს ჩაიყვანა. შემოდგომა იყო, ქვეყანა ამ მხრიდან შემოტევას არ ელოდებოდა, ამიტომ იმერეთის ახალგაზრდა მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს (1510-1556 წწ.), რომელიც ტახტზე ახალი ასული იყო, სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. მოსახლეობამ ძლივს მოასწრო გახიზვნა. ოსმალებმა გადაწვეს ქუთაისი, დაარბიეს ახლომახლო სოფლები და დაბები, დაწვეს ეკლესიები. მტრის მსახვრალ ხელს ამჯერად ვერ გადაურჩა დიდებული ბაგრატისა და გელათის ტაძრები.** ზამთარი კარს იყო მომდგარი და მალე თოვლი ზეკარის გადასასვლელს გაუვალს გახდიდა. საქართველოში ჩარჩენილ ოსმალთა ჯარს კი დიდი საფრთხე ელოდა, ამიტომ სელიმ ფაშამ გადაწყვიტა, ნაალაფევითა და ტყვებით ქვეყანას გასცლოდა...

ასე რომ, თუ მღვდელმა თევდორემ მტერს გზა აუბნია და მეგზურობა არ გაუწია, მესხეთის ათაბაგმა მზეჭაბუკმა მტრის ლაშქარს უწინამძღვრა და ოსმალებს ქუთაისი გადააწვევინა, მის სინდისზეა ბაგრატისა და გელათის ტაძრების იავარქმნაც...

მზეჭაბუკ ათაბაგი „დამოუკიდებლად“ ყოფნას არ იშლიდა, მეტიც: ისარგებლა ანტიოქიის პატრიარქის, ასევე ოსმალეთის ფარული მხარდაჭერით და მესხეთი ეკლესიურადაც ჩამოაშორა ქართლის საკათალიკოსოს. ათაბაგებმა სამცხე-საათაბაგოს ეკლესიაში მოაშთეს მეფისა და კათალიკოსის ხსენებაც კი.

სამარცხვინო ქართველთა შორისაა მესხეთის **თავადი ოთარ შალიკაშვილი** და **ათაბაგ ყვარყვარეს ვაჟი ქაიხოსრო** ოსმალეთის ხონთქარს სთხოვდნენ, კვლავ გამოეგზავნა ჯარი ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. ქართლის ცხოვრებაში აღნიშნულია ასეთი დეტალი: **„ოთარ შალიკაშვილმა თანა წაიყვანა ძე ათაბაგის ყუარყუარესი ქაიხოსრო. მივიდეს სტამბოლს და მოაჯე ექმნეს ხვანთქარს და შეიწყალა ხვანთქარმან, და მისცა ჯარი მრავალი, და თოფი და ზარბაზნები დიდ-დიდნი, და უჩინა ამირსპასალარად მუსტაფ ფაშა, და წარმოგზავნა იგინი ბრძოლად ბაგრატსა“.**

მსგავს ცნობებს იძლევა ვახუშტი ბაგრატიონიც. ბრძოლა მოხდა **ქარაღაქის ველზე** 1543 წელს, ოსმალთა რიცხვი 22 ათასამდე იყო. ისინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოფ-ზარბაზნებით იყვნენ შეიარაღებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანი ამ ბრძოლაში ბაგრატს გვერდით არ დაუდგა, ქარაღაქის ბრძოლა მაინც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. თვით ოსმალეთის მთავარსარდალი მუსტაფა ფაშა ამ ბრძოლაში დაიღუპა.

იმერეთ-ქართლისა და გურიის გაერთიანებული ლაშქარი ბასიანისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალეთის ჯარი.



ივანე გვარამაძე

ბრძოლა გაიმართა **სოხოისტასთან.**

**— სოხოისტას ბრძოლაში მესხთა განდგომას ქართველთა მარცხი მოჰყოლია...**

— უეჭველია, ამ ომშიც ქართველები გაიმარჯვებდნენ, ბრძოლის ბედი რომ არ გადაეწყვიტა თვითონ ქართველთა ბანაკში მომხდარ ჟინიანობას. მესხებმა დაიჩემეს: „ძუელთაგანვე მეწინავეობად მისვლა მესხეთთათვის განწესებულ არს და აწცა ჯერ არს ჩუენდა მისვლაო“, რაზეც დანარჩენები არ დათანხმებულან, ამის გამო „აღეგზნა შური დიდი“. იმ დროს, როცა ქართველები და იმერლები „ლომ-ვეფხებრ“ იბრძოდნენ, „მაშინ შურითა და ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება, და არღარა მიჰყვნენ ომსა შინა“.

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ ამის შემდეგაც **„უფროსად განიწირნეს თავნი თვისნი ქართველთა და იმერელთა“ და მრავალი ურუმის მოკვეთილი თავი გააგორეს მიწაზე, მაგრამ მესხთა ღალატს მაინც თვისი შედეგი მოჰყვა. ომი დილიდან მწუხარებამდე გაგრძელდა. ქართველთა ამ დამარცხების შემდეგ ოსმალებმა სამცხის ციხეები დაიჭირეს... მაშინ მისცეს ოსმალთა ათბაგობა ქაიხოსროს და თვით წავიდნენ“.**

**— დაყოფილ და მტრებით გარშემორტყმულ ქვეყანაში ასეთ მძიმე ჟამს თუ იყო მცდელობა ქართველთა გაერთიანებისა და მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა?**

— დიახ, XVI საუკუნეში იყო მსგავსი მცდელობები, მაგრამ განსაკუთრებით განდგომა-„დამოუკიდებლობას“ მესხეთის ათაბაგი იჩენდა. იმერეთის მეფე **ბაგრატ III**-მ გადაწყვიტა მისი მორჯულება. 1535 წელს „შემოკრიბნა ბაგრატ მეფემან სრულიად სპანი იმერთანი დადიან გურიელითა.. და წარვიდა დაპყრობად სამცხისა“.

გადამწყვეტი ბრძოლა 1535 წლის 12 აგვისტოს ახალქალაქის მახლობლად, სოფელ **მურჯახეთის ველზე** მოხდა. ამ ბრძოლაში ყვარყვარე ათაბაგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ბაგრატ მეფემ მთელი სამცხე დაიკავა და იგი ათი წლის განმავლობაში იმერეთის სამეფოსთან იყო გაერთიანებული, თუმცა **ოთარ შალიკაშვილისა** და **ქაიხოსრო ყვარყვარეს** ძის მიერ სულთნის კარზე არაერთგზის დასმენით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ოსმალეთის ძალისხმევითა და ახალი დალაშქვრის შედეგად სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი კვლავ საქართველოსგან გამოყოფილი აღმოჩნდა.

**«ოსმალებმა, ბრძოლით რომ უძნელდებოდათ შემოსვლა სამესხეთოს დასარბევად, ადგილობრივ თავადაზნაურობას უწყეს მოსყიდვა მრავლის საჩუქრებით, უგზავნიდნენ კეკლუც ქალებს, არაბულ ცხენებს, ძვირფას თვალ-მარგალიტებს და მდიდრულ ტანისამოსს. უმისოთაც გარყვნილნი და დაცემული, ზნეობითაც ჰყიდებდნენ თავიანთ სამშობლოს მაჰმადიანებზედ, რომ იმათ ხელქვეშ მყოფთ მუდამ წელს ჰქონოდათ მათგან ძვირფასი საჩუქრები მოუკლებლად... მღვდლებსაც თავიანთი ვალდებულება დაევიწყნათ და სულით, გულით ვერცხლის მოყვარულობას შესდგომოდნენ ვაჭრობით, მათ დღე-ღამე მოსვენება აღარ ჰქონდათ»**



ვახუშტი ბაგრატიონი

**«თუ მღვდელმა თევდორემ მტერს გზა აუბნია და მეგზურობა არ გაუწია, მესხეთის ათაბაგმა მზეჭაბუკმა მტრის ლაშქარს უწინამძღვრა და ოსმალებს ქუთაისი გადააწვევინა, მის სინდისზეა ბაგრატისა და გელათის ტაძრების იავარქმნაც...»**

**1578 წლის აგვისტოში ოსმალეთ-ირანის ომში ოსმალეთმა მიღწეული გამარჯვების შედეგად, ფაქტობრივად, დაასრულა მთელი მესხეთის დაპყრობა. სწორედ ეს იყო ეროვნული ტრაგედია — საქართველოს გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა საბედისწერო ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში, როცა ოსმალ დამპყრობთა და ფეოდალ-მოღალატეთა ქმედებით ძალმომრეობამ გაიმარჯვა, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ძირძველი მესხეთი, რომელშიც შედიოდა სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, თორთუმი, ისპირი, ტაო, კლარჯეთი და ჭანეთი, რომელთა ფართობი 58 815 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა და საქართველო შაგრენის ტყავივით დაპატარავდა.**

„ოსმალთა წესისა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა“. ათაბაგ ქაიხოსრო მეორის (1545-1573) შვილები — ყვარყვარე V (1573-1582), მანუჩარ II (1558-1614), ამ უკანასკნელის შვილი **მანუჩარ III** (1614-1625) იძულებული იყვნენ, დამორჩილებოდნენ ოსმალებს და ისე დარჩენილიყვნენ მმართველებად ამა თუ იმ საათაბაგოს ნაწილებისა, თუმცა ჯერ კიდევ ქრისტიანობა შეინარჩუნეს. მაგრამ კვლავაც იჩინა თავი ურთიერთის მიმართ ბოროტებამ: **ყვარყვარე V-მ მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი მანუჩარ III, წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსლიმანობა და ახალი სახელით — საფარ-ფაშა გახდა ახალციხის ფაშა.**

ოსმალები თანდათან აუტანელს ხდიდნენ სამცხე-საათაბაგოში (მესხეთში) თავიანთ ბატონობას, მათ გააძლიერეს ბრძოლა ყოველივე ქართულის წინააღმდეგ, ქართული ენის, ზნე-ჩვეულებების, ქრისტიანობის ამოსაძირკვად, დააწესეს კაბალური გადასახადები, რომლებსაც ვეღარ ეგუებოდნენ ვერც მესხეთის რიგითი მოსახლეობა, ვერც თავადაზნაურობა და ვერც ათაბაგი. ისინი აწყობდნენ ანტიოსმალურ გამოსვლებს, მაგრამ მარცხდებოდნენ. გვიანღა იყო თითზე კბენანი...

**— ბატონო ავთანდილ, თქვენი აზრით, რბილად რომ ვთქვათ, ეს შეცდომები შეიძლება ისტორიის გაკვეთილად ჩაითვალოს?**

— ისტორია სარკეა, რომელშიც ხშირად უნდა ჩავიხედოთ. დადებითი თუ უარყოფითი მაგალითები ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ქართველი ხალხისა და მისი ხელისუფლებისთვის. წარსულის მოვლენებიდან სწორი პოლიტიკური დასკვნები უნდა გავაკეთოთ; ოსმალეთმა სამთვიანი შეტევის შედეგად დასცა დიდი ბიზანტიის იმპერია 1453 წელს, ასევე მოკლე პერიოდში დაიპყრო არაერთი დიდი სახელმწიფო (ბულგარეთი, რუმინეთი და სხვ.), **საქართველოს ძირძველი ნაწილის — მესხეთის დაპყრობას კი თითქმის საუკუნე მოანდომა, რაც ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგი იყო; არაერთმა მამულიშვილმა გამოიჩინა გმირობა მტერთან შერკინებისას, მაგრამ ცხადია ისიც, რომ საქართველო ერთ სახელმწიფოდ, ერთ მუშტად შეკრული, ერთიანი ძალით რომ შებმოდა მტერს, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და ბრძოლის შედეგებიც სხვანაირი — საქართველოსათვის სასიკეთო იქნებოდა.** სამართლიანად ამბობდა XVII საუკუნის ისტორიკოსი **ფარსადან გორგიჯანიძე: „ქართველებს ჯერ იქით უყუმი (ოსმალნი) არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდ სახელმწიფოს შუაში ბევრს ეცადნენ, აქეთ იქნიეს ხმალი, იქით იქნიეს, მაგრამ არ იქნა და ვერც რა თავს გაუვიდნენ“.. მეორეც — „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად — დაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპანი, მტერნი, ერთმანეთის მარბევნი და მაწყინარნი“.**

სამწუხაროდ, მაშინდელი „ავი ზნენი“ ჯერ კიდევ ახასიათებთ ქართველებს — მოწამვლა, მკვლელობა (მაგ. ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილის, გურამ შარაძის და სხვათა), განდგომა, სხვადასხვა პოლიტიკოსთა უშედეგო სირბილი უცხოეთში... ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური, მძიმე სოციალური მდგომარეობა გვიკარნახებს, სერიოზული დასკვნები, სწორი პოლიტიკური ანალიზი გავაკეთოთ და საქართველოს გაძლიერებისთვის ერთად ვილვაწოთ, რადგან ერი **„როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მათხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი“ (ილია).**

რაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლეხი სახელმწიფოს სთხოვს დოტაციას, სახელმწიფო გასცემს, მაგრამ არა იმდენს, რომ პრობლემა გადაფაროს. ეს პრობლემის გადაჭრის გზა არ არის. კვლავაც გლეხის საზრუნავია... იძულებულია, აიღოს სესხი და ბანკის კაბალაში აღმოჩნდება.**



# «... და ვაზივით აყვავილდებიან»

„რადგან იქნება მშვიდობის თესლი: ვაზი გამოიღებს თავის ნაყოფს, მიწა მოიტანს თავის მოსავალს და ცა მოსცემს თავის ცვარს, და ამ ერის ნატამალს (შთამომავალს) დავუმკვიდრებ ყველაფერ ამას“.

*(ზაქარია წინასწარმეტყველი, 8:12)*

## გურჯაანის ღვინის ფესტივალი «წყაროს» რაკურსით

**ფესტივალების თვეა ოქტომბერი: პურის ფესტივალი თბილისში; კულინარიის ფესტივალი — აქვე; გურჯაანის ღვინის ფესტივალი; მცხეთობა...საინტერესო ღონისძიებებია, თავიანთი მიზნებითა და ამოცანებით, დანიშნულებით, კულტურულ-სამეურნეო ღირებულებით და ა.შ.დაუმატეთ ამას ახლახან ჩავლილი თბილისობა და კარგ განწყობაზე დადგებით.„საქართველო და მსოფლიო“ მაინცდამაინც ღვინის ფესტივალით დაინტერესდა, რომელიც 12 ოქტომბერს ღვინის ქალაქში გაიმართა — გურჯაანში.**

### საქართველოში დავანებული შუამდინარეთის საიდუმლო

ეს იყო ზეიმიც და საქმიანი შეკრებაც ერთდროულად, რომელშიც ორასზე მეტი მეღვინე მონაწილეობდა — საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელი, დიდი თუ მცირე (ოჯახური) მარანი. წლეულს აქცენტი უცხოელ სტუმრებზე გაკეთდა — ფრანგები, ბასკები, პოლონელები, სლოვაკები, უკრაინელები ინტერესით ეცნობოდნენ ქართული ღვინის წარმოების ტექნოლოგიას მასტერკლასებში, რომლებიც ნებისმიერი დამსწრესთვის გაიმართა, და სიამოვნებით აჭაშნიკებდნენ ქართულ ღვინოებს. 25 ათასზე მეტი სტუმარი ეწვია ამ დღეს გურჯაანს: დიპლომატიური კორპუსით დაწყებული, ჩვენი მოქალაქეებით დამთავრებული.

მესამე წელიწადია, რაც გურჯაანში ტრადიციად დამკვიდრდა ღვინის ფესტივალი. იდეის ავტორი, პატრონი და სულისჩამდგმელია **დავით სონღულაშვილი** — საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გურჯაანის რაიონიდან. აქაური მერია ორგანიზატორია, ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოს ბანკს აქვს ნაკისრი... სახალხო დღესასწაულია — მაძღარი შემოდგომის ფერთა ზეიმი, უბელო ცხენის ჩაქროლებასავით ზეციური ჰანგების ხეივანში — „ბერი კაცი ვარ“ და „შენ ხარ ვენახი“. „მრავალჟამიერი“ უკვდავების ბარაქიან წყაროდ ამოდუღდება მხურვალებადაკარგული მზის სხივების ნათელში და ალაზანივით მდორედ გადაეფარება ადამიანის წინაშე ვალმოხდილი ზვრების სიცარიელეს.

ფელამუშის სიტკბოთი გაიჟღინთება ახტალის პარკი, თონიდან ეს-ესაა ამოყრილი დედას პურების სურნელება პირველი შოთის გატეხვის რიტუალისკენ მიგიწვევს და კახურად ჩამოსხმულ თლილ ჭიქას მასპინძლის სასმისს მიუჭახუნებ:

— ჩვენ გაგვიმარჯოს!

აქეთ: ჩურჩხელის სუროგატებით გემოვნებაგაფუჭებული ქალაქელები თავზე დადგომიან მოთუხთუხე ქვაბს და თათარაში ამოვლებულ „ეკოლოგიურად სუფთა“ ჩურჩხელას გაცივებას არ აცდიან.

იქით: ცეკვა, სიმღერა და პერფორმანსებად „გაევროპელებული“ წარმოდგენები. იხსენებ ქართული წარმართული დღესასწაულებისა და „დიონისეს მხიარული ეპოპეის“ სიუჟეტების ოდინდელ მსგავსებას. „ვანისა და სარკინეს ნაქალაქარებში აღმოჩენილია დიონისეს ნიღბები (ტერაკოტა), რაც ანტიკასთან სიახლოვეზე მეტყველებს, — წერს დიდი ლექსიკოლოგიური კორპუსის ავტორი, მეცნიერი **აკაკი გელოვანი** და დასძენს: — **ხომ არ იფარება შუამდინარეთის ფერფლში ღვინის კლასიკური ქვეყნების — საბერძნეთისა და საქართველოს ამ კულტურის უძველესი საიდუმლო?“** *(მითოლოგიური ლექსიკონი, გვ. 142).*

ერთიც: „...მცხეთასთან, ნაქალაქარის მახლობლად, მიწაში აღმოაჩინეს ანტიკურ ქალაქ ძალისას ნანგრევებში ჩამარხული დიონისესა და არიადნეს გამოსახულებები. ღვინის ღმერთი ტახტზე ზის, თავს გვირგვინი უმკობს, არიადნეს ხელში სიუხვის რქა უჭირავს“ *(იქვე, გვ. 143).*

დიონისური ცხოვრების ველური სილაღე შემოგვეჭრება საუკუნეთა სიშორიდან...

მაგრამ დროა, მითოლოგიური წარსულიდან დღევანდელ რეალობაში გადმოვინაცვლოთ...

### „საქმეში გასული“ ე.წ. ოპოზიცია

რთველის მადლი შევირგოთ და, როგორც საქმიან ხალხს სჩვევია, ძირში ჩავხედოთ პრობლემებს, რომლებიც მევენახეობა-მეღვინეობის დარგს საკმარისად აქვს.

თუმცა ვის დაუდგენია პრობლემების საკმარისობის სტანდარტი?!

„წყაროზე“ ჩავიდეთ და იქაურ საუბარს დავუგდოთ ყური. „წყარო“ ამ შემთხვევაში გურჯაანის რაიონის ვეჯინის ღვინის ქარხანასთან ყურძნით დატვირთული მანქანების რიგია. დრო — 2019 წლის სექტემბერი. რთველი ახალი დაწყებულია. ველაპარაკები ერთ დროულ კაცს, გამოცდილ მევენახეს:

— ჩააბარებთ მოსავალს და ამოისუნთქავთ.



ზეიმი ახტალის პარკში

**გლეხისთვის ვენახი ერთადერთი სარჩო-საბადებელია, მასზე ამოსდის მზე და მთვარე და სახელმწიფომ სწორედ ასე უნდა აღიქვას მევენახის პრობლემები, რომელთა მოძალებამ სოფლის ცხოვრებაც გაართულა და დამკვიდრებულ ტრადიციებსაც წყალი შეუყენა: რთველი მხოლოდ სამუშაო პროცესად ჩამოყალიბდა, ხალისი დაკარგა. ან იკარგება თანდათან**



სტუმრიანობა

— ზუსტად ამოსუნთქვის დრო გვაქვს გამოწერილი, — მიპასუხა მაშინ იმ პატიოსანმა კაცმა, — ამოვისუნთქავთ და მერმისის მოსავლისთვის დავიწყებთ ზრუნვას — შესარვას, შეწამვლას, გასხვლას, ნიადაგის დამუშავებას შევუდგებით. თორმეტთვიანი უწყვეტი მუშაობის ციკლში ვართ ჩართული.

— რომელიც რთველით გვირგვინდება. ზეიმით.

— ვინ გაცლის.

**და მოვისმინე საფუძვლიანი პოლიტიკური მიმოხილვა იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ დაინტერესებული ძალები ამ დროს წარმოქმნილ უმნიშვნელო ჩავარდნებსაც კი ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრების პლაცდარმად — გაფიცვების, აქციების, დემონსტრაციების მოსაწყობად. აქაც ბინძური პოლიტიკაა, რომლის გააქტიურებით ცდილობენ ოპოზიციად დანიშნული ე.წ. პარტიები ეროვნული ტრადიციების დაკნინებას და გაცუდებას: არ შეიძლება საქართველოში წარმატებული იყოს რამე.**

**გლეხის დასახმარებლად ირჯებიანო?! არ დაიჯეროთ!**

თუ ბოლო წლებში დარგი წელში გაიმართა, გაბევრდა მოსავალი, დაიწურა მეტი ღვინო, გაუმჯობესდა ხარისხი, მათი ხელი არ ურევია...

და იხსენებენ ჭაღარა კაცები: 90-იანი წლების შემოდგომობით „კალიასკიანი“ მოტოციკლებით მიჰქონდათ ყურძენი ქარხანაში ჩასაბარებლად. მოსავალი ისეთი მწირი იყო, „ჟიგულის“ სავარძლების უკანა რიგს მოხსნიდნენ, ცელოფანს ჩააფენდნენ და ჩაყრიდნენ ყურძენს, ან პარკებით ჩააწყობდნენ. სულ ეს იყო — ყურძნის მოსავალიცა და გადასაზიდი ტრანსპორტიც. დღეს სხვა მასშტაბებია, სხვა მოთხოვნები და გლეხმაც ამ მოთხოვნებს შრომის ცივილიზებული მეთოდებით უნდა უპასუხოს.

**გაიზარდა მევენახისა და მეღვინის პასუხისმგებლობა: ხარისხის ამაღლების პრობლემა უპირველესი საკითხი გახდა.**

ეს — საერთოდ. ახლა მივყვეთ კონკრეტულად.

### ამას ამბობდნენ „წყაროზე“

ოთხმოცდაათიანებში თითებზე ჩამოსათვლელი ღვინის ქარხანა თუ მუშაობდა, დღეს იმდენი ქარხანაა, იმდენი „შატო“ და იმდენი შენდება, რომ... ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს! ბოლო ათწლეულში დაახლოებით 60 პროცენტით გაიზარდა მათი რაოდენობა. ყველა ხარისხიან ნედლეულზე არის ორიენტირებული. მევენახეებიც ამ მოთხოვნას მიჰყვებიან, მაგრამ ეს უცებ და ერთბაშად არ ხდება. უხარისხო ყურძენი რეალიზაციის გარეშე რჩება და, რა თქმა უნდა, მომყვანსა და მყიდველს შორის ურთიერთობას ამწვავებს.

**გლეხი სახელმწიფოს სთხოვს დოტაციას, სახელმწიფო გასცემს, მაგრამ არა იმდენს, რომ პრობლემა გადაფაროს. ეს პრობლემის გადაჭრის გზა არ არის. კვლავაც გლეხის საზრუნავია, რადგან: მაშინ, როცა ლარის კურსი ეცემა და ყველაფერი, რაც ვენახის მოვლასთან არის დაკავშირებული (შხამ-ქიმიკატები, ტექნიკის მომსახურება და სხვ), ძვირდება, ყურძნის ფასი უცვლელი რჩება. გლეხი იძულებულია, აიღოს სესხი და ბანკის კაბალაში აღმოჩნდება.**

ასე გრძელდება წლიდან წლამდე და, როგორც „წყაროზე“ მიიჩნევენ, პრობლემის მოგვარებას კანონმდებლობის დონეზე სჭირდება გადაწყვეტილების მიღება. ასე თუ ჩაცხრება უკმაყოფილება, რომელიც მოსახლეობაშია დაგროვებული.

წლეულს მოსავალი ძალიან დიდი იყო და მოსახლეობამ დააბინავა. ასე თუ ისე, რადგან სხვა ყველაფერთან ერთად პრაქტიკულად შეწყდა თბილისიდან კერძო მყიდველების ჩასვლა, რომლებიც ოჯახებში აყენებდნენ ღვინოს საკუთარი მოხმარებისთვის — თბილისში სპეციალური ბაზრობებიც კი იმართებოდა. ამანაც იმოქმედა და შესასყიდი, სარეალიზაციო და საბაზრო ფასები ერთ დონეზე გაიყინა.

**გლეხისთვის ვენახი ერთადერთი სარჩო-საბადებელია, მასზე ამოსდის მზე და მთვარე და სახელმწიფომ სწორედ ასე უნდა აღიქვას მევენახის პრობლემები, რო-** ▶

## წლევანდელი რთველი ბარაქიანი იყო, ცოტაც და სიუხვის რეკორდის მაჩვენებელს მიაღწევს. მაშასადამე, ყველა იმ პრობლემას, რომელთა შესახებაც „წყაროზე“ ილაპარაკეს, სასწრაფოდ სჭირდება მოგვარება.

ჩვენებურები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


შეხვედრა წარსულთან

**ემელთა მოძალებამ სოფლის ცხოვრებაც გაართულა და დამკვიდრებულ ტრადიციებსაც წყალი შეუყენა: რთველი მხოლოდ სამუშაო პროცესად ჩამოყალიბდა, ხალისი დაკარგა. ან იკარგება თანდათან.**

ბოლო პერიოდში 20-21 ივნისის მოვლენებიც მიება — რუსეთის ბაზრის დაკარგვის საშიშროებამ რეალური კონტურები მიიღო. ევროპისა და აზიის ქვეყნების ბაზრებში ჩვენი ღვინო იმ მოცულობით არ არის გასული, რომ შეძლოს რუსეთის ბაზრის დაკარგვით წარმოქმნილი სიცარიელის შევსება.

ამასთანავე: **საქართველოში ყოველწლიურად ჯიშების მრავალფეროვნებით გამორჩეული (მათ შორის, ქისი, ხიხვი, ძველი მწვანე, ძველი კახური, ჩიტის მარცვალა) ასობით ჰექტარი ახალი ვენახი შენდება და, თუ სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეიცვლება, მაშინ პროდუქციის ის მასა, რომელსაც ამ ფართობებიდან ვაწარმოებთ და რომელიც დარგის რენტაბელობის გასაძლიერებლად არის გათვალისწინებული, ზარალად შემოგვიბრუნდება.**

ახლა, როცა ვაზის ათასობით სანამყენე ძირი დაამყნეს და გაამრავლეს (მაგალითად, ვეჯინის ვაზის სანამყენე ჯიშების მეურნეობაში), იქნება კი რეალიზაციის ისეთი მოთხოვნა, როგორც შარშან ან იმის წინათ იყო? გაჰქონდათ არა მარტო საქართველოს რაიონებში, არამედ — უცხოეთშიც. საფერავის ერთწლიანი ნამყენი ძირი 2 ლარი და 80 თეთრი ღირდა.

ეს ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული: თუ ღვინო არ გაიყიდა, არ გაიყიდება გლეხის მოწეული მოსავალი, არ გაიზრდება მოთხოვნა ახალი ვენახების გაშენებაზე, არც ახალი ჯიშების გაშენებით დაინტერესდება ვინმე. ყურძნის ფასი დაბალი დარჩება და მევენახის შრომა ქარს გატანებულ ამაოებად იქცევა.

დარგი ხელში შემოგვადნება. ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა ლარის კურსის ვარდნამ: გაძვირდა საწვავი, შხამქიმიკატები. შარშანდელთან შედარებით გლეხს გაცილებით ძვირი დაუჯდა კილოგრამი ყურძნის მოყვანა.

წარმოების მასტიმულირებელი პირობა (მოგება) ველარ განვითარდა, ჩიხში მოექცა.

ჩვეულებრივ, თუ საქონელი არ საღდება, თუ მყიდველი არ ჰყავს, მწარმოებელი იძულებულია, გააიაფოს პროდუქცია. **ბაზარზე ყურძენი არ გაიაფებულა, ქარხნებმა კილოგრამი 70 თეთრად ჩაიბარეს, მაგრამ ამ ფასად გაყიდულმა მოსავალმა მევენახეს გაწეული ხარჯი ვერ აუნაზღაურა.**

ყურძენი მალფუჭებადი პროდუქტია, თუ დროზე არ დაიკრიფა და არ გაიყიდა, მარცვალი იწყებს ლპობას და გადასაყრელი ხდება. სამწუხაროდ, ცუდად იქცევიან სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც კვირაობით აჭიანურებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას დასეტყვილ ფართობებთან დაკავშირებით. უკვე შემოსული და დახეთქილი ყურძენი მჟავდება, ლპება. იზრდება კერძო მეწარმის ზარალი.

წლევანდელი რთველი ბარაქიანი იყო, ცოტაც და სიუხვის რეკორდის მაჩვენებელს მიაღწევს. მაშასადამე, ყველა იმ პრობლემას, რომელთა შესახებაც „წყაროზე“ ილაპარაკეს, სასწრაფოდ სჭირდება მოგვარება, რათა ზარალის ოდენობითაც რეკორდული არ აღმოჩნდეს. ღვინის ფესტივალმა, რომელიც გურჯაანში გაიმართა, გვიჩვენა, რომ ჩვენი მევენახეები და მეღვინეები მზად არიან საამისოდ.

ხელისუფლებაც?

**არმაზ სანებლიძე,**
**გურჯაანი-თბილისი**

**P.S. პასექის დღესასწაულის წინ ინახად დამსხდარ თავის მოწაფეებთან საუბრის დროს იესომ უთხრა მათ: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე, 15:1) და დასძინა: „მე ვაზი ვარ, თქვენ კი — ლერწები“ (იქვე, 15:5).**

**მევენახეობა ღვთაებრივი კულტურაც არის, ცხოვრების წესი და რწმენაც. ვინმეს შეიძლება „ბიზნესი“ უფრო მოსწონს. მისი პრობლემაა.**

**ა.ს.**


აი ჩურჩხელა!


ბარაქა

# ფოტო — ქართული რაკურსით

**ლალი ზეიკიძეს სამსახურებრივი კარიერა საქართველოში აწყობილი ჰქონდა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა დუშეთის რაიონულ და თბილისის პირველ და მეცხრე საავადმყოფოებში, თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში, აგრეთვე, თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში კლინიცისტად და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 2010-2012 წლებში სამედიცინო ინსტიტუტში უძღვებოდა ქიმიური უსაფრთხოების კურსს.**


ლალი ზეიკიძე

მოხდა ისე, რომ 2012 წელს ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დღემდე ცხოვრობს და მუშაობს.

**ლალი ზეიკიძეს ამერიკაში ახალი გატაცება გაუჩნდა, ჰობი — ფოტოხელოვნება. თავდაპირველად მობილური ტელეფონით გადაღებულ ნიუ-ორკის სურათებს „ფეისბუკზე“ ათავსებდა და თავის შთაბეჭდილებებს მეგობრების ფართო წრეს უზიარებდა. მისმა გადაღებულმა კადრებმა პროფესიონალების ყურადღება მიიქცია და მალევე გამოქვეყნდა პრესაში. ახალბედა ფოტოგრაფი ალიარეს, მოიწონეს, რამაც შემოქმედებითი საქმიანობის სტიმული მისცა.**

ახლახან ლალი ზეიკიძეს პრაღის უნივერსიტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **მაია დარჩია** დაუკავშირდა და გაისად სექტემბერში დაგეგმილ არაპროფესიონალ ქალ ფოტოგრაფთა გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. ლალი ზეიკიძესთან ერთად ამ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი თანამემამულეები — **ანანო ასათიანი, ანუკა ჩაფიძე** და ფერმწერი **შორენა ბოლქვაძე.**

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ლალი ზეიკიძის წიგნიც, რომელსაც გადაღებულ ფოტომასალასთან ერთად დართული აქვს ამერიკაში მცხოვრებ მეგობარ ქართველ ემიგრანტთა საინტერესო ნიუიორკული შთაბეჭდილებებიც.

ცოტა ხნის წინათ ლალი ზეიკიძე დაბრუნდა საქართველოდან, სადაც მან თავის ფოტოკოლექციას კახეთში, ბათუმსა და ძველ თბილისში გადაღებული ხატოვანი კადრები შეჰმატა.

**რუსუდან ჭუბაბრია**
**აშშ-დან**

**რედაქციისგან: დღეს ჩვენს გაზეთში ამ საინტერესო ხელოვანის ნამუშევრების სახელდახელო პრეზენტაციაზე ვიწვევთ მკითხველებს.**









ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალექსანდრიის ახალი ბიბლიოთეკა, რომელიც მსოფლიოში უძველესი ბიბლიოთეკის ადგილზე ააგეს, ავსტრიელმა არქიტექტორმა კრისტოფერ კაპელემ დააპროექტა. გაიხსნა 2002 წელს. ბიბლიოთეკას აქვს ცილინდრის ფორმის ალუმინისა და მინის კონსტრუქცია. 70 ათასი კვ მ ფართობის სამკითხველო დარბაზი 11 კასკადური დონისგან შედგება. ბიბლიოთეკის საცავებში სხვადასხვა გამოცემის 7,5 მლნ ეგზემპლარი ინახება.**

# 10 ბიბლიოთეკა, რომლებიც უნიკალურ გამოცემებთან ერთად არქიტექტურითაც გამოირჩევა

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებმა თანამედროვე ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა, ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნებისა და ჟურნალების კითხვა აქტუალობას არ კარგავს. ბიბლიოთეკების წყალობით, რომლებსაც დაეკისრა ცოდნისა და განათლების გამაერთიანებელი ცენტრების როლი, ადამიანებს შეუძლიათ, თავით გადაეშვან ნებისმიერი ქვეყნის კულტურასა და ისტორიაში და იმოგზაურონ სხვადასხვა ეპოქაში. დღეს ჩვენ მოგითხრობთ ყველაზე უჩვეულო არქიტექტურულ შედევრებზე, რომლებშიც განთავსებულია ბიბლიოთეკები.



## ადმონტის სააბატოს ბიბლიოთეკა (ავსტრია)

ეს ბიბლიოთეკა 1776 წელს მონასტრის ტერიტორიაზე ააგო არქიტექტორმა **იოსებ ჰიუიერმა.** ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ მისი უზარმაზარი ზომები, არამედ არქიტექტურული გადაწყვეტაც.

ინტერიერს ამშვენებს **ბართოლომეო ალტომონტეს** ფრესკები და **იოსებ სტამელის** სკულპტურები. ბიბლიოთეკის საცავებში ინახება წიგნების 70 ათასი უიშვიათესი ეგზემპლარი და 1400 ხელნაწერი.



## ლუი ნიუსერის ბიბლიოთეკა (საფრანგეთი)

ეს უჩვეულო სტატუა-ბიბლიოთეკა 2002 წელს ააგეს ქალაქ ნიცაში არქიტექტორებმა **ივ ბაიარმა** და **ფრენსის შაპიუმ.** ამჟამად ის საფრანგეთის ცნობილი საკურორტო ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობაა. უზარმაზარი ბიბლიოთეკის ძირითადი ფონდები გვერდით შენობაშია, ამ „გონებრივ ცენტრში“ კი განთავსებულია საგამოფენო დარბაზები და ლუი ნიუსერის ადმინისტრაცია.



## ბიბლიოთეკა ალექსანდრინა (ალექსანდრია, ეგვიპტე)

ალექსანდრიის ახალი ბიბლიოთეკა, რომელიც მსოფლიოში უძველესი ბიბლიოთეკის ადგილზე ააგეს, ავსტრიელმა არქიტექტორმა **კრისტოფერ კაპელემ** დააპროექტა. გაიხსნა 2002 წელს. ბიბლიოთეკას აქვს ცილინდრის ფორმის ალუმინისა და მინის კონსტრუქცია. 70 ათასი კვ მ ფართობის სამკითხველო დარბაზი 11 კასკადური დონისგან შედგება. ბიბლიოთეკის საცავებში სხვადასხვა გამოცემის 7,5 მლნ ეგზემპლარი ინახება.



## წმინდა ფლორიანის სახელობის მონასტრის ბიბლიოთეკა (ავსტრია)

როგორც მონასტერი, ისე მის ტერიტორიაზე 1744 წელს აგებული ბიბლიოთეკა ბაროკოს სტილისაა და დამშვენებულია დიდი დეკორატიული ელემენტებით. ამ არქიტექტურული პროექტის ავტორები არიან **კარლ კარლონე** და **იაკობ პანდტაუერი.** ამ უნიკალურ ბიბლიოთეკაში დაცულია 130 ათასი უიშვიათესი წიგნი და ხელნაწერი.



## პრაღის ნაციონალური ბიბლიოთეკა (ჩეხეთის რესპუბლიკა)

ჩეხეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა არის კლემენტინუმი (Clementinum) — იეზუიტური კოლეგიუმი (დახურული სასწავლო დაწესებულება), რომელიც 1552 წელს ააშენეს. ეს არის ბაროკოს სტილის შენობა, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში იყო კულტურისა და მეცნიერების ტაძარი. 1622 წლიდან ამ შენობაში განთავსდა კარლოვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია დაახლოებით 7 მილიონი წიგნი, მათ შორის 1501 წელს გამოცემული.



## რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა (მოსკოვი)

ეს ბიბლიოთეკა დაარსდა 1862 წელს. წიგნთსაცავის ფონდი 47,2 მლნ ეგზემპლარს შეადგენს.



## ბრიტანეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (ლონდონი)

ეს ბიბლიოთეკა, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით, 1973 წელს შეიქმნა. იქ 150 მლნ წიგნი ინახება.



## კანადის პარლამენტის ბიბლიოთეკა (ოტავა)

ეს ბიბლიოთეკა ნაწილია კანადის პარლამენტის კომპლექსისა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებისთვის აგებულ ერთ-ერთ ლამაზ არქიტექტურულ ქმნილებად ითვლება. არქიტექტორები არიან **ტომას ფულერი** და **ჰილეონ ჯონსი.** აქ ინახება წიგნების 650 ათასი ეგზემპლარი.

## სამეფო სამკითხველო დარბაზი რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია)



ბიბლიოთეკის ეს დიდებული შენობა 1837 წელს აიგო პორტუგალიელი იმიგრანტების თაოსნობით, რომლებიც ასე შეეცადნენ თავიანთი კულტურის განვითარებას. არქიტექტორია **რაფაელ და სილვა.** შენობის დიზაინში გადაჯაჭვულია გოთიკისა და რენესანსის ელემენტები. ამ ძველ ბიბლიოთეკაში წიგნებსა (350 ათასამდე ეგზემპლარი) და ხელნაწერებთან ერთად ნახატების კოლექციებიც ინახება.



## კონგრესის ბიბლიოთეკა (ვაშინგტონი, აშშ)

კონგრესის ბიბლიოთეკა — აშშ-ის ნაციონალური ბიბლიოთეკა მსოფლიოში უდიდესია. დაფუძნებულია 1800 წელს. ამ ბიბლიოთეკის ფონდში წიგნების 168,3 მლნ ეგზემპლარია დაცული.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1956 წელს ლარისა ლატინინამ მსოფლიოში გაითქვა სახელი, როცა ბრწყინვალედ იასპარეზა XVI ოლიმპიადაზე მელბურნში. პირად მრავალჭიდში ლატინინას მეტოქე იყო შესანიშნავი უნგრელი ტანმოვარჯიშე აგნეშ კელეტი. უნგრელმა მედლები მოიპოვა ძელსა და ორძელზე პირველობაში, თავისუფალ ვარჯიშში კელეტიმ და ლატინინამ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს, ხტომებში ლატინინა პირველი იყო, ორძელზე კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. საერთო ჯამში, ლატინინამ ყველაზე მეტი ქულა დააგროვა და მელბურნის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა.**

**მოპოვებული ოლიმპიური ჯილდოების რაოდენობის მიხედვით, ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონია საბჭოთა ტანმოვარჯიშე ლარისა ლატინინა, რომელიც 3 ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა და მოიგო 9 ოქროს, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი. საერთოდ კი, 9-გზის ოლიმპიური ჩემპიონების შესანიშნავ ხუთეულს შორის ლარისა ლატინინასთან ერთად შედიან: მოცურავე მაიკლ ფელპსი (აშშ), მორბენალი პაავო ნურმი (ფინეთი), მძლეოსანი კარლ ლუისი (აშშ) და მოცურავე მარკ სპიტცი (აშშ). თუმცა, ლატინინა ფელპსის გარდა (ფელპსმა 2012 წელს გაუსწრო ოლიმპიური ოქროს მედლების რაოდენობით) ყველას აღემატება ოლიმპიური ჯილდოების რაოდენობით, რომლებიც მას 18 აქვს.**

# აბსოლუტური ჩემპიონი ქალთა შორის



**ლარისა ლატინინა** (ქალიშვილობის გვარი დირიი, გვარი ლატინინა პირველი ქმრისგან მიიღო) 1934 წლის 27 დეკემბერს დაიბადა ქალაქ ხერსონში (იმხანად საბჭოთა კავშირში შემავალი უკრაინის სსრ რესპუბლიკა). ბავშვობაში გატაცებული იყო არა მხოლოდ ტანვარჯიშით, არამედ მღეროდა და ცეკვავდა კიდეც. ამის გამო მისი მწვრთნელი ძალიან უკმაყოფილო იყო და სიმღერებისა და ქორეოგრაფიული სტუდიების ხელმძღვანელებს მოსთხოვა, ლარისა დაეთხოვათ, — არც სმენა აქვს და არც ხმაო. მწვრთნელის სასიხარულოდ, სიმღერისა და ქორეოგრაფიის სტუდიებმა მალე შეწყვიტეს ფუნქციობა და ლარისამ მთელი ყურადღება და ძალისხმევა ტანვარჯიშზე გადაიტანა. თავდაპირველად ის ვარჯიშობდა ხერსონში, შემდეგ გადავიდა კიევში. მალე მოხვდა სსრკ-ის ნაკრებში და 1954 წელს პირველად მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში, საიდანაც ოქროს მედლით დაბრუნდა (გუნდური პირველობა). **1956 წელს კი ლარისა ლატინინამ მსოფლიოში გაითქვა სახელი, როცა ბრწყინვალედ იასპარეზა XVI ოლიმპიადაზე მელბურნში. პირად მრავალჭიდში ლატინინას მეტოქე იყო შესანიშნავი უნგრელი ტანმოვარჯიშე აგნეშ კელეტი. უნგრელმა მედლები მოიპოვა ძელსა და ორძელზე პირველობაში, თავისუფალ ვარჯიშში კელეტიმ და ლატინინამ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს, ხტომებში ლატინინა პირველი იყო, ორძელზე კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. საერთო ჯამში, ლატინინამ ყველაზე მეტი ქულა დააგროვა და მელბურნის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა.**

თვითონ ლარისა ლატინინა მიიჩნევს, რომ 1950-იანი წლებში საუკეთესოდ გამოვიდა არა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში, არამედ 1958 წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. საქმე ის არის, რომ **ლარისა ფეხმძიმედ იყო, როცა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა, მაგრამ ამის შესახებ არც მწვრთნელმა იცოდა, არც გუნდის ექიმმა და არც თანაგუნდელებმა. რისკი ძალიან დიდი იყო, მაგრამ ცნობილმა მოსკოველმა ექიმმა არ აუკრძალა მას ჩემპიონატში მონაწილეობა და ყველაფერი კარგად დასრულდა: ლარისა ლატინინამ აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გაიმარჯვა, ამას გარდა, ოქროს მედალი მოიპოვა ხტომებში, აგრეთვე, ორძელზე. 5 თვის შემდეგ კი გააჩინა ჯანმრთელი გოგონა, რომელსაც დაარქვა ტატიანა.**

ბევრი სპეციალისტი ვარაუდობდა, რომ ლარისა ლატინინა ბავშვის გაჩენის შემდეგ ადრინდელივით ბრწყინვალედ ველარ იასპარეზებდა. 1960 წლის რომის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის გუნდის ლიდერობას **პოლინა ასტახოვას** უწინასწარმეტყველებდნენ, რამაც დაღი დაამჩნია ორი შესანიშნავი სპორტსმენი ქალის პირად ურთიერთობას, მაგრამ რომის ოლიმპიურ თამაშებში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული კვლავ ლარისა ლატინინამ მოიპოვა, რომელმაც შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხა ასტახოვა. გუნდურ ჩათვლაში კი საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა პირველობისთვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებს სძლიეს.





**ოლიმპიადების 9-გზის ჩემპიონობასთან ერთად ლარისა ლატინინა არის მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი სხვადასხვა სახეობაში, ევროპის ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის 5-გზის ჩემპიონი ცალკეულ სახეობაში, სსრკ-ის 2-გზის აბსოლუტური ჩემპიონი და სსრკ-ის 10-გზის ჩემპიონი ცალკეულ სახეობაში**

ლატინინას წინ ჰქონდა კიდევ ერთი ოლიმპიადა — ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშები, რომელშიც აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ჩეხმა **ვერა ჩასლავსკამ**, ლატინინა კი მრავალჭიდში მეორე ადგილს დასჯერდა, თუმცა ოქროს მედალი მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში, ვერცხლის — ხტომებში, ბრინჯაოს მედალი — ძელსა და ორძელზე.

ასპარეზობისას ლარისა აჩვენებდა არა მხოლოდ შესანიშნავ ტექნიკას, არამედ არტისტიზმსაც, მწვრთნელები საყვედურობდნენ კიდეც, — ტანვარჯიში ბალეტისკენ მიგყავსო. ასე იყო თუ ისე, შეუმდგარი მოცეკვავე ზედიზედ ამარცხებდა მოწინააღმდეგეებს.

ოლიმპიადების 9-გზის ჩემპიონობასთან ერთად ლარისა ლატინინა, აგრეთვე, არის მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი სხვადასხვა სახეობაში, ევროპის ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის 5-გზის ჩემპიონი ცალკეულ სახეობაში, სსრკ-ის 2-გზის აბსოლუტური ჩემპიონი და სსრკ-ის 10-გზის ჩემპიონი ცალკეულ სახეობაში.

ლატინინამ დიდ სპორტში ასპარეზობა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეწყვიტა, როცა 31 წლის იყო. შემდეგი 10 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელი გახდა. მისმა აღზრდილებმა 1968, 1972 და 1976 წლების ოლიმპიადებზე ოქროს მედლები მოიპოვეს. ლარისა ლატინინას აღზრდილთა შორის იყვნენ სახელგანთქმული ტანმოვარჯიშეები: **ლარისა პეტრიკი, ოლღა კორბუტი, ლუდმილა ტურიშჩევა** და სხვ.

9-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ახლაც აქტიურად მონაწილეობს სპორტულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არის რამდენიმე წიგნის ავტორი, წერს სტატიებს სხვადასხვა გამოცემაში და მონაწილეობს ტელეგადაცემებში.





მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# მასობრივი საპროტესტო აქციები ბარსელონაში: დაშავდა 130-ზე მეტი ადამიანი

## ესპანეთის დედაქალაქში მოსახლეობა ამბოხებაში ბრალდებული პოლიტიკოსების მიმართ გამოტანილ განაჩენს აპროტესტებს



EPA/UPG

**ბარსელონაში მასობრივი აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც 2017 წელს კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით რეფერენდუმის საქმეზე კატალონიელი პოლიტიკოსების მიმართ განაჩენი გამოიტანეს.**

საპროტესტო აქციები გაიმართა კატალონიის დედაქალაქის ცენტრში, ასევე აეროპორტ ელ-პრატთანაც. საღამოს აქციები არეულობასა და პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. დაშავებულთა დიდი ნაწილი ბარსელონის აეროპორტში გამართული საპროტესტო აქციისას დაშავდა. ერთ-ერთი მათგანი თვალის ტრავმის გამო სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. ბარსელონის აეროპორტში ასზე მეტი რეისი გადაიდო. ავიაკომპანიებმა მგზავრებს მოუწოდეს, აეროპორტამდე შემოვლითი გზით მივიდნენ. ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ, 2017 წელს დამოუკიდებლობის მოთხოვნით ჩატარებულ რეფერენდუმში მონაწილეობისთვის 12 პოლიტიკოსს განაჩენი გამოუტანა. ცხრა მათგანს ამბოხება ედება ბრალად, მათ 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ. სამ მათგანს კი — დაუმორჩილებლობა. მათ სასჯელის სახით ჯარიმა შეეფარდათ. განაჩენის გამოცხადების შემდეგ კატალონიაში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო.



# «გული გამითბა...» — გორელი ბიჭები ყოველდღე ხილ-ბოსტნეულით სავსე ყუთს ქუჩაში ტოვებენ

### სოციალურ ქსელში პოპულარულია ისტორია, რომელიც ქველმოქმედებას ეხება

**გორელი ბიჭები ხილ-ბოსტნეულით სავსე ყუთს ყოველდღე ქუჩაში ტოვებენ. გადამდები სიკეთის შესახებ სოციალურ ქსელში მოქალაქე ნუგზარ ჩხიკვაძე წერს.**

მისი თქმით, ახალგაზრდებს ხილ-ბოსტნეულის მაღაზია აქვთ გახსნილი და ყოველ საღამოს ერთ ყუთს, მაღაზიის დაკეტვის შემდეგ, კართან ტოვებენ.

# სად მიდის კაზრეთის ოქრო?



**ბოლო ათი წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა გააძლიერა საუბრები იმის თაობაზე, რომ სისტემა, რომელსაც საფუძვლად აშშ-ის დოლარი უდევს, აუცილებლად გაკოტრდება. ერთადერთი ალტერნატივა ოქროს სტანდარტია, რომელსაც, ჩანს, ცენტრალური ბანკებიც აღიარებენ.**

არც თუ დიდი ხნის წინათ მოვლენების განვითარების ამგვარ ვარიანტზე მიუთითა ინგლისის ბანკის მმართველმა **მარკ კარნიმ,** მაგრამ ნამდვილად თავზარდამცემი იყო ნიდერლანდების ცენტრალური ბანკის განცხადება: **„თუ სისტემა მოიშლება, მის აღსადგენად შეიძლება გამოდგეს ოქრო. ოქრო განგვიმტკიცებს ცენტრალური ბანკის სტაბილურობის რწმენას და უშიშროების განცდას გვიქმნის“. ამ ვითარებაში საკითხავია — სად მიდის კაზრეთში მოპოვებული ოქრო?**

# პუტინი დსთ-ის ქვეყნებს საერთო ფინანსური ბაზრის შექმნას სთავაზობს




**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თურქმენეთში გამართულ დსთ-ის ქვეყნების სამიტის მონაწილეებს შესთავაზა, აწარმოონ ურთიერთშორის ანგარიშები ეროვნულ ვალუტებში და შექმნან საერთო ფინანსური ბაზარი დსთ-ის ქვეყნებისთვის.**

„ფრიად მნიშვნელოვანი ასპექტია ურთიერთშორის ანგარიშების წარმოება ეროვნულ ვალიუტებში. მხედველობაში მაქვს ის პრობლემები, რომლებიც დღეს მსოფლიოს აწუხებს, ჩვენ ამას ვხედავთ. ამის შედეგია სავაჭრო ომები და სხვადასხვა შეზღუდვა. და, რა თქმა უნდა, თავი უნდა დავიზღვიოთ სავალუტო რისკებისგან. უნდა განვავითაროთ თანამშრომლობა სავალუტო სფეროში, შევათანხმოთ სავალუტო პოლიტიკა. დარწმუნებული ვარ, ეს უეჭველად დაეხმარება ჩვენი საერთო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას“, — განაცხადა პუტინმა დსთ-ის სამიტზე გამოსვლისას.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# ქვეყნები, რომლებიდანაც საქართველოში ყველაზე მეტი თანხა გადმოირიცხა

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2019 წლის სექტემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 149,8 მლნ აშშ დოლარი (444.0 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 13, 9%-ით (18, 3 მლნ აშშ დოლარით) მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. 2018 წლის სექტემბერში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 131,4 მლნ აშშ დოლარი იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფულადი გადმორიცხვებით კვლავ რუსეთი ლიდერობს (24,4%), რომელსაც იტალია (14,07%) და საბერძნეთი (10,63%) მოსდევენ.

წარმოგიდგენთ 10 ქვეყანას, რომლებიდანაც საქართველოში ყველაზე მეტი თანხა გადმოირიცხა:

*** რუსეთი — 36,299 მლნ აშშ დოლარი; * იტალია — 21,075 მლნ აშშ დოლარი; * საბერძნეთი — 15,922 მლნ აშშ დოლარი; * აშშ — 15,392 მლნ აშშ დოლარი; * ისრაელი — 13,551 მლნ აშშ დოლარი; * თურქეთი — 8,181 მლნ აშშ დოლარი; * გერმანია — 4,377 მლნ აშშ დოლარი; * უკრაინა — 4, 275 მლნ აშშ დოლარი; * ესპანეთი — 3, 479 მლნ აშშ დოლარი; * ყაზახეთი — 2, 927 მლნ აშშ დოლარი.**



# ნანა ქიბროწაშვილი

## ფირმა «იადიგარ დაუდის» დირექტორი

გთავაზობთ მკურნალობას 40-წლიანი გამოცდილებით და გარანტირებული შედეგით. ვკურნავ:

1. ფუტკრის პროდუქტებით კუჭ-ნაწლავის წყლულებსა და ეროზიებს (სისხლმდენიც), ფაღარათს, ნაღვლის ბუშტს, ელენთას, ჰეპატიტს (არა ვირუსულს), შებერილობას, ბუასილს, ჰაიმორიტს, შარდის შეუკავებლობას, ჭიებს, პროსტატიტს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, პენისის ანთებას; კონტაქტის შიშს, სქესობრივ სისუსტეს, ცისტიტს, პიელონეფრიტს, პირიდან სუნს, კლიმაქსს, ბრონქიტს, წითელ ქარს, სოკოვანს, მარილების წანაზარდებს, საერთო სისუსტეს;
2. სხვადასხვა მეთოდით პაციენტის გარეშეც: ალკოჰოლიზმს, აზარტულ თამაშებს, პესიმიზმს, აგრესიას, აკვიატებებს, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, ადამიანი თავისუფლდება ნეგატიური ზემოქმედებისგან.

გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

**მისამართი: წერეთლის 57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №777. ტელ. 599-49-84-23 — ნანა, მიღება წინასწარი ჩაწერით**

# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894